ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

ორშაბათი, 20 მაისი, 2013 | №117 (6118) | ფასი: 30 თეთრი

14 მაისიდან!
„ახალი თაობა“
+
ილია II
ოქროს ხანა სამტრომეულის მეორე ტომი
8 ლარი

ბიძინა ივანიშვილი: „ღარიბაშვილი კიკბოქსიორია და ხელჩართულ ჩხუბსაც არ მოერიდება“

გვ.3

გელა ნიკოლაიშვილი: „დამნაშავე ნაციონალები ქუჩაში თავისუფლად არ უნდა დადიოდნენ!“

გვ.2

კახა კალაძე: „აღარასოდეს განმეორდება ის, რაც ცხრა წლის განმავლობაში ქვეყანაში ხდებოდა“ გვ.2

გვ.3

მეუფე იაკობი: „თავს არავის დავაჩაგვრინებთ!“

გვ.4

მამუკა გიორგაძე: „ქართული ოცნება“ კომპარტიას დაემსგავსა“

გვ.6

სოფო ხორგუანი: „გეი-აღლუმი იყო პროვოკაცია“

„მარგველაშვილს საპრეზიდენტო არჩევნების მოგება გაუჭირდება“ გვ.5

გვ.6

ნოდარ ნათაძე: „უცხოელი დიპლომატები ქართველებს შორის სიძულვილს თესავენ“

გვ.5

ჰამლეტ ჭიპაშვილი: „არასამთავრობო ორგანიზაციები ამერიკის დაკვეთებს ასრულებენ“

9 მაისიდან!
„ახალი თაობა“
+
ფროიდი
8 ლარი



ISSN 1987-9385

11 ჩრდილოეთ კორეამ კიდევ ერთი რაკეტა გაუშვა

6 რისთვის უხდის მაღლობას საქართველოს მოსახლეობას ვოვა არუთინიანი

11 გიორგი მარგველაშვილი: „საქართველოს რუსეთთან ექნება არა ემოციური, არამედ რაციონალური ურთიერთობები“

7 როგორ მოხვდა მამაოს ხელში „ტაბურეტკა“ უმწიფარი საზოგადოება

გელა ნიკოლაიშვილი: „დამნაშავე ნაციონალები ქუჩაში თავისუფლად არ უნდა დადიოდნენ!“

ნონა ცაბაძე

ინტერვიუ ადვოკატ გელა ნიკოლაიშვილთან

– ბატონო გელა, უკვე უამრავი შეფასება გაკეთდა 17 მაისის აქციასთან დაკავშირებით. ზოგმა დაგმო, ზოგმა მოიწონა. როგორია თქვენი, როგორც ადამიანის უფლებათა დამცველის, პოზიცია აღნიშნულთან დაკავშირებით?

– ერთი მხრივ, რა თქმა უნდა ყველანაირი ძალადობა არის დასაგმობი და დასასჯელიც. ამიტომ მე იმ ადამიანებს, რომლებიც მოითხოვენ მოძალადეებისა და ფიზიკური ზემოქმედების ავტორების დასჯას, ვუერთდები და ეს არა მხოლოდ კანონით, არამედ ნებისმიერი სამართლიანობის პრინციპიდან გამომდინარე არის შესასრულებელი. მეორე მხრივ, როდესაც ამბობენ, რომ პოლიციამ არ იმოქმედა ადეკვატურად და ვერ მოახერხა დაცვა სექსუალური უმცირესობის დამცველთა მიტინგის ჩატარების უზრუნველყოფის, ამ კუთხით მე ვერ დავეთანხმები საყვედურებს პოლიციელთა მიმართ. ვინაიდან, მე ვფიქრობ, შექმნილ სიტუაციაში მათ მაქსიმუმი გააკეთეს იმისათვის, რომ არც სისხლი დაღვრილიყო და ეს ყველაფერი შედარებით მშვიდობიანად დასრულებულიყო. რა თქმა უნდა, თეორიულად შეეძლოთ ის, რომ ყველაფერზე წასულიყვნენ და მიეცათ ამ 20 თუ 50 კაცისთვის თავიანთი აქციის ჩატარების შესაძლებლობა. თუმცა ასეთ სიტუაციაში უნდა მოქცეულიყვნენ ისე, როგორც იქცეოდნენ 26 მაისს, 7 ნოემბერს. ანუ გამოეყენებინათ რეზინის ტყვიები, შეიძლება ნამდვილი ტყვიებიც, გამოეყენებინათ ტანკები, მძიმე ტექნიკა, ცრემლსადენი გაზი, ხელკეტები, ფარები და ყველაფერი. რა თქმა უნდა, არსებობს ეს საშუალებები, მაგრამ მე ვერ დავეთანხმები იმ ადამიანებს, რომლებიც ამბობენ, რომ დიახ, ეს უნდა გამოეყენებინათ, რათა სახელმწიფოს ძალის დემონსტრირება მოეხდინა. იმისათვის, რომ ვიღაცების წინაშე თავი მოეწონებინათ, განსაკუთრებით კი დასავლეთთან იმ 50 კაცის გამოხატვის თავისუფლების უზრუნველსაყოფად და დანარჩენი ათი ათასი თუ ოცი ათასი ადამიანი, რომელიც იქ შეიკრიბა, თუნდაც არა მხოლოდ ეცემათ და დაესისხლიანებინათ, არამედ შემოკვდომოდათ კიდეც. ვიმეორებ, როგორც ეს მოხდა 26 მაისს.

– ბატონო გელა, რამდენად იყო თავიდანვე ჩადებული პროვოკაციის მარცვალი, რომ მაინცდამაინც რუსთაველზე და ქაშუეთის წინ მოინდომეს ამ აქციის ჩატარება?

– რა თქმა უნდა, ამას ასდიოდა პროვოკაციის სუნი. რადგან მათ გაიგეს, რომ ასეთი აჟიოტაჟი ატყდა, საპატრიარქომ გააკეთა მოწოდება, დიდი მასა რომ შეიკრიბებოდა მათი მოწინააღმდეგეების, ეს ყველასათვის ნათელი იყო, მათ ხომ შეეძლოთ თუნდაც იმ ფონიჭალაში, სადაც წაიყვანეს, ან გარეუბანში, რომელიმე ადგილას ჩაეტარებინათ. ვიღაცამ კარგად შეადარა, სიგარეტის მოწევას არავინ კრძალავს, მაგრამ მე რომ არ ვეწევი სიგარეტს, ცხვირში ნუ შემომაბოლებო და ნუ შემაწუხებ ამითო. იგივე ვთქვათ, როდესაც არის ლაპარაკი, რომ ნუდისტები, რომლებსაც შიშველი სიარული უნდათ და ასე მიაჩნიათ სწორად, ახლა მათ რომ მოინდომონ შუა რუსთაველზე სიარული, დანარჩენი ადამიანების მორალისთვის ეს ხომ არის მიუღებელი? ბუნებრივია, ექნება ამას წინააღმდეგობა. როდესაც იციან, რომ ეს უმრავლესობისთვის მიუღებელია, მათ თავიანთი ადგილი უნდა ჰქონდეთ. მეორე არის კიდევ ერთი მომენტი, როდესაც ამბობენ, რომ ეს ჩვეულებრივი ამბავია, 1990 წლამდე ეს არ იყო ჩვეულებრივი ამბავი და ესე გაიზარდა მთელი თაობები, მათ შორის ჩემი თაობაც, რომ ეს იყო გადახრა ნორმისაგან და ბევრ ჩვენგანს ასე მიაჩნია ახლაც. რადგანაც 1990 წლამდე ფსიქოლოგები, მეცნიერები, ექიმები, მედიკოსები იძახდნენ, რომ ეს გადახრაა ფორმიდან და ყველასთვის ეს მისაღები იყო და მათ არც არავინ არ დევნიდა, ან როგორ შეიძლება დევნა. რადგან 1990 წლის შემდეგ, 23 წლის წინ დაადგინეს მეცნიერებმა, რომ არა, ბატონო, ეს არ არის გადახრა და ეს ნორმაა, ამიტომ ყველამ ასე უნდა იფიქროს?! იქნება ხვალ დაადგინონ სხვა მეცნიერებმა, რომ არა, ეს ნორმა არ არის, მეცნიერებს შორის დღესაც კამათია. რატომ უნდა აიძულონ ადამიანები, რომ მაინცდამაინც ასე ძალადობით მიიღონ ეს ყველაფერი. ფაქტიურად ის ხალხი მოითხოვდა, რომ ძალადობა მოეხდინა პოლიციას მათ მოწინააღმდეგე მომიტინგეებზე და მე ვფიქრობ, ეს არის მიუღებელი. რა თქმა უნდა, გამოხატვის თავისუფლებას ყველამ უნდა სცეს პატივი და ისევ ვიმეორებ, ძალადობა რაც ძალიან ცუდ ფორმებში და ზოგ შემთხვევაში ველურ ფორმებში გადაიზარდა ადამიანების დევნა და ეს საშინელი საყურებელი იყო, მაგრამ მეორე მხრივ, მათი მხრიდანაც უნდა იყოს გაგება იმისა, რომ ასეთი გამოვლინება ექნება საზოგადოებას. ასეთი გამოვლინება მთელს მსოფლიოშია, ზოგან მეტად, ზოგან ნაკლებად. უბრალოდ მართვა უნდა ერთი მხრიდანაც და მეორე მხრიდანაც უნდა იყოს კორექტული მოპყრობა მეორე მხარის ინტერესების მიმართ.

– ბატონო გელა, თქვენ ბრძანეთ, რომ 90 წლამდე მსგავსი რამ არ იყოო და ალბათ, დამეთანხმებით, რომ დღეს ამ ყველაფრის პროპაგანდა, წახალისება მიდის, დიდი რაოდენობით გრანტები გამოიყოფა მსგავსი ორგანიზაციებისთვის და ალბათ ასეც არის მნიშვნელოვანი ფაქტორი...

– იცით, რატომღაც ეს მიაჩნიათ თანამედროვეობად და ზოგიერთს შეიძლება სულ არ მოსწონდეს, მაგრამ მიმბაძველობით აკეთებდეს ამას. ახლა ნარკომანობა რომ ლეგალიზებული იყოს და ისინი გამოვიდნენ და თქვან, რომ რა კარგია ეს ყველაფერი და ჩვენც თქვენნაირები ვართ, ნუდისტები რომ გამოვიდნენ ქუჩაში, ან ვიღაცამ სექსუალური აქტის ჩატარება რომ მოინდომოს სახალხოდ და თქვას – ეს ჩემი თავისუფლებაა. ვიმეორებ, არსებობს საზოგადოებრივი მორალი, რომელიც ამ ეტაპზე და ამ კონკრეტულ ქვეყანაში და კონკრეტულ ადგილას ამას ვერ იღებენ და ვერ ეგუებიან და ძალით ამის დანერგვა, რადგან 23 წლის თუნდაც ცნობილმა მეცნიერებმა ეს დაადგინეს, მიუღებელია. 24 წლის წინ და 30 წლის წინ მეცნიერები არ არსებობდნენ? ისინი ადგენდნენ სხვას. ხვალ შეიძლება სხვა მეცნიერებმა სხვა დაადგინონ, ამისათვის ძალადობით ეს არ უნდა დაამკვიდრო და კრიტერიუმად და საზომად არ უნდა იყოს განსაზღვრული ქვეყნის დემოკრატიულობის, იღებ თუ არ იღებ ერთსქესიანთა ქორწინებას თუ ერთსქესიანთა სიყვარულს და რაც მთავარია, ამის დემონსტრირებას. თორემ ვინ უშლით, იყვნენ თავისთვის. მათ ჰქონდათ იმის საშუალება, რომ ჩაეტარებინათ ეს აქცია, თავიანთი ტელევიზიაც ჰყავდათ იქ, რუსთავი ორი. ჟურნალისტი მთელი დღე იქ იყო, როგორც შემდეგ გვაჩვენეს და გადაიღებდა ის თუ მაინცდამაინც ჩვენება უნდოდათ იმ ფონიჭალაში, სადაც აგრესიული მასა არ იქნებოდა მათი მოწინააღმდეგე. თუმცა ამ ყველაფერს თავიდანვე ასდიოდა გამოწვევისა და პროვოკაციის სუნი.

– ბატონო გელა, ჩვენ მოვისმინეთ პრეზიდენტისა და ყოფილი ხელისუფლების განცხადებები – რას იტყვის ევროკავშირი, რას იტყვის ნატო?! თუკი გეების აღლუმი არ მოგვწონს და მათ ტაშს არ ვუკრავთ, ამიტომ არ შეგვესვლება ნატოში? მაშინ რად გვინდა ასეთი ნატო?

– ესეც უცნაური მიდგომაა. მთლად ეგრე არ არის, ნატო არ არის მარტო გეების და გეიაღლუმების მოწყობის თავისუფლება. იმ უცხოეთში შეიძლება რაღაცა მოგეწონოს და რაღაცა არ მოგეწონოს. იმ ნატოშიც ძალიან ბევრი რაღაცა მოსაწონია, ხოლო თუ ასეთ პირობას გვიდებენ, ეს, რა თქმა უნდა, არ არის მოსაწონი და მისაღები. მათ უბრალოდ უნდა გავაგებინოთ, რომ თუნდაც ამ ეტაპზე ჩვენი ცხოვრების წესისთვის ეს არის მიუღებელი. მე არ მგონია, რომ ვინმე ასეთ პირობას აყენებდეს, რომ თუ გინდა ნატოში, გეიაღლუმები უნდა ჩაატარო. რაც უფრო მეტი გეი გვყავს, უფრო მიახლოებული ვართ ნატოს, ასე გამოდის. მაშინ აქედან მეორე ნაბიჯი ის არის, რომ რაც შეიძლება მეტი გეი უნდა გავზარდოთ ჩვენ და სკოლებში, საბავშვო ბაღებში ამის პროპაგანდა უნდა ვაწარმოოთ იმისათვის, რომ აგერ უფრო მეტად ვიყოთ ევროპული. ასე შეიძლება მეორე უკიდურესობაში და კომიკურ სიტუაციაში აღმოვჩნდეთ. რა თქმა უნდა, ეს გამძვინვარება და ეს ბრბოს ინსტინქტი ძალიან ცუდად გამოიყურება და ძალიან ცუდად ჩანს, მაგრამ, მეორე მხრივ, ეს ინსტინქტები არ უნდა იქნეს ხელოვნურად პროვოცირებული და გაღვივებული. აი, ეს არის ჩემი აზრი. თორემ ეს კრიტერიუმად არ უნდა იყოს დასახული არც ნატოს მიერ და არც არავის მიერ. დღეს ადვილია ასე ლაპარაკი ოპოზიციიდან, დღევანდელ ოპოზიციას ვგულისხმობ და გუშინდელ ოპოზიციას. მაშინ ამ ცხრა წლის განმავლობაში თვითონ რატომ არ ჩაატარებინეს, რატომ არ იყო ამ ხნის მანძილზე ეს გეი აღლუმები?! ვინმე მათ ხელისუფლებას უშლიდა, რომ ჩაეტარებინათ? ახლა ხომ ნათელია, რომ მათი პროვოცირებული იყო, ბოკერიასა და მისი ცოლის და მთელი ამ ე.წ. ფსევდოლიბერალების ორგანიზებული იყო, რომლებიც რამდენიმე ათეულ ადამიანს შეადგენს რეალურად ქვეყანაში და მაშინაც ხომ არსებობდნენ ესენი და ჩაეტარებინათ, რატომ არ ატარებდნენ მაშინ?! ხომ უფრო მეტად მოეწონებოდა ნატოს და ხომ უფრო მეტად მიუახლოვდებოდნენ?! მოლად ასე არ არის, უბრალოდ ეს წინა პლანზე გამოაქვთ იმ ადამიანებს, ვისაც უნდა, რომ პოლიტიკური დივიდენდები მოიპოვოს.

– თავიდანვე ვრცელდებოდა ინფორმაციები, რომ გეიაღლუმის ინიციატორები იყვნენ ნაციონალები. საზოგადოების ასეთი რეაქცია ხომ არ იყო ამ 9 წლის მანძილზე დაგროვილი ღვარძლის ამონთხევა მათ წინააღმდეგ? რადგან ეს აქცია ასოცირდებოდა ნაციონალებთან...

– კი, გარკვეულწილად ეს ასეც იყო, ხალხის განწყობაზე ესეც მოქმედებდა, რადგან სწორედ ისინი ასოცირდებოდნენ ამ აქციის უკან, თანაც ვნახეთ, როგორ აქტიურად უჭერდნენ მხარს. ისეთი არაპოპულარები არიან და ისეთი ზიზღის გრძნობა დათესეს მათ ხალხში, რომ რაც უნდა გენიოსური აზრი თქვან და რაც უნდა კეთილშობილური აზრი თქვან, ხალხი მაინც ასეთი სიტყვებით ხვდება მათ. ისინი ამბობდნენ, 2003 წელს რევოლუცია რომ მოახდინეს, რომ გაბრაზებული ხალხის გამოსვლა და აჯანყება იყო ესო. კი, მაშინ ხალხი გაბრაზდა, მაგრამ დღეს ხალხი არის გამწარებული. გამწარებული ხალხი უფრო საშიშია გაბრაზებულ ხალხზე. ეს ყოველ ნაბიჯზე იგრძნობა, ეს იგრძნობა ქუჩაში, რესტორანში ავტობუსში თუ სხვაგან. დღეს ჩვენ დიდი შეკრება გვქონდა სპორტის სასახლეში და იქაც იყო ეს გამოხატული.

– ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლებმა და მათმა მხარდამჭერებმა დიდი იერიში მიიტანეს სასულიერო პირებზე. ისინი ახალისებდნენ ამ ძალადობასო, ამის თაობაზე რას ფიქრობთ?

– რა თქმა უნდა, ეს არ არის მოსაწონი, მით უმეტეს, როდესაც სასულიერო პირი ძალადობას ახალისებს, მით უმეტეს, როდესაც თვითონ ძალადობს და ბილწსიტყვობს. კიდევ ერთხელ ვიმეორებ იმას, რითიც დავიწყე, ნებისმიერი ძალადობა და ნებისმიერი ფორმით, რა ფორმიანმა ადამიანმაც არ უნდა ჩაიდინოს ეს – სამხედრო ფორმა ეცმევა თუ პოლიციელის ფორმა, ანაფორა თუ სამოქალაქო ფორმა, დამნაშავე დამნაშავეა. ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, მე ყველაზე არა მაქვს ლაპარაკი, მაგრამ იქ თუკი ვინმე გამოირჩეოდა, მე არ ვიცი, არ ვყოფილვარ, მხოლოდ ტელევიზიით ვნახე ეს კადრები და ზოგიერთი ასეთი ანაფორიანი ჩანს აგრესიული და რა თქმა უნდა, ეს სრულიად მიუღებელია და ნამდვილად დასაგმობია, მით უმეტეს მათგან, რადგან ქრისტიანული რელიგია ნამდვილად არ არის აგრესია და ის მხოლოდ სიყვარულს ქადაგებს. მათ შეეძლოთ თავიანთი აზრი ისე დაეფიქსირებინათ, რომ პირიქით, მრევლი დაეშოშმინებინათ. თავიანთი პოზიცია მკაცრადაც დაეფიქსირებინათ, მაგრამ არა ძალადობით და ჩაქოლვისკენ მოწოდებით, ან ჩაქოლვის მცდელობით.

– რაც შეეხება იმ შეკრებას, რომელიც სპორტის სასახლეში გაიმართა, რას ელოდებით თქვენ ამისგან და რამდენად დაიწყება სამართლიანობის აღდგენა, რასაც საზოგადოება ამდენი ხანია ელის?

– მე ვფიქრობ, ეს არის დასაწყისი იმისა, რომ აი, ამ გამწარებულმა ადამიანებმა, როგორც ზემოთ ვახსენე, დაიწყეს რაღაცა თვითორგანიზება და თანდათანობით მათი პროტესტი უკვე წარიმართება ახალი ხელისუფლებისაკენ, თუ მათ ეს სამართლიანობის აღდგენის ტენდენციები უფრო სწრაფად არ გამოკვეთეს და უფრო სწრაფად არ წავიდნენ წინ. აქ რაღაცა თვითორგანიზებულობის მომენტია, რადგან იქმნება კომისია, რომელშიც სხვადასხვა მიმართულებით დაზარალებულების წარმომადგენლები შევლენ. იქნება ეს ქონებაწართმეულები, ბიზნესწართმეულები, ღირსებაწართმეულები, სიცოცხლეწართმეულების ოჯახები, უკანონო პატიმრების, პოლიტპატიმრების წარმომადგენლები და რა ვიცი, ძალიან ბევრი ადამიანი, იგივე იპოთეკით დაზარალებულები, ბინათმშენებლობებით დაზარალებულები და ბევრი სხვა ჯგუფი, რომლებიც ნამდვილად მოითხოვენ სამართლიანობის აღდგენას. ყველას ესმის, ბავშვი არავინ არ არის, რომ იმის ილუზია ჰქონდეთ, რომ ერთი ხელის მოსმით ყველაფერი თავის რეჟიმში აღდგება და სამართლიანად იქნება. თუმცა ისინი კარგად ხედავენ, რომ ამ მიმართულებით ნაბიჯები ფაქტიურად არ იდგმება. აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ ეს რეჟიმი დღემდე დამნაშავედ არ არის გამოცხადებული, უფრო სწორად, საფუძველი არ არის შექმნილი, ლაპარაკის იქით საქმე არ წასულა. მე ვგულისხმობ იმას, რომ რეალური განაჩენები უნდა დადგეს კონკრეტული დამნაშავეების მიმართ და არ მოვუწოდებ მე არავის, რომ ათეული წლებით ადამიანები ციხეებში ჩასვან. თუნდაც არც ერთი დღით არ ჩასვან, მაგრამ დამნაშავეს უნდა ეწოდოს დამნაშავე. როდესაც ადამიანებს ეს ეცოდინებათ, ისინი მორალურ შვებას მაინც იგრძნობენ და მეორეც, ის დამნაშავეები ასე ამაყად და ასე თავისუფლად და ჭკუის სასწავლებელი ტონით ვერ გამოვლენ ქუჩაში და თითის ქნევით ვერ ელაპარაკებიან საზოგადოებას, რაც კიდევ უფრო მეტ გაღიზიანებას და აგრესიას იწვევს და ამიტომ ხდება ეს ინციდენტები სხვადასხვა ლოკალურ ადგილებში. რესტორანი იქნება ეს, ქუჩა თუ სხვა თავშეყრის ადგილები.

ქახა კალაძე: „აღარასოდეს განმეორდება ის, რაც ცხრა წლის განმავლობაში ქვეყანაში ხდებოდა“

ენერგეტიკის მინისტრის, კახა კალაძის განცხადებით, აღარასოდეს განმეორდება ის, რაც ცხრა წლის განმავლობაში ქვეყანაში ხდებოდა, პოლიცია იქნება დეპოლიტიზებული და ჩვენი ქვეყნის თითოეული მოქალაქის უფლებებს დაიცავს.

ამის შესახებ გუშინ პოლიციელისადმი მიძღვნილი ღონისძიების დასრულების შემდეგ ენერგეტიკის მინისტრმა კახი კალაძემ ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა და თითოეულ პოლიციელს და მათ ოჯახებს პოლიციელის დღე მიულოცა. **მედიანიუსი**

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge **E-mail:** axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

მეუფე იაკობი: „თავს არავის დავაჩაგვრინებთ!“

სასულიერო პირები სასამართლოს წინაშე წარსადგომად მზად არიან

შორენა მარსაგიშვილი

17 მაისს თბილისში განვითარებული მოვლენები ისევ ყურადღების ცენტრშია. ამ დავიდარაბას უცხოური მედიაც აქტიურად აშუქებს. აქცენტი სასულიერო პირების მხრიდან გამოხატულ ძალადობაზე კეთდება. იმ აქციაში მართლაც სასულიერო პირები აქტიურობდნენ.

ლგბტ პირებს აქციის ჩატარების წინააღმდეგ საქართველოს პატრიარქიც გამოვიდა. მან 16 მაისს სთხოვა აქციის ორგანიზატორებს, ღონისძიება არ ჩაეტარებინათ. აქციის ჩატარების კატეგორიული წინააღმდეგი იყო პატრიარქის ქორეპისკოპოსი მეუფე იაკობიც.

რუსთაველზე დაწყებული არეულობის დროს მეუფე შემთხვევის ადგილზე იმყოფებოდა. ექსპერტმა ელენე ხოშტარიამ მეუფე იაკობის დაპატიმრება მოითხოვა. სასულიერო პირების დაკავება მოითხოვა უშიშროების საბჭოს მდივანმა გიგა ბოკერიამაც.

ამ მოთხოვნებს ერის ნაწილში დიდი ხმაური მოჰყვა. სასულიერო პირები და მეუფე იაკობი ამ გამოხდომებს მშვიდად შეხვდნენ. მისი თქმით, სასულიერო პირების მიმართ, რომლებსაც 17 მაისს გადაცდომა მოუვიდათ, ეკლესიაც მიიღებს ზომებს და ვფიქრობ, მათ არც საერო სამართლის წინაშე წარდგომა გაუჭირდებათ.

მისი თქმით, ხელისუფლებამ ყველა ფაქტი უნდა გამოიძიოს და ამას ეკლესია არ ეწინააღმდეგება.

– თუ ჩვენები – ეკლესის წევრები იქნებიან „დამნაშავეები“, ვფიქრობ, მათ საერო სამართლის წინაშე წარდგომა არ გაუჭირდებათ. მადლობა ღმერთს, კარგად გადაგვარჩინა. ფეხბურთის გუნდები რომ დაამთავრებენ ხოლმე თამაშს, იქ ხდება ხოლმე ტრაგედიები. ერთი ვიტრინაც არ ჩამტვრეულა, გატყდა ავტობუსის შუშა, ხალხსაც რაღაც მოუვიდა და ალბათ ჩვენც ვისწავლით, მაგრამ სახელმწიფოც შესაბამის დონეზე აღმოჩნდა. 17 მაისს ერს დაუდგა არჩევანი, რადგან ცოდვას ეკლესია ვერ შეურიგდება. თუმცა, არა არს კაცი, რომელი სცხონდეს და არა სცოდდეს. ჩვენ ყოველდღიურად მრავალ ცოდვას ჩავდივართ, მაგრამ სინანულის გრძნობით შეგვიძლია, კვლავ დავუბრუნდეთ უფალს. არავის უნდა ვახვევდეთ თავს ჩვენი ცხოვრების წესს. თითოეულ ადამიანს აქვს არჩევანი და ერთმანეთის არჩევანში არ უნდა ჩავერიოთ, მაგრამ ეკლესიისგან და ქართველი ერისგან სხვანაირი საქციელი მიუღებელი იქნებოდა. მადლობა ღმერთს, რომ ძალიან ცუდ რაღაცას გადაგვარჩინა. როდესაც ერის მამა – პატრიარქი მოგიწოდებს, როდესაც არის საშუალება, რომ აირიდო განსაცდელი, უნდა ისარგებლო მარტივი გამოსავლით. პირადად ვმონაწილეობდი იმ საუბრებში და ვთხოვდი, გადაენაცვლათ სხვაგან. ეს არ იყო ორგანიზებული აქცია – ხალხი შეიკრიბა და სამართალს ითხოვდა. როდესაც 100 ათასი ადამიანი შეიკრიბება, იქ შეიძლება მოვლენები ისე განვითარდეს, რომ საუბედურო ვეღარაფერი შეძლოს ადამიანმა. რამდენიმე ათეულ კაცს იმ მომენტში შეეძლო დაეთმო, გადასულიყო სხვაგან და საფრთხე არ შეექმნა საზოგადოებისა და ქვეყნისთვის, – აღნიშნა გუშინდელი ქადაგებისას პატრიარქის ქორეპისკოპოსმა.

– ხანგრძლივი საუბრის მიუხედავად შეთანხმება ვერ შედგა, რადგან „ვიღაცას სწორედ ის აწყობდა, რაც მოხდა. ამის შემ-

გაგრძელება მე-4 გვერდზე

ბიძინა ივანიშვილი: „ღარიბაშვილი კიკბოქსიორია და ხელჩართულ ჩხუბსაც არ მოერიდება“

ქართველმა პოლიციელებმა პროფესიული დღე აღნიშნეს

შორენა მარსაგიშვილი

გუშინ ქართული პოლიციის დღე აღინიშნა. მშობლიურ სამართალდამცავებს ეს დღე ყველა პოლიტიკურმა პარტიამ, მათ შორის ნაციონალებმაც მიულოცეს. არადა, ცოტა ხნის წინ ისინი მხოლოდ ვანო მერაბიშვილის პოლიციას ცნობდნენ და აღიარებდნენ.

ნაციონალური ხელისუფლების გადაწყვეტილებით, პოლიციის დღედ 6 მაისი დაწესდა. ეს გადაწყვეტილება პირადად ვანო მერაბიშვილმა მიიღო. ამას საზოგადოებაში დიდი პროტესტი მოჰყვა. მოგეხსენებათ, რომ 6 მაისს გიორგობა აღინიშნება.

წლევანდელი 6 მაისი აღდგომის მეორე დღესაც დაემთხვა, ამიტომაც შს სამინისტროს ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, პროფესიული დღე 19 მაისს აღენიშნა.

შინაგან საქმეთა სამინისტროში გამართულ საზეიმო ღონისძიებებს პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი, პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი, მთავრობის წევრები, დეპუტატები და საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ირაკლი ღარიბაშვილმა სამინისტროს მნიშვნელოვანი ტექნიკური და ინოვაციური სიახლეები მიწვეულ სტუმრებს პირადად გააცნო. პრემიერმა და მიწვეულმა სტუმრებმა დაათვალიერეს პოლიციელის ახალი უნიფორმა, სამხრე ვიდეოკამერა (რომელსაც ნაციონალებმა ღარიბაშვილის ღილები შეარქვეს), ჟეტონი, ახალი ავტომანქანა და მასზე დასაყენებელი ვიდეორეგისტრატორი.

გუშინვე გაიმართა სამინისტროს ახალი ვებგვერდის მობილური აპლიკაციისა და ქვეყნის მასშტაბით დროებითი მოთავსების იზოლატორების მონიტორინგისთვის დამონტაჟებული კამერების სამეთვალყურეო პროგრამის პრეზენტაცია. სამინისტროში წარმოადგინეს ახალი კანონი პოლიციის შესახებ, შს სამინისტროს განვითარების სტრატეგია, საქართველოს პოლიციის ეთიკის კოდექსი. ამის შემდეგ შს მინისტრმა, პრემიერმა და სტუმრებმა გადაინაცვლეს შენობის ეზოში, სადაც სიტყვით მიმართეს პოლიციელებს და მათ პოლიციის დღეს მიულოცეს. დღესვე ირაკლი ღარიბაშვილმა 50 წარჩინებული თანამშრომელი დაჯილდოვა.

როგორც შს სამინისტროში განმარტავენ, ქვეყნის მასშტაბით 37 დროებითი მოთავსების იზოლატორი სამეთვალყურეო კამერებით აღიჭურვა.

– სამეთვალყურეო კამერების დამონტაჟების მიზანია, დაკავებულთა უფლებების დაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მონიტორინგი. სამსახურებრივი მოვალეობების ჯეროვანი და ეფექტიანი შესრულების მიზნით, შემუშავდა საპატრულო პოლიციის, პატრულ-ინსპექტორის (მათ შორის მესაზღვრე-კონტროლიორი), მესაზღვრის და დროებითი მოთავსების იზოლატორების თანამშრომელთა ქცევის ინსტრუქციები. სამინისტროს ინფორმაციით, ინსტრუქციები განსაზღვრავს თანამშრომელთა ქცევის წესებს, შეიცავს კონკრეტულ ვალდებულებებსა და აკრძალვებს, – აცხადებენ ღარიბაშვილის უწყებაში.

საზეიმო ღონისძიებების დროს გაირკვა, რომ საპატრულო პოლიციას 400-მდე ახალი ავტომობილი და მოტოციკლი დაემატა. კერძოდ, საპატრულო პოლიციას დაემატა 400-მდე „შკოდას“ მარკის ახალი ავტომობილი და „სუძუკი“, „ჰონდა“ და „იამაჰას“ მარკის ახალი მოტოციკლი. ახალი ავტომობილებისა და მოტოციკლების პრეზენტაცია შს სამინისტროში გუშინვე გაიმართა.

როგორც ყველა დროში, საზოგადოების ერთი ნაწილი პოლიციის საქმიანობით უკმაყოფილოა. შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი გვპირდება, რომ ძალიან მალე ქართველი ხალხი პოლიციაში საკუთარ მეგობარს დაინახავს. ამბობს, რომ პოლიცია ჰუმანურობის, სამართლიანობისა და კანონიერების დაცვით მთელი ქართველი საზოგადოების სიყვარულსა და ნდობას დაიმსახურებს.

– ჩვენი აქ შეკრების მიზეზი ყველასთვის ნათელია. მე მინდა შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემის მთელ შემადგენლობას მივულოცო პოლიციის დღე. როგორც აქ დამსწრეებისთვის არის ცნობილი, შსს არის წამყვანი სამართალდამცველი უწყება. ჩვენი სტრუქტურა მოიცავს რამდენიმე სახის პოლიციას, რომლებიც უზრუნველყოფენ სახელმწიფოში არსებული კანონიერების განუხრელ დაცვას, საზოგადოების უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვას. დანაშაულის გახსნის და მისი აღკვეთის მიზნით ჩვენი უწყება თანამშრომლობს სხვა სახელმწიფო ორგანოებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან და პარტნიორ ქვეყნებთან. დღეს ჩვენ წინაშე დგას ამოცანა, რომ შევქმნათ და განვავითაროთ საზოგადოებაზე ორიენტირებული და დეპოლიტიზებული პოლიცია, რომელიც უზრუნველყოფს წესრიგსა და უსაფრთხოებას ეთიკისა და მორალის დაცვით და არამც და არამც მოქალაქეთა რეპრესირებისა და ჩაგვრის ხარჯზე. პოლიციელი თითოეული მოქალაქის მეგობარია და არა მისი ოპონენტი. ეს ხედვა არის ჩვენი სამინისტროს გენერალური ღერძი. საზოგადოებას და პოლიციას შორის ღია, ანგარიშვალდებული ურთიერთობის ჩამოყალიბების გარანტიად გვესახება პოლიციელის ყოველდღიური საქმიანობის, ჰუმანურობის, ადამიანობისა და კანონიერების პრინციპებზე აგება. ამ გზით დავიმსახურებთ მთელი მოსახლეობის ნდობასა და სიყვარულს, რის შედეგადაც ჩვენი პროფესიული დღესასწაული ჭეშმარიტ სახალხო ზეიმად იქცევა, – განაცხადა შს სამინისტროში გამართულ საზეიმო ღონისძიებაზე ღარიბაშვილმა.

შს მინისტრმა პოლიციელის დღის აღნიშვნა კარალეთის სპეციალური და საგანგებო ღონისძიებების ცენტრის ბაზაზე დაიწყო. ღარიბაშვილმა 2008 წლის ომში დაღუპულ შსს-ს თანამშრომელთა მემორიალი გვირგვინით შეამკო და მათ ხსოვნას პატივი მიაგო.

მინისტრმა სამსახურებრივი მოვალეობის სანიმუშოდ შესრულებისა და მიღწეული წარმატებებისათვის შსს-ს თანამშრომლები დაჯილდოვა. შს სამინისტროს მედლებით „განსაკუთრებული დამსახურებისათვის“ სპეციალური და საგანგებო ღონისძიებების ცენტრის განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის 11 თანამშრომელი დაჯილოვდა.

გუშინ გაირკვა, რომ მემორიალი იმ პოლიციელთა ხსოვნის უკვდავსაყოფადაც აიგება, რომლებიც სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაიღუპნენ. როგორც მინისტრმა განმარტა, არქივში მოხდა დაღუპული თანამშრომლების მონაცემთა დაზუსტებაც.

– მინდა, განსაკუთრებული პატივი მივაგო იმ პოლიციელთა ხსოვნას, რომლებიც სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებას, ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლას და საერთაშორისო მისიაში ქვეყნის ინტერესების დაცვას შეეწირნენ. მე მინდა აღვნიშნო, რომ აქამდე, სამინისტროს სისტემაში არ მომხდარა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს გარდაცვლილ თანამშრომელთა სრული სიის შედგენა. ჩვენ განვახორციელეთ არქივში მონაცემთა დაზუსტება და ვგეგმავთ ამ თანამშრომლების უკვდასაყოფად მემორიალის აგებას, – აღნიშნა მსტოვართუხუცესმა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მინისტრმა საზეიმო ღონისძიებები კარალეთის ბაზის მონახულებით დაიწყო. კარალეთის სპეცდანიშნულების რაზმი კონფლიქტის ზონის სიახლოვეს მდებარეობს. ღარიბაშვილმა კონფლიქტის მოგვარებაზე როგორც კარალეთში, ასევე შს სამინისტროში გამართულ ღონისძიებაზე ისაუბრა.

– ოკუპირებულ ტერიტორიები ჩვენი ქვეყნის დიდი ტკივილია. დილით კარალეთში, პოლიციელის დღის აღნიშვნისადმი განკუთვნილ საზეიმო ღონისძიებაზე ვთქვი და აქაც მინდა გავიმეორო: სახელმწიფოს მიერ ამ კონფლიქტის პოლიტიკური გზით და მხოლოდ მშვიდობიან გადაწყვეტას ყველა სახელმწიფო ორგანოს მიერ განსაკუთრებით გონივრული, თანმიმდევრული, მაღალპროფესიული მიდგომა სჭირდება, რათა აღვადგინოთ მეგობრული ურთიერთობა ჩვენს ძმებთან, – განაცხადა შს მინისტრმა.

ბოლო დროს შს მინისტრი რამდენჯერმე მოექცა პოლიტიკური წყევლა-კრულვის ქვეშ. არჩევნებიდან მოკლე ხანში ახალი ხელისუფლების ოპონენტებმა ამბავი ატეხეს, კრიმინალური ვითარება გამწვავდაო. 8 თებერვალს, საჯარო ბიბლიოთეკასთან მომხდარი ინციდენტის შემდეგ მინისტრს კიდევ უფრო გადაემტერნენ ნაციონალები. მერე იმაზე აუშარდნენ, სამინისტროში ცოლის ნათესავებს რატომ ასაქმებო. ამაზე ღარიბაშვილმა საინტერესო განმარტება გააკეთა და თქვა, რომ ცოლის ნათესავი ნათესავი არაა.

გემახსოვრებათ საიას მიერ ატეხილი აჟიოტაჟიც. ბათუმში მომხდარი ინციდენტი დიდი მითქმა-მოთქმის საგანი გახდა. 17 მაისის არეულობის შემდეგ პოლიციას ისევ დაუწყეს საყვედურები. თითქოს მან ლგბტ პირების დაცვა ვერ შეძლო. არადა, ყველაფერი ასე მშვიდობიანად რომ დასრულდა, პოლიციის დამსახურება იყო.

მოგეხსენებათ, რომ შს მინისტრი ბიძინა ივანიშვილის ნდობით აღჭურვილი პირი გახლავთ. ამბობენ, რომ პრემიერი ყველაზე მეტად მას ენდობა. ვიღაცებმა სცადეს ივანიშვილის კარზე მსტოვართუხუცესისთვის საქმის გაფუჭება. რაც სავარაუდოდ არ გამოვიდა. გუშინ ივანიშვილი ღარიბაშვილის ნამოღვაწარზე აღფრთოვანებით საუბრობდა.

პრემიერ-მინისტრმა შინაგან საქმეთა მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს მადლობა გადაუხადა. ივანიშვილის თქმით, ირაკლი ღარიბაშვილმა მოკლე დროში დაამტკიცა, რომ შეუძლია რთული სტრუქტურის ღირსეულად მართვა.

– თქვენ გაქვთ ბედნიერება, რომ გყავთ ძალიან კარგი ხელმძღვანელი. ეს არის ძალიან წესიერი, მოწესრიგებული და ძალიან საიმედო კაცი. თქვენ გყავთ ხელმძღვანელი, რომელიც არასდროს გიღალატებთ და არასდროს მიგატოვებთ გასაჭირში. ამავე დროს, ის კიკ-ბოქსიორი გახლდათ, სპორტსმენია და ხელჩართული ჩხუბიც თუ დასჭირდება, იქაც არ დაიხევს უკან და იქაც წამოგეშველებათ. წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის დავალება ძალიან საპასუხისმგებლოა. წესრიგის დამცველი პირველ რიგში თვითონ უნდა იყოს მოწესრიგებული და რაც უფრო მეტი ჩინი აქვს, მით მეტად მოწესრიგებული უნდა იყოს, ამის ვალდებულება უნდა გააჩნდეს და ასეთი მინისტრი გყავთ თქვენ, – მიმართა ივანიშვილმა პოლიციელებს.

პრემიერ-მინისტრმა სამართალდამცველებს პოლიციელის დღეც მიულოცა. მისი თქმით, პოლიციელს ქვეყნის წინაშე უაღრესად რთული მისია აკისრია.

– დღეს ჩვენ ქართული პოლიციის დღეს აღვნიშნავთ. ვულოცავ თითოეულ პოლიციელს და ჩვენი ქვეყნის ყველა მოქალაქეს. პოლიციელებს, ჩვენი ქვეყნის წინაშე უაღრესად რთული და საპატიო მისია გაკისრიათ. თქვენ ასრულებთ წესრიგის დაცვის უზრუნველყოფას. თქვენ ახერხებთ და იცავთ თითოეული მოქალაქის უსაფრთხოებას. თქვენ ხართ თითოეული ჩვენგანის უსაფრთხოების სადარაჯოზე და ხშირად ამ უსაფრთხოებას საკუთარი სიცოცხლის უსაფრთხოების ფასად ახერხებთ. ამის კარგი მაგალითია 17 მაისს თბილისში, ცენტრალურ მოედანზე განვითარებული მოვლენები, როდესაც თქვენ ღირსეულად მოახერხეთ და შექმენით გასასვლელი უმცირესობისთვის, რომ საკუთარი უფლებების დაცვა მოგეხერხებინათ. უმრავლესობასა და უმცირესობას შორის ჩადგეგით და მაშინ, როდესაც ნახეთ, რომ სიტყვის თავისუფლების ნაცვლად პირველ ადგილზე გადავიდა ადამიანის უსაფრთხოების დაცვა და მაშინ, როდესაც არ მოხერხდა აჟიტირებული უმრავლესობის შეკავება, თქვენ სწორედ რომ თქვენი სიცოცხლის უსაფრთხოების ფასად თქვენს სთავზე აიღეთ ყველა სიმძიმე და მოახერხეთ და გაარიდეთ უმცირესობა საფრთხეს. ამ მოვლენების დროს 20-მდე პოლიციელი დაშავდა, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

„ახალი თაობაც“ ულოცავს ქართველ პოლიციელებს პროფესიულ დღეს. იმედია, ჩვენი პოლიციელები თავიანთ მოვალეობას წესიერად შეასრულებენ, დაიცავენ ქვეყანაში წესრიგს. არც მოქალაქეების უფლებებს დაარღვევენ და არც ჟურნალისტებს შეუშლიან ხელს მუშაობაში.

2013, 20 მაისი, №117

მამუკა გიორგაძე: „ქართული ოცნება“ კომპარტიას დაემსგავსა“

„ვისაც არ დაეზარება, ყველა პრეზიდენტად იყრის კენჭს“

თამარ ნინიძე

სახალხო პარტიის თავმჯდომარე მამუკა გიორგაძე ახალი ხელისუფლების მართვის შუქ-ჩრდილებსა და იმ ტენდენციებზე საუბრობს, რომლებმაც შეიძლება ქვეყანა მძიმე შედეგებამდე მიიყვანოს. „ახალი თაობა“ მამუკა გიორგაძეს ესაუბრა.

– საპატრიარქომ საგანგებოდ სთხოვა მერიას, რომ ლგბტ-ს დამცველთა აქცია არ ჩატარებულიყო, მერიიდან მიიღო პასუხი, რომ მერიას უფლება არა აქვს, აუკრძალოს ვინმეს აქციის ჩატარება. თქვენ ამ ვითარებაზე რა აზრის ხართ?

– 1 ოქტომბრის შემდეგ მიმდინარე პროცესები ზოგიერთ საკითხში არანაირად არ შეცვლილა და არ განუცდია სერიოზული ტრანსფორმირება. ზოგიერთ მიმართულებაში გრძელდება იმავე კურსის განხორციელება. თვალი იხუჭება პრობლემაზე, ეს არის ამ პრობლემის ხელის შეწყობა, რაც საქართველოსთვის ძალიან მნიშვნელოვან წინააღმდეგობად შეიძლება გადაიქცეს. არც ახალი ხელისუფლება ითვალისწინებს საზოგადოებრივ აზრს, არც საპატრიარქოს აზრს, თავისი დუმილით ხელს უწყობს, ვითომდა მაღალი იდეალების საბაბით დაპირისპირების პროვოცირებას. პრობლემა, რომელზეც ჩვენ დღეს ვსაუბრობთ, საქართველოს წინაშე არ დგას, არ დგას ისე საკითხი, რომ იჩაგრებოდეს ვინმეს უფლებები. არ არის დაფიქსირებული არც ერთი ფაქტი, არანაირი ტენდენცია ამ მიმართულებით, სადღაც რაღაც მოხდა, ეს უფრო ყოფითი პრობლემაა, ვიდრე საზოგადოებრივი. ის ადამიანები კი არ გამოდიან დემონსტრაციაზე, რომლებიც უნდა ითხოვდნენ საკუთარი უფლებების დაცვას, არამედ გამოდიან მათი უფლებების დამცველი სამთავრობო ორგანიზაციები. ეს ხომ შეუსაბამობაა, თუ დასაცავი არ იცნობს დაცვას, მაშინ ვის იცავენ აქციის ორგანიზატორები? თუ ხმას არავინ იღებს, გვდევნიანო, ეს აქციის ზუსტი დახასიათების საშუალებას გვაძლევს, მათ ან ანგარიში უნდა ჩააბარონ დამფინანსებლებს, ვითომც ისინი არიან ხმალამოღებული დამცველები, ან ესენი არიან პროფესიონალი პროვოკატორები, რომლებიც ისედაც დაძაბულ ვითარებაში მოწადინებული არიან, ცეცხლს ნავთი დაასხან. საკითხისადმი ასეთი მიდგომა მათ ამხელს. საერთაშორისო დღე დაწესდა იმიტომ, რომ სადაც პრობლემაა, იქ გავამახვილოთ ყურადღება. საბჭოთა კავშირის დროს ასეთი მრავალი დღე იყო, რომელსაც აღნიშნავდნენ ის ქვეყნები, სადაც ეს პრობლემა იყო, მაგალითად, პოლიტპატიმრის დაცვის დღეს აღნიშნავდნენ მხოლოდ იმ ქვეყნებში, სადაც ეს პრობლემა იყო. ხდება ხელოვნურად დამახინჯება საერთაშორისო აზრის, ისეა წარმოდგენილი, თითქოს საერთაშორისო თანამეგობრობა ჩვენგან ითხოვს განსაკუთრებულ ქმედებებს. არ ითხოვს ამას საერთაშორისო თანამეგობრობა. საერთაშორისო თანამეგობრობა ითხოვს მხოლოდ ერთს, რომ არანაირი აზრისა და პოზიციის გამო ქუჩაში არავის არ უნდა დავსდევდეთ ჩაქუჩით. საჯარო სივრცე, ქუჩა ეს ამავე დროს არის პედაგოგიური სივრცე. აქ უნდა იყოს გათვალისწინებული მოსახლეობის უმრავლესობის ინტერესი, არ სურთ, საკუთარ ბავშვებს ასეთი სანახაობები აყურებინონ. სახელმწიფომ უნდა აიღოს თავის თავზე პასუხისმგებლობა და არ შექმნას დაპირისპირების კერები. ეს ყველაფერი, რაც ხდება, ხელისუფლების პრობლემაა. როცა გაშლილ მინდორში ასეთი ხელოვნური წინააღდმეგობები არის შექმნილი.

– ბრაზილიაში სულ ცოტა ხნის წინ გავრცელებული ინფორმაციით, ნებადართული გახდა ერთსქესიანთა ქორწინებები, მეორე მხრივ, არის აზიის ქვეყნები, სადაც ეს სიკვდილით ისჯება. ჩვენთან ეს როგორ უნდა დარეგულირდეს, იქნებ რეფერენდუმი ჩავატაროთ, რომ გავიგოთ, საზოგადოებას უნდა და უხარია ეს, თუ პირიქით, სასტიკი წინააღმდეგია?

– როგორ უყურებს ამას საზოგადოება, ეს მარტივი დასანახია, რეფერენდუმი ამის ერთ-ერთი გამოვლინებაა. რადგან წინასწარ იციან რეფერენდუმის შედეგები, ამიტომ ხდება აგრესიული უმცირესობის მხრიდან იმ ნაბიჯების გადადგმა, რომელიც ხელს შეუწყობს ამის პროპაგანდირებას. თვითონაც ხომ იციან, რომ ეს ხოლოვნური პრობლემაა. იციან, რომ საზოგადოებაში ეს არ არის მხარდაჭერილი, ცდილობენ, თავი მსხვერპლად წარმოაჩინონ, რათა შემდეგ მიიღონ გრანტები, შექმნან ისეთი გარემო, სადაც ფსიქოლოგიური ზეწოლა ხდება. თავდაცვის მექანიზმებს იყენებენ. ამას შევადარებდი ნაცმოძრაობის თანამდებობიდან მოხსნილი წევრების განცხადებებს, ვითომ მათ ამის გამო დევნიან. ვინ ჩაგრავს ნაციონალებს, პირიქით, ეგენი უფრო „გულაობენ“. ჰომოფობიასთან მებრძოლთა აქციის მონაწილე პირთათვის აქციაზე ძალადობა ან დუმილი საზოგადოების მხრიდან ნებისმიერ შემთხვევაში წარმატებაა. მათ სურთ, რომ პრობლემის აქტუალიზაცია მოხდეს. ხელოვნურად ახვევენ თავს საზოგადოებას თავიანთი თამაშის წესებს. ხომ კარგად გვახსოვს, როგორ ძალით აცემინებდა ბოკერია

თავს მკალავიშვილის ხალხს. იეღოველებისა და საერთო ჯამში ადამიანის უფლებების დაცვის საბაბით გრანტები და მხარდაჭერა მიეღო იმ ქვეყნებიდანაც კი, სადაც იეღოველთა სექტა აკრძალულია. დღეს ლგბტ ადამიანები უკვე გამარჯვებულები არიან და ჩვენ უფრო მეტი დაკვირვება გვმართებს, ხელისუფლებას პასუხისმგებლობა უნდა დავაკისროთ, მან ხომ ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ ლგბტ პირებისთვის ხელი შეეწყო, ის განეხორციელებინათ, რაც დასახული ჰქონდათ. სადაც არის პრობლემის სათავე, იქ უნდა გავაანალიზოთ, რა ხდება.

– ქართული ოცნების საპრეზიდენტო კანდიდატი გიორგი მარგველაშვილია, არიან სხვა პოლიტიკოსებიც, რომლებიც კენჭს იყრიან პრეზიდენტის პოსტზე, ნათელაშვილი, ნესტან კირთაძე, 26 მაისს როგორც მედია ავრცელებს ცნობას, ბურჯანაძეც განაცხადებს არჩევნებში მონაწილეობის სურვილს. როგორ შეაფასებთ ამ მარათონს და ვის აქვს მეტი შანსი გამარჯვებისთვის?

– ვისაც არ ეზარება, ყველა წარადგენს თავს, რომ ერთი-ორჯერ ტელევიზიითაც გამოჩნდეს და დაფიქსირდეს, ამ მხრივ ეს საინტერესო პროცესი ნამდვილად არ არის. ყურადღება პიროვნებებზე კი არ უნდა გავამახვილოთ, არამედ პროცესებზე. გასარკვევია, რას გვთავაზობენ ახალს, რას გვთავაზობენ ისეთს, რაც სიღრმისეულად დაგვანახვებს პრობლემას და ამ პრობლემის მოგვარების გზებს. ქართულ ოცნებას აქვს, რა თქმა უნდა, უფლება, ვისაც უნდა, იმას დაასახელებს, მაგრამ წარმოიდგინეთ, მთლიან კონტექსტში ეს როგორ ჯდება. მარგველაშვილი დაასახელეს იმიტომ, რომ თავიდან ბოლომდე იქნება ოცნების ინტერესების გამომხატველი და დამცველი. პრემიერ-მინისტრი აცხადებს, რომ როცა ნაცმოძრაობა აღარ იქნება პარლამენტში და პოლიტიკაში, კოალიციის შიგნით შეიქმნება ოპოზიცია. არის იმის ტენდენცია, რომ ისევ შეიქმნას საქართველოში პოლიტიკის მონოპოლიზების სისტემა. არის იმის საფრთხე, რომ მედია, პოლიტიკა, ბიზნესი, არასამთავრობო სექტორი იმართებოდეს ერთი წერტილიდან. ღიად ამის შესახებ თვით საკაშვილიც კი არ საუბრობდა. ახლა ღიად გვეუბნებიან, რომ ჯიბის პრეზიდენტი იქნება, ჯიბის პარლამენტი გვეყოლება, ჯიბის არასამთავრობო სექტორი და ოპოზიცია. შემაშფოთებელი ტენდენციებია და ამას სჭირდება სერიოზული გააზრება, დაფიქრება. ის, რომ მრავალი იქნება პრეზიდენტობის კანდიდატი, შეიძლება ამ მონოპოლიზებული სისტემის ინტერესშიც შედიოდეს. მთავარ კონკურენტებს შორის ბრძოლა დაიჩრდილოს და საპრეზიდენტო კამპანია გახდეს მარგინალური და გადავიდეს ისეთ ფორმაში, როგორიც საქართველოს არ წაადგება.

– ჯონდი ბაღათურიამ ეჭვი გამოთქვა, რომ ივანიშვილი ინფორმაციულ ვაკუუმშია და მას არ ეუბნებიან სიმართლეს. ეთანხმებით ამ ეჭვს?

– ეს იმ ნუსხიდან არის, მეფემ არ იცის ჩვენი გაჭირვება, თორემ ასე არ მოიქცეოდა, სტალინამდე მიმაღწევინა ხმა, პირველ მდივნამდე და ა.შ. იგივე განცხადებები კეთდებოდა საკაშვილთან მიმართებაში, მისი პრეზიდენტობის პირველ წლებში. ივანიშვილს ისე არ უცხოვრია, რომ ჩაკეტილი ყოფილიყო და არ სცოდნოდა, რა ხდებოდა მის გარშემო. რა გარემოცვას აირჩევს მეფე, ეს მეფის გადასაწყვეტია. პირველს როცა ვერ ვუბედავთ, სხვას რომ გადავაბრალოთ, უხერხულია. პასუხისმგებლობა აკისრია პიროვნებას, მან უნდა შექმნას თავისი გუნდი, თავის ქმედებებზე და ნაბიჯებზე ის არის პასუხისმგებელი. პირველ ოქტომბერს ხმა არ მიუციათ არც რესპუბლიკური პარტიისთვის, ან ადამიანებისთვის, რომლებიც სიაში ჰყავდა ივანიშვილს, ხალხმა ხმა მისცა მხოლოდ ივანიშვილს. ე.წ. რუხი კარდინალების თემა შემოდის, მას სჭირდება, რომ ასე იყოს, ამ რუხ კარდინალებს ამის უფლებას თვითონ ივანიშვილი აძლევს. როგორც კი ივანიშვილი არ მისცემს მათ ამის უფლებას, ეს ადამიანები თავისთავად არაფერს წარმოადგენენ და ამის დადასტურება იყო თუნდაც საპრეზიდენტო კანდიდატის დასახელება, როცა ხბოს აღტყინებით ლამის მთელმა სადეპუტატო კორპუსმა და მთავრობამ თავი ბედნიერად შერაცხა და ღმერთს მადლობა შესწირა ასეთი კანდიდატის დასახელების გამო. ასეთი აღსაფრთოვანებელი კანდიდატი თუ იყო, აქამდე რატომ არ ეუბნებოდნენ ივანიშვილს? მაშინ დაიწყეს ამაზე საუბარი, როცა თვითონ ივანიშვილმა დაიწყო ამაზე საუბარი.

– თქვენ გინდათ თქვათ, რომ არის მლიქვნელობის და ფარისევლობის ნიშნები პარლამენტში და მთავრობაში?

– ბუნებრივია, ის, რაც ხდებოდა პრეზიდენტობის კანდიდატის დასახელების დროს, შევადაროთ რა ხდებოდა ოცდაათი-ორმოცი წლის წინ, კომპარტიის ყრილობებზე. აშკარაა მსგავსება და ეს სამწუხაროა იმიტომ, რომ ივანიშვილს დიდი რესურსი აქვს, დაამარცხოს ბოლშევიზმი საქართველოში, ეს ნაბიჯები უნდა გადადგას, მას აქვს უნიკალური შანსი, რომ ოქროს ასოებით ჩაეწეროს საქართველოს ისტორიაში, თუ მოახერხებს ამ ბოლშევიკური სისტემის დამარცხებას, თუ მოახერხებს იმას, რომ ჯანსაღი პოლიტიკური გარემო დანერგოს საქართველოში. თუ ისევ დაიწყებს იმ სისტემის გამყარებას, რომელიც ჩვენ პირველ ოქტომბერს დავამარცხეთ, აღმოჩნდება ისეთივე მდგომარეობაში, როგორშიც აღმოვჩნდით ყველანი ორი წლის წინ, როცა უდიდესი უფსკრული შეიქმნა ხელისუფლებასა და საზოგადოებას შორის. თუ ივანიშვილმა არ აღკვეთა ის ტენდენციები, რომლებიც მოდის იმ ადამიანებისგან, რომელთაც არ გააჩნიათ არანაირი სხვა ღირსება, გარდა იმისა, რომ აქვთ უნარი, თავი მოაწონონ ვინმეს, ეს ხალხი გამოკიდებულია სხვადასხვა პოლიტიკურ ლიდერებზე, ისინი ცდილობდნენ, ჩაბმულიყვნენ ერთ ვაგონად რომელიმე ლოკომოტივად მატარებელში. ეს ადამიანები ჩაარტყამენ პირველ წიხლს ივანიშვილს. შევარდნაძეს მისმა გაზრდილებმა ჩაარტყეს პირველად წიხლი, ასევე მოხდა სააკაშვილის შემთხვევაშიც, მისმა ნეხვიდან ამოყვანილმა პოლიტიკოსებმა ჩაარტყეს პირველი წიხლი. ეს ამ სისტემის კანონია, არ ვისურვებდი, რომ ივანიშვილის რეიტინგი ამ საქმეებზე დაიხარჯოს.

– ხედავთ თუ არა ჩრდილოვანი მინისტრთა კაბინეტის ნიშნებს და ფორმალურად მყოფ მინისტრებს ამ პოსტებზე არა აქვთ უფლებები და რუხი კარდინალებად წოდებული ფიგურები მართავენ ქვეყანას, მაგალითად, ხუხაშვილზე იყო საუბარი?

– დღეს ქვეყანას მართავს ერთი კაცი, ამიტომ ვისაც მისცემს მეტ უფლებებს, იმის მიხედვით იქნება ყველაფერი. დღეს ყალიბდება ერთ პიროვნებაზე მორგებული მართვის სისტემა, არ ხდება ფუნქციური გადანაწილება კანონით განსაზღვრული კომპეტენციებისა. სულ მახსენდება ამ შემთხვევაში პრემიერის განცხადება, რომ მან ვიღაცას დაავალა კონკრეტულ ბიზნესმენებთან ურთიერთობის გარკვევა. რას ნიშნავს ეს? თუ ეს ბიზნესმენები დამნაშავეები არიან და უკანონოდ მოიპოვეს ქონება, ამას სასამართლო და პროკურატურა უნდა იხილავდეს. თუ კანონიერად მოიპოვეს ქონება, მაშინ რა საჭიროა მათთან წილების განაწილებაზე საუბარი? თუ ეს ასე გაგრძელდა, სამწუხაროდ, მწარე რეალობაში აღმოვჩნდებით.

– რამდენიმე პოლიტიკურმა პარტიამ შეშფოთება გამოხატა, რომ საქართველოში შეიმჩნევა ეკონომიკური რეცესიის ნიშნები, რაც გადაიზრდება ეკონომიკურ კრიზისში. თქვენ როგორ შეაფასებთ ხელისუფლების საქმიანობას შვიდი თვის მანძილზე სოციალური და ეკონომიკური მიმართულებებით?

– საზოგადოებას რაში სჭირდება ექსპერტები, პარტიები, როცა თავიანთ ტყავზე გრძნობენ, რა ხდება, როცა გრძნობენ, რომ სამუშაო მცირდება, რომ ეკონომიკა წინ ვერ მიდის, როცა ბაზარში გახვალ და იქ სიხალვათეა, ეს ნიშნავს, რომ ხალხს ფული არა აქვს, ამას არ სჭირდება დიდი ექსპერტობა და ეკონომიკის კანონების ცოდნა. ბიზნესი გრძნობს, რომ ძველი მონოპოლური დამოკიდებულება შეიძლება ახალმა შეცვალოს და რისკებზე არ მიდის, აჩერებს ფუნქციონირებას, ეს თვალნათელია. როცა არჩევნების წინ ქართული ოცნება მყისიერად გვთავაზობდა სოციალური ფონის გაუმჯობესებას, ამას არ ითვალისწინებდა. უწევს მთელი სოციალური მექანიზმების ამუშავება. ვაუჩერების გაცემა ხომ სოციალური დახმარებაა, თუმცა ერთჯერადი დახმარებაა. ეს არანაირ ეკონომიკურ ეფექტს არ მოიტანს. ხელისუფლებას არა აქვს წარმოდგენილი ეკონომიკური ხედვა. ხელისუფლებას არა აქვს წარმოდგენა, რა ხდება ქვეყანაში. რეცესია იქნება, აბა, რა იქნება, როდესაც არც ერთი ციფრი არ წერია მთავრობის პროგრამაში. ისე მოვიდა ეს ხელისუფლება, რომ არ ელოდებოდა გამარჯვებას. დღეს, შვიდი თვის თავზე სერიოზული პრობლემები იჩენს თავს და თუ არ მოხდება რადიკალური ნაბიჯების გადადგმა და საზოგადოების იმ ფენების ჩართვა საქმეში, რომლებიც პროფესიონალები არიან, მძიმე შედეგამდე მივალთ.

მეუფე იაკობი: „თავს არავის დავაჩაგვრინებთ!“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

დეგ ხალხმა თავისი ნება გამოხატა. მადლობა ღმერთს, რომ იქ მრავალი სასულიერო პირი იყო, ხოლო პოლიციას დღევანდელ საქართველოში ხალხი ისე აღარ უყურებს, როგორც – რამდენიმე თვის წინ. რომ არა პოლიცია და სასულიერო პირები, დიდი ტრაგედიის წინაშე დავდგებოდით და ამაზე პასუხისმგებლობა ვის დაეკისრებოდა, რა აზრი აქვს?! ეს მხარეები ხომ საქართველოს შვილები ვართ, გინდ სხვანაირად აზროვნებდნენ და ცხოვრობდნენ, გინდ – ერის ტრადიციებით. ჩვენ ამაყები ვართ, რომ საქართველოს მოქალაქეები და დედაეკლესიის წევრები ვართ. მე იქ ვიყავი, როგორც ერთი ჩვეულებრივი ქართველი, მაგრამ არ გამომივიდა, რადგან ეპისკოპოსის ჯვარი სხვა რამეა. მე მხოლოდ იმისთვის მივედი, რომ ვინც მიცნობს, ის მხარე მაინც გამეჩერებინა. ასევე იყვნენ მამები, რომ ვისაც იცნობდნენ, ისინი გაეჩერებინათ და მადლობა ღმერთს, რომ ხელისუფლებამაც იყოჩაღა. მათ ის ადამიანები გაარიდეს და პოლიცია და მამები ერთად ეხმარებოდნენ გასვლაში, თუმცა, მოხდა სამწუხარო შემთხვევებიც. როდესაც ამდენი ადამიანია, იქ ძნელია, მარტო ქრისტიანობასა და მორალზე საუბარი. ბევრმა თავის ადამიანურ ბუნებას ვერ გადააბიჯა და ვიღაცას მტრად შეხედა, შეაგინა ან ხელი მოუქნია. როგორც მითხრეს, სასულიერო პირებიც იყვნენ მათ რიგებში. მე მათ ვერც გავამტყუნებ და ვერც გავამართლებ, ისინიც ადამიანები არიან და შესაძლოა ნერვებმა უმტყუნათ. ძალადობა მხოლოდ მუშტის მოქნევა არ არის და გაცილებით მძიმეა ფსიქიკური და ფსიქოლოგიური ძალადობა ადამიანებზე, რასაც წინა დღეებში ჰქონდა ადგილი. როდესაც გეუბნებიან – დაძაბულია სიტუაცია და გადადი სხვაგან, კეთილი უნდა ინებო და გადახვიდე. თუ ქვეყანა გიყვარს – გადახვალ, როცა ქვეყანა არ გიყვარს და ფული გიყვარს – მაშინ არ გადახვალ. მე ვალდებული ვარ, სიმართლე ვილაპარაკო, რადგან ღვთის წინაშე უნდა წარვდგე, რომ მოვკვდები, – აღნიშნა მეუფე იაკობმა.

პატრიარქის ქორეპისკოპოსმა გუშინ ჟურნალისტებსაც მიმართა. მისი მიმართვა მასმედიის იმ წარმომადგენლებს ეხებოდა, რომლებისთვისაც, მისი თქმით, სამშობლოს დაცვა მეათეხარისხოვანია.

– ჩვენს ქვეყანაში მცხოვრები ყველა ადამიანი უნდა დავიცვათ, მაგრამ არ გრცხვენიათ, რომ კითხვები მხოლოდ იმაზეა – ვიღაცის უფლებებს იცავენ თუ არა. ვის იცავთ და რას იცავთ?! ქართველმა ერმა აჩვენა, რას დაიცავს. ეს არ იყო ერთჯერადი აქტი, ძალიან დიდი რამ მოხდა. ჩვენ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში არ ვერევით. არავის არსად ვანიშნინებთ და ყველამ ნახა, რომ სამებაში წავედით. ნუ მივიყვანთ ხალხს იმ დონემდე, როგორც რამდენიმე თვის წინ – ყველას კარგად ახსოვს, როგორი აგრესია იყო რამდენიმე პირის მიმართ. ამან შეიძლება, ვიღაცაზე გადმოხეთქოს. თუ გვინდა ქვეყნის კეთილდღეობა, ვინც პატიებას ითხოვს, ვაპატიოთ. ისე ნუ გამოვიყვანთ, რომ მამაომ ხელი მოიქნია – ისიც ადამიანია და ხალხში როცა გაერია, შესაძლოა ეს მოხდა. მნიშვნელობა არ აქვს, სამოქალაქო პირი მოიქნევს ხელს, მამაო თუ სხვა კონფესიის ადამიანი. არ ვამართლებ ამას და ვგმობთ ყოველგვარ ძალადობას, მაგრამ, ეს მაგალითი უნდა იყოს ყველასთვის ჭკუის სასწავლებლად – ქართველი კაცი უფალს არ მიატოვებს. არის რაღაც, რასაც საზოგადოება არ მიიღებს. ევროპა ისეთს მიგვიღებს, როგორებიც ვართ. არა მგონია, ევროპას ჩვენთვის ხელის კვრა უნდოდეს, რადგან ევროპული სივრცე ჩვენთვის ახლობელი სივრცეა, თუმცა ჩვენ ჩვენი ტრადიციები გვაქვს, – აღნიშნა ქორეპისკოპოსმა.

ის არ ეთანხმება იმ მოსაზრებას, რომ რაც მოხდა, საქართველოსთვის სამარცხვინო იყო. პატრიარქის ქორეპისკოპოსი ბედნიერია, რომ ხალხმა გაიღვიძა. მას ეამაყება, რომ ქართველია.

– ეკლესია და ხელისუფლება ვალდებული ვართ, ვაკეთოთ ის, რასაც ხალხი მოითხოვს. წავიდა კომუნისტების პერიოდი, როცა გვეუბნებოდნენ, როგორ უნდა გვეცხოვრა. შევარდნაძის პერიოდიც წავიდა, სააკაშვილის პერიოდიც წავიდა და ყოველივე ამაზე ყველამ ჭკუა უნდა ვისწავლოთ. მადლობა ღმერთს, გაჩნდა იმედი, რომ ყველანი ერთად შევძლებთ ძლიერი სახელმწიფოს აშენებას, სადაც ყველანი თავისუფლები ვიქნებით. კარგად იცოდეს ყველამ, რომ თავს არავის დავაჩაგვრინებთ, – ბრძანა მეუფე იაკობმა.

გიორგი ლალიძე: „მარგველაშვილს საპრეზიდენტო არჩევნების მოგება გაუჭირდება“

შორენა გონგლაძე

ინტერვიუ პარტია „მომავალი საქართველოს“ ლიდერ გიორგი ლალიძესთან

– 17 მაისს რუსთაველზე განვითარებული მოვლენები საერთაშორისო საზოგადოების ყურადღების ქვეშ მოექცა. ქართველი საზოგადოების აზრიც ორადაა გაყოფილი. თქვენ, როგორც ყოფილი ადამიანის უფლებათა დამცველი, რა შეფასებას აძლევთ ამ ყველაფერს?

– მე, პირადად, როგორც ქართველი და მართლმადიდებელი, კატეგორიულად ვგმობ სექსუალური უმცირესობების ყოველგვარ აქციებს და პროპაგანდას, თუმცა ნუ დაგვავიწყდება ისიც, რომ ყველა ადამიანის უფლება გარანტირებულია კონსტიტუციით და ჩვენი ქმედება უნდა ჩაჯდეს კანონის ჩარჩოებში. ფაქტია, რომ საერთაშორისო ორგანიზაციებმა, რომლებიც მათ უწევენ მფარველობას, დაინახონ, რომ ასეთი სახის გარყვნილება საქართველოში ფეხს ვერასოდეს მოიკიდებს. ის, რაც რუსთაველზე მოხდა, სწორედ ამის ნათელი გამოვლინებაა. იქ, რა თქმა უნდა, იყო ძალადობის ცალკეული ფაქტები. ეს არის ყოველ დასაგმობი, ჩემთვის მიუღებელი, მაგრამ სწორედ ამ უმცირესობის წარმომადგენლებმა უნდა იცოდნენ ერთი რამ, რომ მათ არ უნდა შელახონ სხვისი უფლებები, თავიანთი ორიენტაციის რეკლამირებით შეურაცხყოფა არ უნდა მიაყენონ მართლმადიდებლობას, რომელიც პირდაპირ ეწინააღმდეგება ამ ყველაფერს. ამას ქართველი ერი არ მოითმენს. ეს ყველამ კარგად უნდა იცოდეს. მე ვფიქრობ, რომ ამ დღის შემდეგ არავის თავშიც კი არ უნდა მოუვიდეთ აზრი, რომ ოდესმე საქართველოში ასეთი სახის აქცია გაიმართება. ამ შემთხვევაში ხელისუფლებას უნდა ემოქმედა გონივრულად, რაც თავიდან აგვაცილებდა იმას, რაც მოხდა.

– იყო თუ არა შესაძლებელი ამ ყველაფრის თავიდან აცილება?

– ხელისუფლებას მხარდაჭერა კი არ უნდა გამოეცხადებინა, არამედ მათ უნდა მიეღოთ პრევენციული ზომები იმისათვის, რომ არ მომხდარიყო ორი ერთმანეთისგან განსხვავებულად მოაზროვნე ადამიანთა ჯგუფების დაპირისპირება. ხელისუფლებას ამისათვის საკმაოდ დიდი დრო ჰქონდა. ფაქტია, რომ ქვეყანაში განვითარებულ მოვლენებზე პასუხისმგებლობა ეკისრება ქვეყნის ხელისუფლებას. აქედან გამომდინარე, ვამბობ, რომ მათ თავი ვერ გაართვეს ამ პროცესებს და ქართველი საზოგადოება გახდა პროვოკაციის მსხვერპლი, მაშინ როდესაც შესაძლებელი იყო, ძალიან მარტივად აგვერიდებინა თავიდან ის პროცესები, რაც რუსთაველზე განვითარდა.

– იყო თუ არა პოლიცია მოწოდების სიმაღლეზე?

– მე ამას პრევენციულ ღონისძიებად ნამდვილად ვერ მივიჩნევ. ეს არ იყო ის, რაც უნდა გაეკეთებინა ხელისუფლებას. ეს იყო კარგად დაგეგმილი პროვოკაცია, რაც ვერ აღკვეთა ჩვენმა ხელისუფლებამ, მაგრამ, თუ ჩვენ ვსაუბრობთ დემოკრატიულ ღირებულებებზე, თუ ჩვენი გზა არის ნატოს გზა, ამ ყველაფერს სხვა თვალით უნდა შევხედოთ.

– არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ცალკეული პირების მხრიდან გაისმა მოთხოვნა სასულიერო პირების დასჯასთან დაკავშირებით.

– მიმაჩნია, რომ თუ სასულიერო პირები არ იქნებოდნენ, შესაძლოა, აქციაზე ბევრად უფრო ცუდი რამ მომხდარიყო. მე კარგად მახსოვს, როდესაც აქციაზე პატრიარქის ქორეპისკოპოსმა განცხადება გაკეთა და ხალხს სიმშვიდისა და სამების ტაძარში წასვლისაკენ მოუწოდა. ასე რომ, სასულიერო პირები კი არ უნდა დაისაჯონ, არამედ უნდა დაისაჯონ ის პროვოკატორები, რომლებიც მთელი თვის განმავლობაში აანონსებდნენ ამ აქციას და პროვოცირება გაუკეთეს ხალხის ქუჩაში გამოსვლასა და გაღიზიანებას.

– რაც შეეხება მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებს, კოალიციის საპრეზიდენტო კანდიდატზე რას იტყვით?

– მიმაჩნია, რომ „ქართული ოცნების“ კანდიდატს ცალსახად გაუჭირდება არჩევნებში გამარჯვება. ჩემთვის უცნობია, ივანიშვილმა რა კრიტერიუმით შეარჩია გიორგი მარგველაშვილი, მაშინ როდესაც მათ ჰქონდათ საშუალება, უკეთესი კანდიდატი დაესახელებინათ, თუნდაც იგივე ირაკლი ალასანია, რომელსაც გაცილებით მეტი რეიტინგი, მეტი განათლება და მეტი პოლიტიკური გამოცდილება გააჩნია.

ჰამლეტ ჭიპაშვილი: „არასამთავრობო ორგანიზაციები ამერიკის დაკვეთებს ასრულებენ“

შორენა გონგლაძე

არასამთავრობო ორგანიზაცია „ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის“ ორგანიზებით, სამართლიანობის აღდგენისა და წინა ხელისუფლების გასამართლების მოთხოვნით გუშინ სპორტის სასახლეში მოძრაობა დაფუძნდა.

ყრილობის ორგანიზატორთა თქმით, დროა, ნაციონალური რეჟიმი და სისტემა კანონის სრული სიმკაცრით გასამართლდეს. იქ შეკრებილები ამბობდნენ, რომ სამართლიანობის აღდგენის პროცესი ძალიან ნელი ტემპით მიდის. მათი აზრით, ამ მიმართულებით ხელისუფლებამ უფრო ეფექტური გადაწყვეტილებები უნდა მიიღოს და ყველა დამნაშავეს ადეკვატური პასუხი გაეცეს.

ყრილობის მონაწილეები მიმართავენ ხელისუფლებასა და საერთაშორისო თანამეგობრობას, რომ „ქართველი ხალხი სამართლიან გადაწყვეტილებას ელის და არც ერთი ცივილიზებული სახელმწიფო ხელს არ დააფარებს რეჟიმს, რომელმაც საკუთარი არსით თანამედროვე ფაშიზმის კვალიფიკაცია შეიძინა“.

ამ ფაქტის კომენტირებისათვის პოლიტოლოგ ჰამლეტ ჭიპაშვილს მივმართეთ:

– ბატონი ჰამლეტ, ხედავთ თუ არა თქვენ იმის საშიშროებას, რომ ხელისუფლების დაპირება სამართლიანობის აღდგენასთან დაკავშირებით არ შესრულდეს?

– ხელისუფლება რომ ვერ აკმაყოფილებს საზოგადოების გარკვეული ნაწილის მოთხოვნებს, 17 მაისის აქციაზეც გამოჩნდა. ის, რაც სპორტის სასახლეში იმართება, არის კიდევ ერთი დადასტურება იმისა, რომ საზოგადოება არ არის კმაყოფილი ამ ხელისუფლების. ცხადია, ივანიშვილმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ნაციონალების დამარცხებაში, მაგრამ ეს საკმარისი არ არის, დანაპირები გაცილებით ფართო იყო და ამიტომაც დაუჭირა მხარი საზოგადოებამ ივანიშვილს. ამ დანაპირებში უპირველესად იყო ნაციონალების დასჯა. საზოგადოება, ეტყობა, ვერ აიტანს იმას, რომ აქ მოხდეს კოჰაბიტაცია ისე, როგორც ეს სურთ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და დასავლეთს, რომ ცხვარმა და მგელმა ერთად ძოვონ. ეს წარმოუდგენელია. ჯერ ერთი, ადამიანები, რომლებიც ცხრა წლის განმავლობაში საქართველოს მოსახლეობის სისხლს სვამდნენ, რომლებმაც გაძარცვეს ეს ქვეყანა, ბაკარგეს ტერიტორიები, ცხადია, პასუხისგებაში უნდა მიეცნენ. ივანიშვილი ამბობს, რომ ცოტა დროა გასული, შვიდი თვე საკმარისია იმისათვის, რომ რაღაც ტენდენციები შეინიშნებოდეს. სამწუხაროდ, ასეთი ტენდენციები არ შეინიშნება. ეს აღიზიანებს საზოგადოებას. ჯერჯერობით ისინი გამოკვეთილად ივანიშვილის წინააღმდეგ არ იბრძვიან, მაგრამ ქვეცნობიერად ასე გამოდის. როდესაც გამძვინვარებული მოსახლეობა 17 მაისს უყვიროდა ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის მოვალეობის შემსრულებელ ქალბატონს და თანაც გაჰყვიროდნენ, რომ საქართველო არ შევა ნატოში, ეს აშკარა გამოწვევაა დღევანდელი და გუშინდელი ხელისუფლებისა ანუ ნატო ასოცირდება ყველაფერ ცუდთან, რითიც თავი გაგვაცნო დასავლეთმა, განსაკუთრებით ბოლო ცხრა წლის განმავლობაში. მარტო ის რად ღირს, როდესაც დასავლეთმა ხელისგულზე ატარა სააკაშვილი და დღესაც იცავენ ნაციონალებს. ეს აღიზიანებს საზოგადოებას და ამიტომ არის ასეთი კატეგორიული მოთხოვნები, რომ დამნაშავე დაისაჯოს და აღდგეს სამართლიანობა. ასე რომ, ის, რაც იყო 17 მაისს, დასაფიქრებელია არა მარტო გუშინდელ ხელისუფალთათვის, არამედ, უპირველესად ყოვლისა, ახალი ხელისუფლებისათვის. თუ მან არ შეცვალა პოლიტიკა, არ შეცვალა დასავლეთისადმი ტრფიალი, ვითარება გაცილებით დამძიმდება, ვიდრე ამას ივანიშვილი მოელის. ხალხმა დაინახა, თუ რა იოლი ყოფილა ქუჩაში გამოსვლა და ის არ შეწყვეტს ამას, თანაც 17 მაისის სახალხო აქცია არ ყოფილა ორგანიზებული. ეს იყო სპონტანური და როდესაც სპონტანურად ათასობით ადამიანი გამოვა ქუჩაში, ეს უკვე დასაფიქრებელია. აქედან გამომდინარე, ბატონმა ივანიშვილმა სერიოზული დასკვნები უნდა გააკეთოს. ეს ეხება რესპუბლიკელებსაც, ვინაიდან რესპუბლიკელები უსუფაშვილის სახით კატეგორიულად ითხოვდნენ კონსტიტუციისა და კანონების დაცვას მოსახლეობისგან. ასეთი მოწოდება რატომღაც ვერ მოვისმინე სააკაშვილის დროს. მაშინ არც უსუფაშვილი და არც სხვა ვინმე არ მოითხოვდა კონსტიტუციის დაცვას. რომელ დაცვაზეა ლაპარაკი, როდესაც კონსტიტუციას ჩოხასავით ირგებდნენ და უსუფაშვილის პარტიიდან კაცი შვილი ხმას არ იღებდა. ახლა მოუნდათ კონსტიტუციის დაცვა. საზოგადოებამ კარგად გაიგო, ვინ ვინ არის და სერიოზული უკმაყოფილებაა ივანიშვილის მიმართ, თუმცა ამას ხმამაღლა არ ამბობენ.

– თუმცა ფაქტია, რომ წინა ხელისუფლების პერიოდში კარგად გვახსოვს, მსგავსი გამოსვლები როგორც მთავრდებოდა და სწორედ ამის გამო იყო, რომ ჰქონდათ პრეტენზია შს სამინისტროსთან, რომ თითქოს პოლიცია ვერ იდგა მოწოდების სიმაღლეზე.

– რაც ამ ხელისუფლებამ იმ დღეს დადებითი გააკეთა, იყო სწორედ პოლიციის მოქმედება. პოლიციას არ გამოუყენებია ის ძალა, რომელსაც ის იყენებდა სააკაშვილის რეჟიმის დროს. სააკაშვილი რომ ყოფილიყო, პოლიცია გააკეთებდა ყველა იმ სისაძაგლეს, რასაც აკეთებდნენ ისინი. ამჯერად პოლიცია ვერაფერს გახდებოდა, იმ რაოდენობის ხალხი იყო გამოსული ქუჩაში.

გაგრძელება მე-6 გვერდზე

კომპანია „ასკანელი ძმების“ კონიაკი ევროპამ აღიარა

რუსულ ბაზარზე ქართული ღვინო და სხვა ალკოჰოლური სასმელები ბრუნდება. ამ პროცესთან ბევრი შრომა და ხშირ შემთხვევაში არასასიამოვნო გაუგებრობაც თან ახლავს. ალკოჰოლის მწარმოებელმა კომპანიამ, „ასკანელი ძმები“ რუსული მხარის მოთხოვნები სრულად დააკმაყოფილა. 15 წლიანი კომპანია აქცენტს მხოლოდ მაღალ ხარისხზე აკეთებს. ამის დასტურია ისიც, რომ „ასკანელი ძმების“ ღვინოსა და კონიაკს საერთაშორისო ხარისხის უამრავი ჯილდო და ოქროს მედალი აქვს მიღებული. ამიტომაც სრულიად მოულოდნელი იყო, როდესაც რუსულ მედიაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ თითქოსდა „როსპოტრებნადზორმა“ „ასკანელი ძმების“ ხარისხი გააკრიტიკა. ქართული მხარე ამ ინფორმაციას გაუგებრობას უფრო უწოდებს, რადგან რუსეთის მთავარი სანიტრისგან რაიმე სახის დოკუმენტი დაწუნებასთან დაკავშირებით არ მიუღიათ. კომპანიის ხელმძღვანელობა თავს იკავებს იმისგანაც, რომ ეს არაჯანსაღი კონკურენციის ბინძურ კამპანიად შეაფასონ. „ასკანელი ძმები“ დარწმუნებულები არიან მათი წარმოებული პროდუქციის ხარისხში. ის 15 ქვეყანაშია წარმოდგენილი, მათ შორის — ევროკავშირის ქვეყნებშიც, რაც იმას ნიშნავს, რომ პროდუქციას ყველაზე ავტორიტეტული ევროპული ლაბორატორიები ამოწმებენ.

„როსპოტრებნადზორის“ სპეციალისტები კომპანიას „ასკანელი ძმები“ გაზაფხულზე სტუმრობდნენ, რა დროსაც ადგილზე გაეცნენ წარმოების პროცესს და წაიღეს პროდუქციის ნიმუშები. ღვინის შესახებ დასტური უკვე მიღებულია, ასკანელების ღვინო რუსულ ბაზარზე უპრობლემოდ შევა.

„ასკანელი ძმების“ ერთ-ერთმა დამფუძნებელმა ჯიმშერ ჩხაიძე-ასკანელმა განაცხადა, რუსეთის მთავარ სანიტარულ ექიმს გენადი ონიშენკოს კომპანიამ განცხადებით მიმართა და ამ დღეებში „ასკანელი ძმების“ კონიაკის ხარისხის შესახებ მედიაში გავრცელებულ ხმებთან დაკავშირებით განმარტებები მოითხოვა.

ჯიმშერ ჩხაიძე-ასკანელი:

— გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს გენადი ონიშენკომ „ასკანელი ძმების“ კონიაკის ხარისხი გააკრიტიკა. აშკარაა, რომ ადგილი აქვს გაუგებრობას. „ასკანელი ძმები“ ვამაყობთ ჩვენი კონიაკის ხარისხით, რომელიც არა მხოლოდ საქართველოში, არამედ 15 ქვეყანაში იყიდება, სადაც გააჩნია სახელმწიფო რეგისტრაცია და მომხმარებლებში დიდი პოპულარობით სარგებლობს. კონიაკის ხარისხთან დაკავშირებით მიღებული გვაქვს ოქროს და ვერცხლის მედლები. ამიტომ დაუყოვნებლივ მივწერეთ ოფიციალური წერილი გენადი ონიშენკოს და მოვითხოვეთ განმარტებები. ახლა ველოდებით წერილობით პასუხს. ჩვენი წარმომადგენელი უკვე მოსკოვშია, სადაც გაიმართა მოლაპარაკებები და პროდუქციის ნიმუშები, სავარაუდოდ, უმოკლეს ვადებში გაიგზავნება ხელახალი სერტიფიცირებისათვის.

კომპანია „ასკანელი ძმების“ გენერალური დირექტორის ირაკლი ბექაურის განცხადებით, „როსპოტრებნადზორში“ წარდგენილმა პროდუქციამ ხარისხის კონტროლის სამი საფეხური გაიარა: უშუალოდ წარმოებაში, ქარხნის ლაბორატორიასა და დამოუკიდებელ ლაბორატორიაში „ღვინის ლაბორატორია“.

„პროდუქციამ ღვინის ნაციონალური საგენტოს დადებითი შეფასებაც მიიღო. პროდუქციის ნიმუშები იმ პარტიებიდან ამოიღეს, რომლებიც სხვადასხვა ქვეყნებში იგზავნება, მათ შორის — ევროკავშირის. კონიაკის ხარისხთან დაკავშირებით აქამდე არასდროს მიგვიღია შენიშვნა ოფიციალური სტრუქტურების ან მომხმარებლების მხრიდან. ამის მიუხედავად, მზად ვართ გავიაროთ ხელმეორედ შემოწმება და ამის შესახებ წერილში გენადი ონიშენკოსაც მივწერეთ“, — განაცხადა ირაკლი ბექაურმა.

გრიგოლ კუნჭულია, საქართველოს ხარისხის ასოციაციის პრეზიდენტი:

— კომპანია „ასკანელი ძმების“ პროდუქცია ყოველთვის გამოირჩევა მაღალი ხარისხით, რაც უამრავი საერთაშორისო ჯილდოთია დადასტურებული. კომპანიამ ხარისხის მენეჯმენტისა და მზა პროდუქციის შეფასების საკმაოდ რთული და ყოვლისმომცველი პროცედურა წარმატებით გაიარა და უახლოეს მომავალში კომპანიის კონიაკსა და სხვა პროდუქციას „ხარისხის ნიშნის“ მარკირების უფლება მიენიჭება. ცოტა ხნის წინ ევროპული ხარისხის ექსპერტების დელეგაცია გვყავდა და მათ სწორედ „ასკანელი ძმების“ პროდუქციით ვუმასპინძლეთ. ამიტომ ცოტა უხერხულია ხარისხზე შენიშვნები. ვფიქრობ, ეს გაუგებრობაა, რომელიც მალე მოგვარდება.

რაც შეეხება კომპანიის უახლოეს გეგმებს, როგორც კომპანიის გენერალურმა დირექტორმა ირაკლი ბექაურმა აღნიშნა, 23 მაისს „ასკანელი ძმების“ ქარხანაში მოეწყობა მედიატური, სადაც ჟურნალისტებს ექნებათ საშუალება, დეტალურად გაეცნონ წარმოების მთელ ციკლს და მოახდინონ სხვადასხვა წლოვანების ქართული ბრენდის დეგუსტაცია.

„ასკანელი ძმები“ 15 წლის წინ დაარსდა და სადღეისოდ ერთ-ერთი წამყვანი კომპანიაა ქართული ელიტური ალკოჰოლის მწარმოებელ კომპანიებს შორის. კომპანია აწარმოებს 8 სახეობის კონიაკს, 32 დასახელების ღვინოს, 4 დასახელების ჭაჭას. „ასკანელი ძმების“ პროდუქცია აღიარებულია საუკეთესოდ და მიღებული აქვს 100-ზე მეტი ჯილდო სხვადასხვა გამოფენებსა და დეგუსტაციებზე. „ასკანელი ძმების“ მიერ წარმოებული სასმელები გადის ექსპორტზე აშშ-ში, უკრაინაში, ჩინეთში, გერმანიაში, დიდ ბრიტანეთში, ესტონეთში, ლიტვაში, ლატვიაში, პოლონეთში, ჩეხეთში, ყაზახეთში, ფინეთში, აზერბაიჯანსა და ბელორუსიაში. რაც დამატებით ადასტურებს იმას, რომ კომპანია იცავს მაღალ სტანდარტებს და აკმაყოფილებს სხვადასხვა ბაზრის მოთხოვნებსა და პარამეტრებს.

სოფო ხორგუანი: „გეი-აღლუმი იყო პროვოკაცია“

ნათია ხურცილავა

სახალხო დამცველის ყოფილ მოადგილეს, სოფო ხორგუანს, 17 მაისის აქციასთან დაკავშირებით კომენტარი ვთხოვეთ.

ხორგუანი მიიჩნევს, რომ არ არის გამორიცხული, შინაგან საქმეთა სამინისტროს ვიღაცამ მორიგი გამოცდა მოუწყო, რადგან, მისი განცხადებით, საყოველთაო ეგზალტირება და აჟიტირება მისთვის გაუგებარია.

– ქალბატონო სოფო, როგორია თქვენი დამოკიდებულება რუსთაველის გამზირზე განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით?

– ერთადერთი, ვისაც ვგულშემატკივრობ, არის შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი და ქართული პოლიცია. საყოველთაო ეგზალტირება და აჟიტირება სრულიად გაუგებარი იყო სწორედ ამ საკითხთან დაკავშირებით. ასევე სრულიად გაუგებარი იყო, ვინ რა მიზანს ემსახურება. ერთადერთი, რაც დავინახე, იყო ის, რომ ყველაზე მძიმე მდგომარეობაში იყო პოლიცია.

– გამოხატვის თავისუფლება უნდა მიეცეთ თუ არა ამ ადამიანებს?

– გამოხატვის თავისუფლება უზრუნველყოფილია ყველა იმ შეთანხმებითა და ხელშეკრულებით, რომლებიც ჩვენ აღიარებული გვაქვს. ყველა ხელშეკრულების თანახმად ევროპულ ღირებულებებს ვაღიარებთ. გამოხატვის თავისუფლება ჩვენს ქვეყანაში კონსტიტუციითა უზრუნველყოფილი.

– მიუხედავად ამისა, იმ ადამიანებმა ვერ შეძლეს, რომ ამ უფლებით ესარგებლათ, როდესაც აქცია ჰქონდათ დაგეგმილი.

– სწორედ ამაზე მაქვს საუბარი. მრჩება შთაბეჭდილება, რომ ყველას აქვს თავისი მერკანტილური, კონკრეტული ინტერესი. თუ საუბარია რელიგიურ თემებზე, თითოეული ადამიანის ცოდვაზე, ყველა ჩვენს ცოდვებს თვითონ ვერევით. თუ საუბარია ვიღაცის მხრიდან რაღაცა ტიპის გამწვავებაზე, აქციის ჩატარებაზე ვერ გეტყვით. გეი-აღლუმი სხვა რამეა. დაანონსებული იყო აქცია, რომელიც უნდა ჩატარებულიყო. აქცია, რომელიც ტარდება, მაგალითად, შიდსთან ბრძოლის დღეს, ლეიკემიით დაავადებულთა დღეს და ა.შ. მაქვს შთაბეჭდილება, რომ მორიგი პროვოკაცია ან მორიგი გამოცდა მოეწყოთ შინაგან საქმეთა მინისტრისთვის. ბევრი პრეტენზია მაქვს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან. ძალიან არაადეკვატურები იყვნენ.

– რას გულისხმობთ?

– ზედმეტ შეზღუდვებს, რომლებიც მათი მხირდან იყო. ფაქტია, რომ ბევრი პრობლემაა, ფაქტია, რომ იმის გამო, რომ ვიღაცის უფლება იყოს უზრუნველყოფილი, შეზღუდული იყო სხვა მოქალაქეების უფლება, მაგალითადა რუსთაველის გამზირზე და თავისუფლების მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრები, მომუშავე ადამინების უფლება.

ნოდარ ნათაძე: „უცხოელი დიპლომატები ქართველებს შორის სიძულვილს თესავენ“

გულიკო ბალაძე

სახალხო ფრონტის თავმჯდომარე ნოდარ ნათაძე აცხადებს, რომ ის, რაც 17 მაისს რუსთაველზე მოხდა, პროვოკაცია იყო.

– ის, რაც 17 აპრილს მოხდა, იყო პროვოკაცია. განზრახული იყო პროვოკაციის მოწყობა და დაანოსდა, როგორც პარადი ანუ გრანტებით დაფინანსებული ჯგუფის მოძრაობა რუსთაველზე პოლიციის ინტენსიური დაცვის ქვეშ და შემდეგ განცხადება, ჩვენ გამოვედით რუსთაველზე, გამოვხატეთ ჩვენი პოზიცია და ამიერიდან ჩვენი და უმრავლესობის იდეოლოგია ერთია. ამიტომ ხალხი, რომელიც გამოვიდა მასობრივად რუსთაველის გამზირზე, იმ ჯგუფს კი არ შებრძოლებოდა, არამედ წავიდა იმ მიზნით, რომ დაპირისპირებოდა პოლიციას. ისინი მიდიოდნენ საბრძოლველად. მას შემდეგ, რაც მოხდა, განაცხადეს, რომ პარადის ჩატარება განზრახული არ იყო. პოლიციამ კი იმოქმედა პროფესიულად, ვაჟკაცურად და, რაც მთავარია, ხალხი არ დაშავდა. მათ მოიგეს ურთულესი და უმძიმესი ოპერაცია, – განაცხადა ნოდარ ნათაძემ.

– ბატონო ნოდარ, განაცხადეს, რომ 28 ადამიანი დაშავდა.

– თუ დაშავდა, პოლიცია ვალდებულია, დაადგინოს, ვინ ვის რა ჩაარტყა, ვინ ვის გაუკაწრა თითი, ვის თავი გაუსკდა, რადგან იმ ადამიანებს შორის 20 კაცი მაინც შეგზავნილი იქნებოდა. მინდა მივმართო ხელისუფლებას თხოვნით, არ აჰყვეს პროპაგანდას და პოლიციას თავისი ღვაწლი არ დაუკარგოს. პოლიციამ ურთულეს პირობებში არ დაუშვა ქაოსი და ადამიანების ფიზიკური დაზარალება.

– პოლიციის დღის აღსანიშნავ ზეიმზე ბიძინა ივანიშვილმა პოლიციელებს პროფესიონალიზმი შეუქო.

– დიახ. მე ვნახე გადაცემა „პოზიცია“, ქალები იყვნენ მიწვეული, ზოგი – ლამაზი, ზოგი – ულამაზო, ზოგი – ტვინიანი, ზოგი – უტვინო. ქალები იყვნენ, რომლებიც წიოდნენ, კიოდნენ: სად არის კეტები, ჩაფხუტები, ფარები, სად არის გაზი და პლასტიკური ტყვიებიო? უნდოდათ, ე.წ. ლგბტ ჯგუფს მისცემოდა საშუალება, ტრიუმფით გაევლო რუსთაველის გამზირზე. ამ ქალების მოთხოვნა ლგბტ-ს მოწინააღმდეგეთა მიმართ ტყვიებისა და კეტების გამოყენების სურვილის თაობაზე ბარბაროსობაა. ეს არის ისეთი დამოკიდებულება, რომელიც შეიძლება ჰქონდეს ფაშისტს. კიდევ უფრო დიდი შთაბეჭდილება ჩემზე მოახდინა გიგა ბოკერიას ფაშისტურმა გამოსვლებმა. თუ გინდა გაზი და ტყვიები, ფაქტობრივად, შენ ხარ ფაშისტი და არა – დემოკრატი.

– გაზისა და ტყვიების მოთხოვნა გასაკვირი არ არის, რადგან ეს იყო ნაციონალების ხელწერა 9 წლის განმავლობაში.

– დღეს მითხრეს, რომ ამერიკის საელჩოში ახსოვთ, ბოკერია საელჩოში იყო და თანამშრომლებს უთხრა, ადრე თუ გვიან ჩვენ მივაღწევთ იმას, რომ გეიაღლუმი ჩატარდება საქართველოშიო. ერთი საკითხს მინდა შევეხო – ამის გაგრძელება არ შეიძლება. ალბათ, გახსოვთ 1991-92 წლების სამოქალაქო ომი, რომელიც რუსეთის მიერ იყო ორგანიზებული, მაგრამ, მადლობა ღმერთს, იქ სიძულვილის მუხტი არ იყო. ერთ მხარეს მეორე მხარე არ სძულდა. თუ იმ მიმართულებით მუხტის მიცემა გაგრძელდა, ეს გამოიწვევს სიძულვილის მუხტს ქართველი საზოგადოების სხვადასხვა ნაწილს შორის. მინდა გავაფრთხილო ნაციონალური მოძრაობა, მთელი საზოგადოება და დიპლომატიური კორპუსი, რომელიც ჩვენ გვიყურებს, თუ ასე გაგრძელდა, ეს იქნება სიძულვილის დანერგვა და კულტივაცია ქართველი ერის სხვადასხვა ნაწილს შორის.

– ანუ ამაზე ლაპარაკი უნდა შეწყდეს?

– ლგბტ მიმართულებით ჩვენი ფსიქიკის შეცვლასა და მენტალიტეტის შეცვლაზე ლაპარაკი უნდა შეწყდეს.

– სააკაშვილი ამბობდა, მენტალურ რევოლუციას ვახდენთო.

– ეს მის უნიჭობაზე მეტყველებს. საქართველო არის ქვეყანა, რომელიც ამ მიმართულებით ყოველთვის შემწყნარებლური იყო. ამ მიმართულებით არაშემწყნარებლობა ისტორიას არ ახსოვს. ასეთი ფაქტი მე არ ვიცი. ამ უბედურებისადმი აბსოლუტური შემწყნარებლობა იყო ყოველთვის. რა თქმა უნდა, მოწონება არ იყო, მაგრამ შემწყნარებლობა მუდამ იყო აბსოლუტური.

– თქვენ ამბობთ, რომ ახლაც შემწყნარებლობა უნდა გამოვიჩინოთ?

– არა, ვინც თავისი მოკლე ჭკუით უცხო ღირებულებს გვახვევს თავზე, ის უნდა შეეგუოს, რომ ვერაფერს გვასწავლის. ჩვენი აბსოლუტური შემწყნარებლობა და ადამიანური გამგებლობა ამ მიმართულების ადამიანებისადმი იყო და დღეს აც არის. პარადის მოწყობის გადაწყვეტილებას თავისი კონტექსტი ჰქონდა. რუსეთში მოეწყო გეიპარადი და ცხვირ-პირი დაამტვრია მოსახლეობამ. ეს რუსეთისთვის ითვლება მინუსად. რუსეთს არ აძლევს ხელს, რომ საქართველო, როგორც რუსეთზე მეტად მართლმადიდებელი და ტრადიციული ქვეყანა, იყოს, ვთქვათ, ამ უხერხული სიტუაციისაგან თავისუფალი. ქალაქ თბილისის მერი არის სააკაშვილის კაცი და ამიტომ გეიპარადის მოწყობის ნება დართო, თანაც მზადება იყო, რომ პოლიციას დაეცვა და არავის თითი არ გაენძრია. ფიზიკური განლაგება, ფიზიკური წანამძღვრები და ფიზიკური გარემო შექმნეს ცხვირ-პირის მტვრევისთვის ქუჩაში, ისევე, როგორც შევარდნაძემ და არძინბამ 1992 წელს შექმნეს სიტუაცია, რომ აქეთ აღმოჩნდნენ შეიარაღებული ქართველები, იქით კი – შეიარაღებული აფხაზები და გავარდა თოფი, პირველი აფხაზების მხრიდან. ანალოგიური მუშაობა მიმდინარეობდა ახლაც.

– გეიპარადი რომ ჩატარებულიყო, რა გავლენას მოახდენდა საზოგადოებაზე?

– სქესობრივი უმცირესობების მოძრაობა ძალიან უცნაური მოვლენაა. უზარმაზარი მოძრაობაა, უზარმაზარი დაფინანსება აქვს.

– ვინ აფინანსებს?

– ვერ გეტყვით. მრავალი კანდიდატია, მაგრამ ფაქტია, რომ აფინანსებენ, თუმცა არავინ გამოსულა და განუმარტავს, რა გავლენას ახდენს ასეთი მოძრაობა საზოგადოებაზე რეალურად. თუ გაგიგიათ, გამოსულიყო ვინმე ბიოლოგი და რაღაც მინიმალურ მეცნიერულ ფორმატში მიეწოდებინოს საზოგადოებისთვის, ეს არის ასეთი და ასეთი მოვლენა, აქამდე არის ნორმა, აქამდე არის გადახრა მედიცინის თვალსაზრისითო. არავის გაუკეთებია კომენტარი, სოციოლოგიური თვალსაზრისით რა გავლენას ახდენს.

– თქვენ ანტიპროპაგანდაზე საუბრობთ?

– არა. ვინც პროპაგანდას ეწევა, მან ხომ უნდა ახსნას, რა არის? თავისი თვალსაზრისი ხომ უნდა შესთავაზოს საზოგადოებას.

– ვინ უნდა შესთავაზოს, ვინც ემხრობა?

– არა, ვსაუბრობ მათზე, ვინც აფინანსებს. ვინც ამ ტიპის ადამიანებს აფინანსებს, მან არ ჩათვალა საჭიროდ და ვერ შეთხზა ვერსია, რომ ის მიუტანოს საზოგადოებას. არ გაანალიზებულა, სოციალურად რა შედეგის მომტანია. რიგითი ადამიანი დაინტერესებულია, რა იქნება მომავალში. ვთქვათ, დღეს ასეთია მოსახლეობის 3-5-7%. თუ ეს გახდება 25%, მაშინ რა მოელის საზოგადოებას, რა მოელის კაცობრიობას? როგორი იქნება ცხოვრება? ის გათვლილი აქვთ, თუ იქნება ომის პროპაგანდა და თუ ამ საკითხში სიტყვის თავისუფლება არ შეიზღუდება ფართო საზოგადოებაში, სისხლი დაიღვრება. ომის ქადაგება აკრძალულია. ომის ქადაგებისთვის ციხეა. ვთქვათ, სიმთვრალის ქადაგება არსად ხდება. ნარკოტიკების ქადაგება არსად არის. სიგარეტს თუ ყიდულობ, ვალდებული ხარ, წაიკითხო, რომ სიგარეტი გკლავს. ე.ი. სიტყვის თავისუფლება იკრძალება რაღაც სფეროებში. ამ საკითხში არ არის აკრძალული.

– თავის ქცევაში ადამიანი თავისუფალია და ამ შემთხვევაში მათთვის ხელის შეშლით მათი უფლებები ხომ არ შეიზღუდება? ისინი ხომ ადამიანის უფლებებსა და სიტყვის თავისუფლებაზე აპელირებენ?

– იმას არ გიხსნიან, ეს ადამიანები როგორ უნდა განვიხილოთ, როგორც ავადმყოფები, როგორც გარყვნილები თუ რა? ამაზე კომენტარი ხომ უნდა გააკეთოს, ვინც ამას ლობირებას უწევს? ამ კომენტარს არ აკეთებენ. შემდეგ იურიდიული კომენტარი – რას ნიშნავს უფლება? რას ნიშნავს ადამიანთა თანასწორობა? მათემატიკაში თანასწორობა ნიშნავს ტოლობას რაღაც ერთ პარამეტრში. ვთქვათ, თუ ჩვენი ჯგუფი და თქვენი ჯგუფი რაოდენობრივად ტოლია, ეს არ ნიშნავს, რომ, მაგალითად, წონით არის ტოლი ან, ვთქვათ, მოცულობითაა ტოლი. უფლება რომ აქვს ადამიანს, თავისი სხეული განკარგოს ისე, როგორც მას უნდა, ეს ერთია, მაგრამ რომ უნდა, ამის დემონსტრირება მოახდინოს ქუჩაში, საზოგადოების წინაშე, მოზარდი თაობის წინაშე, ეს სულ სხვაა. ყველაზე დიდი უმცრება რა არის? ცნება „საჯარო სივრცე“ არის სავსებით ზუსტი მეცნიერული ცნება. ეს არის ქუჩა. ეს არის ადგილი, სადაც ყველას შეუძლია, მივიდეს, სადაც ყველა მიდის ხოლმე და სადაც არაოფიციალურად, დაუწერლად დგინდება ნორმები, ღირებულებები, ადამიანთა დაუწერელი იერარქია, ურთიერთობის წესები და ა.შ. ეს სივრცე არის ერთი. მთელ მსოფლიოში ერთია, მით უმეტეს, რომ დღეს გლობალური პირობებია. მერე ყოველ ქვეყანაში ერთია. ამ სივრცეში რომ შედიხარ, არავითარი მოთხოვნა არ გაქვს. მეუბნები, შემოვდივარ, ჩემი თავი უნდა გაჩვენო. მე არ მაინტერესებს შენი თავი. აგერ, შვილები მეზრდება, შენ მათ რა სურათს უჩვენებ? შენ რომ დაწერ, მიყვარს ჩემი გეი მეგობარიო. შვილმა რომ მკითხოს, რა არის გეი მეგობარიო, რა ვუთხრა? თუ ვეტყვი, რომ ეს არ არის სასურველი საქმე, მეტყვის, მაშინ რატომ უშვებს ამას სახელმწიფოო? თუ არის სასურველი საქმე, მაშინ ისიც მოინდომებს, იმ მიმართულებით რაღაც გამოცადოს. ე.ი. ეს არის პედაგოგიურად მიუღებელი. იურიდიულად კი ნონსენსია, რადგან ჩემი უფლება ჩემი თავის განკარგვისა მე მეძლევა იმ სივრცეში, რომელიც ჩემი პრივატული ანუ კერძო სივრცეა. საჯარო სივრცეში ამას არეგულირებს საზოგადო ინტერესები. საზოგადოებაში უმრავლესობა ერთ მხარესაა, ხოლო უმცირესობა – მეორე მხარეს.

– საზოგადოებაში უმრავლესობის ინტერესები დომინირებს.

– რა თქმა უნდა. გარდა ამისა, არის უდიდესი ფაქტორი – საზოგადოებამ იცის, რომ ესენი მართული და დაფინანსებული არიან გარედან ანუ რომელიღაც უცხო ძალა, რომელიც თავის ვინაობას არ მისახეღებს, აიარაღებს ჩვენს პედაგოგებსა და ოჯახის წევრებს.

რისთვის უხდის მადლობას საქართველოს მოსახლეობას ვოვა არუთინიანი

„დედაჩემს 3 დიპლომი აქვს, მაგრამ ბაზრობაზე „სალფეტკებს“ ყიდის“

ნათია ხურცილავა

ვოვა არუთინიანი 2005 წელს ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი პრეზიდენტის, ჯორჯ ბუშის საქართველოში ვიზიტის დროს დააკავეს. არუთინიანს პრეზიდენტის წინააღმდეგ ტერორისტული აქტის განხორციელება ედება ბრალად და სამუდამო პატიმრობა აქვს მისჯილი. ვოვა არუთინიანი სასჯელს მე-7 დაწესებულებაში იხდის.

არუთინიანის დედა ანჟელა არუთინიანი შვილის პოლიტიკურ პატიმრად გამოცხადებას და საპატიმროდან გათავისუფლებას ითხოვდა.

ვლადიმერ არუთინიანს პოლიტპატიმართა სიაში შეყვანაზე უარი უთხრეს. იუსტიციის სამინისტრომ არუთინიანის საქმის გადახედვაზე უარი განაცხადა და მოტივად საქმეში ახალი გარემოებების არარსებობა დაასახელა.

ანჟელა არუთინიანმა რედაქციაში საპატიმროდან ვოვა არუთინიანის მიერ გამოგზავნილი წერილი მოიტანა და მისი გამოქვეყნება გვთხოვა.

წერილში არუთინიანი მადლობას უხდის საზოგადოებას დედის – ანჟელა არუთინიანის პატრონობისთვის.

– მინდა შემთხვევით ვისარგებლო და მთელ ჩვენ საქართველოს მადლობა გადავუხადო. ყოველ კეთილ ადამიანს, მიუხედავად იმისა თუ რა ასაკისაა, ეროვნებისა თუ სარწმუნოების ყველას უღრმესი მადლობა იმისთვის, რომ დედაჩემი, ანჟელა არუთინიანი უპატრონოდ არ მიატოვეთ. ამ ქალს ერთადერთი შვილი ჰყავს, რომელიც ახლა ციხეშია უვადოდ. დედა რომ ჯერ კიდევ ცოცხალია, ეს თქვენი, კეთილი ადამიანების დამსახურებაა. ყოველი თქვენი კეთილი სიტყვა, გამხნევება, დახმარება, დედაჩემს სიცოცხლეს უხანგრძლივებს. ის უკვე 72 წლის არის. მიუხედავად ამ ასაკისა, ის ყოველდღე ბაზრობაზე, ნებისმიერ ამინდში, მცხუნვარე მზესა და ყინვაში დგას და ხელზე „სალფეტკებს“ ყიდის. დედას სამი დიპლომი და 35-წლიანი მუშაობის სტაჟი აქვს. ის მუშაობდა მთელი ცხოვრება ჩვენი ქვეყნისთვის. მას ბაზრობაზე ხედავენ ადამიანები, იცნობს მთელი თბილისი. ვფიქრობ, დედა მართლაც ღირსია თქვენი სიკეთის. მე კი, სამწუხაროდ, არ შემიძლია თქვენ ყველას დედაზე გაწეული ამაგი სიკეთით გადაგიხადოთ, მაგრამ მინდა იცოდეთ, მთელი ჩემი გულით, მე თქვენს გვერდით ვარ. დიდი მადლობელი ვარ ყველასი. გულწრფელი მადლიერი ვარ ჩემი ხალხის. მე მაინც მჯერა, რომ მოვა ისეთი დრო, როდესაც მეც ქვეყანას გამოვადგები. მიყვარს ყველა ადამიანი, მოკითხვა ყველას. საქართველო არის ჩვენი სამშობლო და მჯერა, რომ მე და დედაჩემი ამ ქვეყანაში ვიქნებით, იმედს არ ვკარგავ. ყველა სირთულეს უნდა გავუძლოთ. თქვენი ყველაზე დიდი დამსახურება ისაა, რომ ომის, უბედურების, განუკითხაობის მუხედავად ადამიანობა არ დაკარგეთ. ამავეს ვეუბნები ყველას, ვინც გასაჭირშია. ნუ დაკარგავთ იმედს, ჩემო დებო და ძმებო. ჩვენ მარტონი არ ვართ ჩვენს ირგვლივ ჩვენი ხალხი და ჩვენი ქვეყანაა. მჯერა, რომ ყველა პრობლემა მოგვარდება, არცერთი უპატრონო ამ ლამაზ ქვეყანაში არ იქნება. ყველა ადამიანი, რომელიც საზღვარგარეთაა, სამშობლოს დაუბრუნდება, მწამს, რომ ადამიანები სამშობლოდან შვილების სარჩენად დროებით არიან წასულები. ჩემს საქართველოს კი გამთლიანებას და გაძლიერებას ვუსურვებ. აი, უკვე 7 წელზე მეტია, რაც ციხეში ვარ, საკანში, მარტო. მიუხედავად ამისა, ვარ იმედიანად, ყოველდღე შეძლებისდაგვარად ვშრომობ. თქვენ კი იმედი უსათუოდ უნდა გქონდეთ, რომ ყველაფერი კარგად იქნება, მთავარია, გზა დაინახოთ. – ასეთია წერილი, რომელიც ვოვა არუთინიანმა აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულამდე რამდენიმე დღით ადრე ციხიდან გამოაგზავნა.

ჰამლეტ ჭიპაშვილი: „არასამთავრობო ორგანიზაციები ამერიკის დაკვეთებს ასრულებენ“

დასაწყისი მე-5 გვერდზე

ამრიგად, პროტესტანტთა რაოდენობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს და სწორედ ამიტომაც სრულიად დადებითად ვუყურებ პოლიციის მოქმედებას. პოლიციამ მოახერხა ის, რომ განერიდებინა მამათმავლები საფრთხისაგან. ეს დიდი მიღწევა იყო პოლიციელთა მხრიდან. ამიტომ მე ერთი რამ მინდა ვუთხრა ზოგიერთ ბრიყვს: როდესაც აცხადებს, რომ პოლიციამ სათანადოდ ვერ იმუშავა, ესენი, უპირველესად ყოვლისა, არიან არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ემსახურებიან ამერიკის შეერთებულ შტატებს. ეს არის იგივე ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, რომელიც თავდაჯერებულია და ბრტყელ სიტყვებს ამბობს. ეს ორგანიზაცია მიმართულია პოლიციისა და პირადად ღარიბაშვილის წინააღმდეგ. ღარიბაშვილი არ აწყობთ რესპუბლიკელებს. მაგრამ პოლიციამ გააკეთა ის, რისი გაკეთებაც მას შეეძლო იმ კულმინაციის დროს. სხვა შემთხვევაში, თავისუფლად შეიძლებოდა, ეს გამოსვლა გადაზრდილიყო ანტისახელმწიფოებრივ გამოსვლაში.

– რაც შეხება მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებს, ამჯერად ორი კანდიდატია ცნობილი. ნაციონალები კანდიდატს პრაიმერის შემდეგ გამოავლენენ. რამდენად კონკურენტუნარიანი იქნება კოალიციის კანდიდატი?

– ივანიშვილმა თუ ასე გააგრძელა მოღვაწეობა, სავსებით შესაძლებელია, რომ მისმა რეიტინგმა კიდევ უფრო დაიწიოს. მართალია, ენ-დი-აი-ს მონაცემებით, ოცნების რეიტინგი საკმაოდ მაღალია, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს, რადგანაც ეს გამოკითხვები ბლეფია.

უმწიფარი საზოგადოება

როგორ მოხვდა მამაოს ხელში „ტაბურეტკა“

როლანდ ხოჯანაშვილი

„ახალი თაობის“ იმერეთის ბიურო

ლგბტ აქცია რომ ცემა-ტყეპით დასრულდებოდა, ყველამ იცოდა. ისიც ყველამ ვიცოდით, რომ თავს კარგა ხანს შევიყოლიებდით ამაზე საუბრით, თუმცა ამ შემთხვევაში სხვა ასპექტით მინდა შევხედოთ უკვე გადატანილ 17 მაისის აქციის პერიპეტიებს.

იყო თუ არა ძალადობა ლგბტ-ზე? ნამდვილად იყო, ამაზე დავა არ არის საჭირო. იყო თუ არა ძალადობა ლგბტ-ს მხრიდან? ამაზე გიპასუხებენ ტრადიციული ანუ ჰეტეროსექსუალები, რომ ასეთი აქციები, თუნდაც გეიაღლუმი არ ყოფილიყო, პირდაპირი აგიტაციაა, რომელსაც შეიძლება სრულიად „არაავადმყოფური“ ორიენტაციის ადამიანის გადაგვარება გამოიწვიოს. „მოსინჯეს“ და „ნდომა სიახლის“ პრინციპის გამო შეიძლება მომავალი თაობა (მიმავალიც) შეიძლება ანკესზე წამოეგოსო. ჰეტეროსექსუალები კიდევ არ გამოირჩეოდნენ იმდენად აგრესიით, მაგრამ რწმენას ამოფარებული ფანატები აფრიალებდნენ ლოზუნგს: სეკს ტოლკო დლია დეტორაჟდენიაო (ეს კატეგორია ეგრევე მონათლეს „დასავლური ორიენტაციის“ ადამიანებმა რუსეთუმეებად და ამიტომ „მოვარუსულე“). პრორუსობაზე ნუ ვილაპარაკებთ, მაგრამ ქართულ-მასაზოგადოებამალბათ უარიუნდათ-ქვასქვეყნისდემოკრატიულ-დასავლურპოლიტიკურ-ადმინისტრაციულ მოწყობაზედაამყარონთეოკრატია-ანდიარქიარომელიმე ბაგრატიონისა-დასაეკლესიო მაღალჩინოსნის მეთაურობით, მერედაისვენებენ? სამხარეო მოწყობის ნაცვლად იკმარებს ეპარქიებად დაყოფა? არ ვარ წინააღმდეგი არანაირი ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობის, მაგრამ ქართველი ადამიანი შეეჩვევა აწ უკვე კარგა ხნის გადაჩვეულ ქრისტიანული ცხოვრების წესს?! ან თხა და მგელიერთად მოსძოვენ და ივერია გაბრწყინდება, თუკი ლგბტ-ებს გულში ჩავიხუტებთ, ან დაქორწინების უფლებას მისცემს ქართული კანონმდებლობა?

ყველაზე დიდი უღმერთოებიც სიკვდილის წინ (ან დიდი გასაჭირის დროს) ღმერთს ახსენებდნენ. ლენინის უკანასკნელი დღეები პროლეტარიატის ბელადის ღვთისადმი ვედრებით გამოირჩეოდა და ნიცშეც აღიარებდა: „მაინც მაჯობე, ნაზარეველო!“ (აქვე დავურთოთ, იესო არავის ეჯიბრებოდა).

თუ გადავხედავდით ლგბტ აქციის მონაწილეთა სპექტრს, იქ გამოარჩევდით: ლგბტ-ებს, მათ მოწინააღმდეგეებს, სეირის მაყურებლებს, მედია-შსს-ს და უფლებადამცველებს. ყველაზე მრავალრიცხოვანი სეირის მაყურებელნი იყვნენ (დაუმატეთ მათ რიცხვს ფეისბუქსა და ტელევიზორებს მიჯაჭვული მოსახლეობაც და მიიღებთ ლამის მთელ მოსახლეობას ჩვენი სახელმწიფოსას). ერთ-ერთი სეირის მაყურებლის ნაზრევს გთავაზობთ:

„სიზმრის ახსნა 17 მაისისდონეზე!

1.თუ თამარ ჩორგოლეიშვილი დაგესიზმროს – ბოზებში წახვალ!

2.თუ ბოკერია დაგესიზმროს-უფრთხილდი სიბეცეს!

3.თუსააკაშვილიდაგესიზმრს-გულშიშამშობლოსღალატიჩაგიდვია!

4.თუ უგულავა დაგესიზმროს გეიპარადის ხელმძღვანელი გახდები!

5.თუ ნინია კაკაბაძე ან კოტე ყუბანეიშვილი ნახე სიზმარში-ეჰ, წასულია შენისაქმე!“

„ტაბურეტკიანი“ სასულიერო პირის გამოჩენამ ათეისტების აღმატებული ყიჟინა გამოიწვია. არადა, ერთი სრულიად სარწმუნო ადამიანი მარწმუნებდა: მამაომ ერთ გაგიჟებულ ყმაწვილს გამოსტაცა ხელიდან ეგ სკამი და არც იგინებოდა, უბრალოდ, სხვისი ხმა ისმოდა მაგ დროსო. კარგი, თუნდაც იგინებოდა მღვდელი და სკამსაც საცეცხლურივით აქნევდეს, მაგრამ ამით რა იცვლება?!

„იდენტობამ“ ამ აქციის მოსაწყობად ზორბა ფული ჩაიდო ჯიბეშიო, მერე ბოკერია-სააკაშვილს მიაწერეს ყველაფერი, ერთმა პოლიტიკოსმა ისიც თქვა, რომ „ნაცმომ“ და „რესპუბლიკურმა პარტიამ“ ერთად დაგეგმეს ეს ყველაფერი ირაკლი ღარიბაშვილის წინააღმდეგ, ჯერ ალასანია ჰყავდათ ჩასაძირავი და ახლა შსს მინისტრი ჰყავთ მიზანში ამოღებულიო.

არასდროს გაგვჭირვებია ნათქვამის სწორად გაგება და ერთმა ჩემმა რესპოდენტმა, რომლის ვიწროსექსუალური მისწრაფებები ნამდვილად გაურკვეველი აღმოჩნდა ჩემთვის (ჩავწერე ონლაინრეჟიმში და არ გაამხილა ორიენტაცია), ღიად და მკაფიოდ თქვა: ეს არაა აღლუმი, ეს არის ჰომოფობიის მსხვერპლთა გახსენების დღე და ყველამ უნდა თქვას არა ძალადობაზეო.

რატომ მოხდა ის, რაც მოხდა?! ამდენი შეუსაბამობა მოსალოდნელი ნამდვილად არ იყო. არ ვიცი, რამდენად ლეგიტიმური იქნება ეს მოსაზრება, მაგრამ მაინც გეტყვით: რადგან ახალი ხელისუფლების წინააღმდეგ ჯერ კიდევ არცერთ პოლიტიკურ ძალას არ აქვს არანაირი ბერკეტი დაპირისპირების, ინტრიგების მომწყობი და რეინკარნაციის მსურველი პარტია ხომ არ აპირებს გრანდიოზული ჩანაფიქრის განხორციელებას? დავაკონკრეტებ და ვიტყვი: ხელისუფლებას ვერავინ და ვერაფერი მოურყევს იმიჯს იმდენად, როგორც დაპირისპირება სამღვდელოებასთან (საპატრიარქოსთან).

„საქართველოშითუგინდაიყოყოველმხრივდაცული, ხელისუფლებიდანაცდაარასამთავრობოებიდანაც, ამერიკა-ევროპიდანაც, წინიდანაც, უკნიდანაც, გვერდიდანაც, ქვემოდანაც-დაზემოდანაც, იყავიუმცირესობა“–ეს რეალობაა და ვერ ვიტყვით, რომ მოვიგონე. საზოგადოებას აკლია სიმწიფე.

ამდენი აგრესია კი არ უნდა გვიკვირდეს, არც საზოგადოების უმწიფრობა. დაუსაქმებელ ადამიანს ათასნაირი აზრი უტრიალებს თავში, რომელსაც თუ ვერ განახორციელებს, აგრესია უგროვდება. მერე ეს აგრესია ან გრძელთმიანებს დაატყდება თავს, ან სულაც–მელოტს. დასაქმებულსა და ეკონომიურად წელში გამართულ ადამიანს არ სცალია უმსგავსოებებისათვის და არც შეუძლია ის, რაც შეძლო ქართველებმა 17 მაისს. ყველა გზა რომისკენ თუ მიდის, აგრესიის ჩასახშობი წამალი მხოლოდ სახელმწიფოს აქვს–დაასაქამოს ადამიანები. სოფლად მცხოვრებ ადამიანებს ძალად თუ წააპროწიალებენ აქციებზე (შეიძლება სურვილიც აქვთ რომელიმე აქციას დაესწრონ, მაგრამ ვენახ-ყანა-პირუტყვი სოფლად დარჩენას აიძულებს გლეხს და დროშის ფრიალს ამჯობინებს წყნარ დამქანცველ მუშაობას), ქალაქში დრო თავზე საყრელად აქვთ და ...

გიორგი ლეონიძის ნათქვამს გავიხსენებ, გუთნისდედა რომ ამბობს, ათასი ფერი და ფერადი ჩამოდის დედამიწაზე ადამიანიო, ვის რას გაუგებო. მაგრამ ეკლესიამ და სახელმწიფომ უნდა გაუგოს ადამიანებს, სხვანაირად გვემა-ტყეპა და აგრესია არ შეწყდება.

ალბათ მარტო საქართველოში ხდება ყველა საკითხის პოლიტიზება, რა ვქნათ, ამის გარეშე უკვე აღარ შეგვიძლია. ჩვენ ხომ ის ერი ვართ, ვისაც შეუძლია მსოფლიო მოამარაგოს პრეზიდენტებითა და მინისტრებით!

„ბილაინის“ მორიგი ახალი ოფისი და უანგარო ქველმოქმედება

კომპანიამ რიგით 25-ე მომსახურების ოფისი გახსნა

ტრადიცია არც ამჯერად დაირღვა – მორიგი ახალი ოფისი საქართველოში ყველაზე დინამიურად მზარდმა მობილურმა ოპერატორმა სოციალური პასუხისმგებლობის აქციით „ნათელი ფერები ბავშვებს“ გახსნა.

„ბილაინის“ მომსახურების ახალი ოფისი ამჯერად თბილისში, კერძოდ კი ვარკეთილის მეტროს მიმდებარე ტერიტორიაზე, ჯავახეთის №44-ში გაიხსნა.

ოფისის გახსნის პარალელურად, „ბილაინი“ ქველმოქმედთა სახლ „მომავლის გზასთან“ ერთად კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის აქციას „ნათელი ფერები ბავშვებს“ განაგრძობს.

ეს ყველაფერი იმას ნიშნავს, რომ მიმდინარე წლის 15 მაისიდან 15 ივლისის ჩათვლით, „ბილაინის“ ნებისმიერი აბონენტი, რომელიც მობილურ ტელეფონს ან სასტარტო პაკეტს „ბილაინის“ ვარკეთილის მომსახურების ოფისში შეიძენს, სოციალური პასუხისმგებლობის აქციის მონაწილე გახდება.

კერძოდ, მობილური ტელეფონის ღირებულებიდან 1 ლარი, ხოლო ნებისმიერი სასტარტო პაკეტიდან 50 თეთრი ქველმოქმედთა სახლს გადაერიცხება და მის აღსაზრდელებს მოხმარდება.

გარდა ამისა, „ბილაინი“ მომხმარებლებს კიდევ ერთ და ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვანი სიახლეს სთავაზობს: ამიერიდან „ბილაინის“ ყველა ოფისში ბოლო მოდელის ანდროიდის სისტემის მქონე მობილური ტელეფონები გაიყიდება.

„საინტერესო და მნიშვნელოვანი“ ამ სიახლეში გახლავთ ის, რომ უახლესი თაობის მობილურ ტელეფონებს კომპანია უპროცენტო განვადებით გთავაზობთ, თანაც ყველგან, სადაც „ბილაინის“ მომსახურების ოფისია.

თეონა ბაღდავაძე, „ბილაინის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი:

– „ბილაინი“ დადებულ პირობას ასრულებს და მორიგი ახალი ოფისი კვლავაც სოციალური პასუხისმგებლობის აქციის ფარგლებში იხსნება.

შეგახსენებთ, რომ კომპანია საზოგადოებას დაპირდა, რომ „ნათელი ფერები ბავშვებს“ ერთჯერადი ინიციატივა არ იქნებოდა და შედეგიც სახეზეა.

პროექტი უკვე რამდენიმე წელია მიმდინარეობს და ამ ხნის განმავლობაში უკვე 10-ზე მეტ ბავშვთა სახლს დავეხმარეთ.

– დავაკონკრეტოთ, რას გულისხმობს ეს აქცია და როგორ შეუძლია მომხმარებელს მასში ჩაბმა?

– ყველაფერი ძალიან მარტივია – აქციის განმავლობაში, 15 მაისიდან 15 ივლისის ჩათვლით, „ბილაინის“ ნებისმიერი აბონენტი, ვინც მობილურ ტელეფონს ან სასტარტო პაკეტს „ბილიანის“ ვარკეთილში ახლადგახსნილ ოფისში შეიძენს, სოციალური პასუხისმგებლობის აქციის მონაწილე გახდება. მობილური ტელეფონის ღირებულებიდან 1 ლარი, ხოლო ნებისმიერი სასტარტო პაკეტიდან 50 თეთრი ქველმოქმედთა სახლს მოხმარდება.

– პირობა კვლავ ძალაშია, „ნათელი ფერები ბავშვებს“ მომავალშიც გაგრძელდება?

– რასაკვირველია, პირობა ძალაში რჩება და ამაში საზოგადოება სულ მალე და კიდევ ბევრჯერ დარწმუნდება. ჩვენ ერთი კვირის წინ მედიისთვის გამოვაქვეყნეთ ანგარიში და დეტალურად წარმოვადგინეთ იმ აქტივობების სია, რომელიც ამ დროის განმავლობაში განვახორციელეთ. ძალიან მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ გვაქვს საშუალება, დავეხმაროთ მცირე საოჯახო ტიპის სახლებს, რომლებიც მართლაც ოჯახურ გარემოს უქმნიან მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს. მსგავსი აქციები თავიდან თბილისში დავიწყეთ და შემდგომ რეგიონებშიც გადავინაცვლეთ. ეს არის ინვესტიცია, რომელიც მომავალ თაობაში შეგვიძლია ჩავდოთ და ძალიან სასიამოვნოა, როდესაც ამას ჩვენი აბონენტების დახმარებით ვაკეთებთ.

გიორგი ტყეშელაშვილი, კომპანია „ბილაინის“ გენერალური დირექტორი:

– „ნათელი ფერები ბავშვებს“, უკვე რამდენიმე წელია ხორციელდება როგორც თბილისში, ისე ჩვენი ქვეყნის სხვა რეგიონებშიც. კომპანიის მიზანია, რაც ამ შემთხვევაში ბავშვთა ზრუნვას გულისხმობს, საქმე ბოლომდე მივიყვანოთ და ერთჯერადი აქტივობებით არ შემოვიფარგლოთ.

– და მომხმარებლებისთვის კიდევ ერთი სიახლე გაქვთ...

– დიახ, მსურს მომხმარებელს ვაცნობო, რომ ამიერიდან ჩვენი ოფისების ქსელში დაიწყო ყველაზე თანამედროვე, ანდროიდის ბოლო მოდელის სისტემის ტელეფონების გაყიდვა, თანაც უპროცენტო განვადებით და იმედი მაქვს, თავისი შინაარსიდან გამომდინარე, ინტერესის გარეშე არც ეს სიახლე დარჩება.

ბექა ავალიანი

დავით კაკაბაძის ნამუშევრები ეროვნულ გალერეაშია

ეკა ირემაშვილი

18 მაისს მუზეუმების საერთაშორისო დღეს საქართველოს ეროვნული მუზეუმის დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნულ გალერეაში დავით კაკაბაძის ნამუშევრების გამოფენა გაიხსნა. ღონისძიება კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და დავით კაკაბაძის ფონდის მიერ იყო ორგანიზებული.

ქართველი მხატვრის ნახატების დასათვალიერებლად ეროვნულ გალერეაში ქართველი საზოგადოების ცნობილი წარმომადგენლები შეიკრიბნენ. მარინა ჯანაშია მეუღლესთან თემო გოცაძესთან ერთად, ლანა ღოღობერიძე, კულტურის მინისტრის მოადგილე მარინე მიზანდარი, ეროვნული მუზეუმის ხელმძღვანელი დავით ლორთქიფანიძე, პარლამენტარი ვახტანგ ხმალაძე, ხელოვნებათმცოდნე ლიკა მამაცაშვილი და საზოგადოებისთვის კარგად ცნობილი ადამიანები.

დავით კაკაბაძის ნამუშევრები ეროვნული გალერეის შვიდივე დარბაზში იყო გამოფენილი. პირველ დარბაზში მხატვრის ბიოგრაფია იყო წარმოდგენილი, მეორე დარბაზში იმერეთის თემაზე შექმნილი ნახატები, მესამე დარბაზში – ბრეტანი/აბსტრაქცია, მეოთხე დარბაზში – კუბიზმი, მეხუთე დარბაზში – ავტოპორტრეტები, მეექვსე დარბაზში– კოლაჟი/ტერეო კინოაპარატი, მეშვიდე დარბაზში – საბჭოთა პერიოდი.

– ექსპონირებული ნამუშევრები დავით კაკაბაძეს წარმოგვიდგენს არა მარტო როგორც მხატვარს, არამედ როგორც თანამედროვე მოაზროვნეს, ფოტოგრაფს, მეცნიერს, ხელოვნებათმცოდნესა და სტერეოკინოს ერთ-ერთ პირველი გამომგონებელს. აღსანიშნავია, რომ აქამდე დავით კაკაბაძის ნამუშევრების ასეთი ფართო გამოფენა არ გამართულა. დამთვალიერებელს საშუალება ეძლევა, იხილოს ეროვნული მუზეუმის ფონდებში, კერძო კოლექციებსა და კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მუზეუმში დაცული 100-ზე მეტი ფერწერული ნამუშევარი, აბსტრაქცია და ფოტო. გამოფენას თან ახლავს ქართველი და უცხოელი სპეციალისტების საგანამანათლებლო ლექციათა ციკლი. პროექტის ორგანიზატორები არიან საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო, საქართველოს ეროვნული მუზეუმი და დავით კაკაბაძის ფონდი. გამოფენა 10 ივლისამდე გაგრძელდება, – აღნიშნულია ეროვნული მუზეუმის ოფიციალურ განცხადებაში.

დავით კაკაბაძე 8 წლის განმავლობაში პარიზში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა. საქართველოში დაბრუნებისას მუშაობა დაიწყო მუშაობა კინოსა და თეატრის დიზაინის, სადღესასწაულო აღლუმების გაფორმების, ფერწერისა და გრაფიკის დარგებში. იგი სამხატვრო აკადემიაში ასწავლიდა, თუმცა მოგვიანებით განდევნეს აკადემიიდან, როგორც პედაგოგი, რომელმაც ვერ შეძლო სოციალისტური რეალიზმის პრინციპების გაზიარება. მან ცოლად შეირთო მხატვარი ეთერ ანდრონიკაშვილი, ჰყავდა ორი შვილი – ამირი და ლარი. იგი გულის ინფარქტით გარდაიცვალა და ვაკის სასაფლაოზე დაკრძალეს, თუმცა მოგვიანებით მისი ნეშტი დიდუბის პანთეონში გადაასვენეს.

ხელოვნებათმცოდნეების განცხადებით, დავით კაკაბაძის შემოქმედება არის ის, რისგანაც ნებისმიერ დამთვალიერებელს უდიდესი ესთეტიკური სიამოვნების მიღება შეუძლია. მას ქართულ ხელოვნებაში განსაკუთრებული და გამორჩეული ადგილი უკავია. მხატვარი ქართველი ფერმწერი, გრაფიკოსი, თეატრისა და კინოს მხატვარი, ხელოვნების მკვლევარი, გამომგონებელი, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე და პროფესორია.



დავით კაკაბაძის ნამუშევრები ეროვნულ გალერეაში 10 ივლისის ჩათვლით დარჩება.

საქართველოს ეროვნულმა მუზეუმმა მუზეუმის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით არაერთი ღონისძიება დაგეგმა და ის კვირეულში გააერთიანა. მუზეუმების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით საქართველოს ეროვნული მუზეუმის შემადგენლობაში შემავალ ყველა მუზეუმში შესვლა უფასო იყო.

კვირეული შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმში გაიხსნა, სადაც საქართველოს ეროვნული მუზეუმის კოლექციებში დაცული XVII-XX საუკუნეების პორტრეტების გამოფენა გაიხსნა.

ანა ვერულაშვილი, ეროვნული მუზეუმის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის მენეჯერი:

– პორტრეტის ჟანრის წარმოშობა მხატვრულ კულტურაში რენესანსის ეპოქას უკავშირდება. სხვადასხვა ეტაპზე შექმნილი პორტრეტები ეპოქის მსოფლმხედველობასა და მხატვრული სტილის თავისებურებებს ასახავს. გამოფენაზე წარმოდგენილია საქართველოს ეროვნული მუზეუმის შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმსა და დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნულ გალერეაში დაცული XVII-XX საუკუნეების პორტრეტის ჟანრის ქართველი და ევროპელი ოსტატების მიერ შექმნილი ნიმუშები. შერჩეული ნამუშევრები კარგად ასახავს პორტრეტული ჟანრის განვითარებასა და მის თავისებურებებს. დამთვალიერებელს საშუალება ეძლევა, იხილოს ეროვნული მუზეუმის კოლექციებში დაცული 75 ქართველი და ევროპელი მხატვრის 100-მდე ფერწერული და გრაფიკული ტილო. მათგან აღსანიშნავია ნიკო ფიროსმანაშვილის, გიგო გაბაშვილის, ლადო გუდიაშვილის, შალვა ქიქოძის, ქეთევან მაღალაშვილის, სერგო ქობულაძის ნამუშევრები. გამოფენას თან ახლავს საგანმანათლებლო პროგრამაც. ექსპოზიცია 1 ივნისამდე გაგრძელდება.

ამავე კვირეულის ფარგლებში ეროვნულმა მუზეუმმა და კომპანია „ბიპიმ“ წარმოადგინეს კულტურული მემკვიდრეობის პუბლიკაციები და ვებგვერდის პრეზენტაცია. ღონისძიება მუზეუმის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი კვირეულის ფარგლებში ჩატარდა.

– 1999 წლიდან საქართველოს ეროვნულმა მუზეუმმა და „ბიპიმ“, მის პარტნიორ ორგანიზაციებთან ნავთობსადენ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანთან, სამხრეთ კავკასიის გაზსადენთან, დასავლეთის მიმართულების საექსპორტო ნავთობის მილსადენთან (ბაქო-სუფსა) ერთად წარმოადგინა პუბლიკაციები კულტურული მემკვიდრეობის შესახებ. სამეცნიერო ინფორმაციასა და კვლევათა ფუნდამენტურ მასალაზე დაფუძნებული კულტურული მემკვიდრეობის ძირითადი პუბლიკაციებია: 1. „წარსული და მომავალი მემკვიდრეობა მილსადენების დერეფანში: აზერბაიჯანი, საქართველო, თურქეთი: ბითისი/ესსიპი“. აზიური ისტორიული კულტურული პროგრამა, სმითსონის ინსტიტუტი, 2011 წელი, 239 გვერდიანი, ილუსტრირებული, სამენოვანი (აზერბაიჯანული, ქართული, ინგლისური) წიგნი წარმოაჩენს სამი ქვეყნის – აზერბაიჯანის, საქართველოსა და თურქეთის მდიდარ კულტურულ მემკვიდრეობას. მასში აისახა ამ სამი ქვეყნისა და სმითსონის ინსტიტუტის მეცნიერთა ერთობლივ კვლევათა შედეგები. 2. „გადარჩენითი არქეოლოგია საქართველოში: ბაქო-თბილისი– ჯეიჰანი და სამხრეთკავკასიური მილსადენები“ ბითისი/ესსიპი. თბილისი, 2010 წელი. 622-გვერდიანი აკადემიური, ილუსტრირებული, ორენოვანი (ქართულ-ინგლისური) წიგნი შეიცავს 23 სამეცნიერო სტატიას გადარჩენითი არქეოლოგიის პროგრამიდან, რომელიც დაფინანსდა „ბიპისა“ და მისი პარტნიორების მიერ. ეს პროგრამა არის მხოლოდ ნაწილი კომპანიის ძალისხმევისა, დაიცვას საქართველოში ბითისის და ესსიპის მილსადენების მშენებლობისას აღმოჩენილი კულტურული მემკვიდრეობა. აღნიშნული სამუშაოები შესრულდა 2000-2005 წლებში საქართველოს ეროვნული მუზეუმის არქეოლოგიის კვლევის ცენტრის მიერ. 2. ვანის ბროშურა ჯიპიეს (ნავთობსადენი ბაქო-სუფსა). თბილისი, საქართველოს ეროვნული მუზეუმი, 2010 წელი. პუბლიკაცია გვაწვდის ინფორმაციას ვანის არქეოლოგიური დასახლებისა და ვანის არქეოლოგიის მუზეუმის შესახებ. წიგნში განსაკუთრებული ადგილი ეთმობა მნიშვნელოვან აღმოჩენებს, ვანის არქეოლოგიურ ძეგლსა და მუზეუმში განთავსებულ ექსპონატებს. 4. ახალციხის მუზეუმის ბროშურა ბითისი/ესსიპი, თბილისი, საქართველოს ეროვნული მუზეუმი, 2009 წელი. ბროშურა მკითხველს ნათელ წარმოდგენას უქმნის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიულ მუზეუმსა და მთლიანად რეგიონზე (სამხრეთი საქართველო). 5. „ზღუდერის საგანძური“ – ბიპი, თბილისი, საქართველოს ეროვნული მუზეუმი, 2009 წელი. 100-გვერდიან ილუსტრირებულ წიგნში მოთხრობილია პატარა სოფელ ზღუდერში (აღმოსავლეთი საქართველო) მიკვლეული საქართველოს უძველესი კულტურული მემკვიდრეობის შესანიშნავი აღმოჩენის შესახებ. ზღუდერში აღმოჩენილი მნიშვნელოვანი ძეგლები საშუალებას გვაძლევს უკეთ შევიცნოთ უძველესი საქართველოს წარჩინებული საზოგადოება. 6. დმანისის არქეოლოგიური გათხრები – ბიპი, თბილისი, საქართველოს ეროვნული მუზეუმი, 2009 წელი. როლექსი, სტუდია მილოუ არხიტექტურ. 37 გვერდიანი წიგნი აღწერს შუა საუკუნეების დმანისის გათხრებს 1936 წლიდან და 1.7-1.8 მილიონი წლით დათარიღებულს დმანისურ ჰომინიდებს. 7. „ოქრომრავალი კოლხეთი“ – ბიპი, თბილისი, საქართველოს ეროვნული მუზეუმი, 2005 წელი. 95-გვერდიანი ილუსტრირებული წიგნი-კატალოგი მიეძღვნა საქართველოს ეროვნული მუზეუმის სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმში წარმოდგენილ გამოფენას „ოქრომრავალი კოლხეთი“. 8. „მილსადენის არქეოლოგია“. ტომი 1 და 2 – ჯიპიეს. თბილისი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრი, 1999 და 2002 წლები. აკადემიური გამოცემის ორტომეულის თითოეულ ტომში 120 გვერდია. ტომეულები შედგება 25 ქართულენოვანი სამეცნიერო სტატიისგან, რომელთაც ერთვის ინგლისურენოვანი რეზიუმეები. სტატიებში აღწერილია გადარჩენითი არქეოლოგიის პროგრამის შედეგები, რომელიც დაფინანსდა საქართველოს მილსადენის კომპანიის მიერ, რომლის მიზანიც 1997-1999 წლებში მშენებლობის დროს აღმოჩენილი კულტურული რესურსების დაცვა გახლდათ. ნილ დანი აღნიშნავს: „ჩვენ ძალიან გვეამაყება, რომ წვლილი შევიტანეთ მსოფლიოს ერთ-ერთი ძველი ცივილიზაციის ისტორიულ კულტურათა კვლევის საქმეში. მოხარული ვარ, რომ ჩვენმა პროგრამამ მისცა არქეოლოგებს საშუალება, გამოევლინათ მანამდე უცნობი და მიუკვლეველი დასახლებები. შედეგი მართლაც შთამბეჭდავია და ჩვენ გვჯერა, რომ პუბლიკაციები და ვებგვერდი, რომელსაც დღეს წარმოვადგენთ, იქნება ღირებული გზამკვლევი, რომელიც ყველა კონტინენტის მკითხველს საშუალებას მისცემს, შეიცნოს საქართველოს უმდიდრესი კულტურული მემკვიდრეობა“, – აღნიშნავს ანა ვერულაშვილი.

მისივე თქმით, ბიპი საქართველოში განაგებს სამ ძირითად მილსადენს: ნავთობსადენს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი, დასავლეთის მიმართულების საექსპორტო ნავთობსადენსა და სამხრეთ კავკასიის გაზსადენს. მისი ზოგადი პოლიტიკაა, თავისი ყველა პროექტის განხორციელებისას დაიცვას კულტურული მემკვიდრეობა და შეასრულოს ყველა ეროვნული და საერთაშორისო მოთხოვნა ამ მიმართულებით. საქართველოში ბიპისა და მისი პარტნიორების მხრიდან კულტურული მემკვიდრეობისა და განათლების სფეროში მდგრადი განვითარების ინიციატივები ითვალისწინებს აუდიტორიის რეკონსტრუქციას; ტაძრისის მონასტრის რეკონსტრუქციას; ღია ცის ქვეშ მუზეუმის დაარსებას დმანისის არქეოლოგიურ გათხრებზე; თბილისის სახელ-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

ანცხადებები

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასლებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებთ მის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ. №166, №10 კორპუსის წინ და №1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.

● გახდომა 5-20 კგ-მდე დიეტის გარეშე, გასუქება 2-5 კგ თვეში, 3-ჯერადი კვებით, უვნებლად, მადის დარეგულირებით, შედეგის 100%-ით მუდმივად შენარჩუნებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ქ-ნი ქეთევანი 599-90-54-78; 234-02-38.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახრეზზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.

● დაქვეითებული სმენის, ნევრიტის, პროსტატიტის, ხშირი შარდვის, წიოელი ქარის, სხვა დაავადებების განკურნება ასაკის მიუხედავად, ბიოენერგოინფორმაციული მასაჟის უნიკალური მეთოდით, არასკეპტიკოსებისათვის. მიღება შეზღუდულია ჩაწერით. ტრადიციული სამედიცინო საქმიანობის მართვის ცენტრთან არსებული საზოგადოების წევრი, სერთიფიცირებული დამსახურებული სახალხო მკურნალი ლევან სეხნიაშვილი. ტელ: 599-97-85-46.

● ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გაჩეჩა საბან-ლეიბების განახლების მიზნით. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი. განახლებული ლოგინი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ტელ: 235-15-96.

● ნანა ქიბროწაშვილი. შპს „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, მოგიხსნით ნეგატიური ზემოქმედებით გამოწვეულ პრობლემებს ფოტოსურათით: აგრესიას, აკვიატებას, ეჭვი-ანობას, თვითმკვლელობის სურვილს, უიმედობას, აფორიაქებას, დაძაბულობას, შებოჭილობას, აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას, პათოლოგიურ სიმთვრალეს, სევდას, ნაღველს, მელანქოლიას. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. ტელ: 599-498-423

პარიზში „ქართულ-ფრანგული კვირეული“ გაიმართება

პარიზში „ქართულ-ფრანგული კვირეული“ გაიმართება. 26 მაისის ჩათვლით მონმარტრი არაერთ საინტერესო ღონისძიებას უმასპინძლებს, სადაც წარმოდგენილი იქნება საქართველოს შემოქმედებითი, კულტურული და განთქმული ქართული სამზარეულოს პოტენციალი. კვირეულს ორგანიზებას უწევს კომპანია „თბილისი-პარიზი-თბილისი“ და ქართული კულტურის ცენტრი პარიზში „ლაზი“. ამასთანავე, თბილისის მერიის ჩართულობით კვირეულის ფარგლებში დაიგეგმა ქართველ მხატვართა ნამუშევრების გამოფენა და ანსამბლ „ურმულის“ კონცერტი.

ქართველ მხატვართა გამოფენა 24 მაისის ჩათვლით მონმარტრის სენ პიერის ეკლესიის საექსპოზიციო დარბაზში იქნება წარმოდგენილი. ექსპოზიციის მხარდამჭერი თბილისის მერიაა.

„ქართულ-ფრანგული კვირეულის“ ფარგლებში დაიგეგმა საფრანგეთში მოღვაწე ქართველი ხელოვანის პაატა ქურდაძის ახალი წიგნის „ანტიდოტისა“ და მწერალ და მხატვარ გელა ბატიაშვილის ბოლო ნოველების კრებულის „პოლკოვნიკის ორმოცი დღე“ პრეზენტაცია.

21 მაისს გაიმართება შეხვედრა ჩოხოსნებთან, პარიზში ქართულ ჩოხოსანთა საზოგადოება ჩამოყალიბდება და ახალი წევრებისთვის მედლების გადაცემის საზეიმო ცერემონიალი მოეწყობა.

23 მაისს ქართველ მხატვართა გამოფენის დახურვა შედგება ქართული სამზარეულოს კერძების დეგუსტაციის თანხლებით მონმარტრის სენ პიერის ეკლესიის საექსპოზიციო დარბაზში.

„ქართულ-ფრანგული კვირეულის“ დღეებს ქართული ტრადიციული ფოლკლორული ანსამბლის „ურმულის“ კონცერტი მონმარტრის კიბეზე დახურავს. კონცერტს თბილისის მერია წარმოადგენს.

26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, პარიზში აუღერდება ქართული მუსიკა და ქორეოგრაფია. მონმარტრის არენაზე შეკრებილი საზოგადოებისთვის გაიმართება კონცერტი „ლაზის“ სკოლის მოსწავლეები, სიმღერისა და ცეკვის ანსამბლ „ლაზისა“ და პოლიფონიურ ანსამბლ „მარანის“ მონაწილეობით.

როგორც თბილისის მერიის კულტურული ღონისძიებების ცენტრის ოფიციალურ განცხადებაშია აღნიშნული, ყველა ღონისძიებაზე დასწრება თავისუფალია.

ეკა ირემაშვილი

ჯგუფი „სიაბრი“ „ორერასთან“ ერთად იმღერებს

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ძალიან საინტერესო პროგრამა, არაჩვეულებრივი შემსრულებლები ჰყავთ. თვითონ ხელმძღვანელის შვილი ოლესია იღებს მონაწილეობას კონცერტში. არაჩვეულებრივად მღერის ანსამბლთან ერთად.

– „სიაბრი“ თქვენ ჩამოგყავთ თბილისში?

– არა, „შატო მუხრანს“ ჩამოჰყავს და კიდევ არიან ორგანიზატორები, ზუსტად არ მახსოვს. რამდენიმე დღეში ჩამოვა მათი პროდიუსერი, შევხვდები და ყველაფერი უკვე დაწვრილებით მეცოდინება. მთავარი ის არის, რომ პირველად ჩამოვლენ საქართველოში და დიდ ფურორსაც მოახდენენ.

– იციან ქართული სიმღერა?

– არა, ქართული სიმღერა მათი შესრულებით არასოდეს მომისმენია.

– არ ასწავლით?

– თუ მოინდომებენ, აუცილებლად ვასწავლით. ერთად ვიმღერეთ მინსკში „თბილისო“, მათი პრეზიდენტიც კი ვამღერეთ.

– ახლა „ორერა“ როგორი შემადგენლობით მოღვაწეობთ?

– ახლა უკვე კვინტეტი ვართ, მე და თემურ დავითაია ვართ ძველები და სამი ახალგაზრდა გვყავს – დავით მაღლაკელიძე, გიორგი წიკლაური და ზურიკო მირზიაშვილი. ძალიან კარგი ბიჭები არიან, ნიჭიერები, სოლოსაც არაჩვეულებრივად მღერიან და კვინტეტშიც ხომ მღერიან და მღერიან. იმდენი ვავარჯიშე, რომ საუკეთესოები არიან, თვითონ მაინცდამაინც არ უნდოდათ ვარჯიში, მაგრამ ნიჭიერება დაეხმარა. ჩვენს სიმღერებზე გაიზარდნენ, კარგად იცოდნენ ჩვენი რეპერტუარი და გაუადვილდათ შესვლა პროგრამაში. ჩვენ ამ კონცერტში ვმონაწილეობთ, როგორც მეგობრები, თან როგორც სტუმრები და თანაც მასპინძლები, რაც ჩვენი აუცილებელი პირობაა.

„დინამომ“ თასი ოფიციალურად ჩაიბარა

დინამო (თბ) – ზესტაფონი 6:1

თბილისი. დინამო არენა

1:0 გრაციაარი (16), 2:0 დვალი (18), 2:1 დემელი (38), 3:1 უსტარიცი (41), 4:1 გრაციაარი (63), 5:1, 6:1 ჩისკო (66, 74)

დინამო: ლორია, უსტარიცი, გ.კვარაცხელია, გლიშიჩი, სეთურიძე, ძარია, ხმალაძე (პაპავა 69), დვალი, მერებაშვილი (კოტო 74), გრაციაარი (მილხრაუმი 77), ჩისკო

ზესტაფონი: მეშველიანი, კუტალია (ბ.კვარაცხელია 76), პეტკოვი, გაგოშიძე, თორნიკე გრიგალაშვილი, შარიქაძე, ბაბუნაშვილი, სარდალიშვილი (გაჩეჩილაძე 71), აფციაური, დემელი, კვერნაძე

მატჩი ჩაშლის პირას იდგა, რადგან იმერლები საქართველო დედაქალაქში ჩამოსვლას არ ფიქრობდნენ. ამის მიზეზი საფეხბურთო კლუბ „ზესტაფონში“ მიმდინარე მოვლენებია. მატჩის წინა დღეს ზესტაფონს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ლევან ყიფიანი ესტუმრა, რომელიც კლუბის მესვეურებს შეხვდა, რის შემდეგ გადაწყდა, რომ „ზესტაფონი“ „დინამოს“ წინააღმდეგ ითამაშებდა.

გეტყვით იმასაც, რომ მატჩის მსვლელობისას „ზესტაფონელთა“ სათადარიგოთა სკამზე არ ისხდნენ მთავარი მწვრთნელი კახა კაჭარავა და მისი ასისტენტი კახი გოგიჩაიშვილი. გუნდი სათამაშოდ დუბლშემადგენლობის თავკაცმა გიორგი მიქაძემ გაიყვანა, თუმცა, როგორც გაირკვა, ორივე სპეციალისტი ისევ გუნდშია.

„დინამომ“ იოლად იმარჯვა, ყოველგვარი პრობლემების გარეშე. ანგარიში მე-16 წუთზე გაიხსნა – მარცხენა ფლანგიდან გიორგი მერებაშვილმა ჩაწოდა და პეტერ გრაიციარმა გაიტანა. ორ წუთში გრაციაარი უკვე ასისტენტად მოგვევლინა და ჯაბა დვალს გაატანინა.

ამის შემდეგ გუნდელმა მომენტები გაცვალეს: ჩისკოს ორჯერ ჰქონდა თავის გამოჩენის შანსი, ჯერ მისი დარტყმული მცველებმა მოიგერიეს კუთხურზე, შემდეგ კი, ფაქტობრივად, პირისპირ გასულმა მცირედით ააცილა კარს. „დინამოს“ იერიშებს ზესტაფონელებმა უპასუხეს დემელის უზუსტო დარტყმით. მალევე ჩისკოს ისევ ჰქონდა გატანის შანსი, თუმცა მეკარე ისევ კარგად გაისარჯა. ამ მომენტიდან ერთ წუთში დვალი გაექცა პეტკოვს და პირისპირ დარჩა მეკარესთან, თუმცა საბოლოო დარტყმა არ გამოუვიდა და მეშველიანი ადვილად დაეუფლა ბურთს.

მალევე გატანის შანსი ჰქონდა სარდალიშვილს, მისი დარტყმული მცირე რიკოშეტის შემდეგ ლორიამ მოიგერია.

საბოლოოდ „ზესტაფონმა“ მაინც გაიტანა, 38-ე წუთზე თავი იმერელთა რიგებში ყველაზე აქტიურმა, ბოტი დემელმა გამოიჩინა – მოედნის სიღრმიდან გაკეთებული პასის შემდეგ იგი მცველებს გაექცა და ადვილად დალაშქრა ლორიას კარი – 2:1.

ორბურთიანი სტატუსკვოს აღსადგენად „დინამოს“ 3 წუთი დასჭირდა – ჩისკოს შესრულებული სტანდარტულის შემდეგ საჯარიმოში თავით ბურთი კვარაცხელიამ მოიგო, რომელმაც უსტარიცს მისცა პასი და ამ უკანასკნელმაც თავური დარტყმით მიმდინარე სეზონში თავისი პირველი გოლი გაიტანა – 3:1.

ტაიმის ბოლო დარტყმა ზესტაფონელებმა განახორციელეს. ბაბუნაშვილის შორეული გასროლა ლორიამ მოიგერია.

მატჩის მეორე ტაიმი საკმაოდ მაღალ ტემპში განახლდა, ორივე გუნდი ცდილობდა შეტევას და ორივე კართან შეიქმნა მეტ-ნაკლებად სახიფათო მომენტები, რომლებიც ძირითადად უზუსტო დარტყმებით დასრულდა. ყველაზე სახიფათო, მე-60 წუთზე დემელის მომენტი იყო, რომელიც პირისპირ აღმოჩნდა მეკარესთან, თუმცა დარტყმული კარს ააცილა.

63-ე წუთზე ისევ „დინამომ“ გაიტანა, მერებაშვილმა სოლო რეიდი, რამდენიმე ცრუმოძრაობის შემდეგ, კარის წინ მდგომი გრაციაარისთვის მიცემული პასით დაასრულა და ამ უკანასკნელსაც არ გასჭირვებია ბურთის კარში გადაგზავნა – 4:1.

სამ წუთში დედაქალაქელებმა კვლავ გააგრძელეს ზესტაფონელთ რბევა, კომბინაცია მერებაშვილმა წამოიწყო, რომელმაც საჯარიმოში დვალს უპასა, ამ უკანასკნელმა კი კარის სიახლოვეს მდგარი ჩისკო მონახა და ესპანელმაც ამ სეზონში 23-ე გოლი გაიტანა – 5:1.

75-ე წუთზე ანგარიში კატასტროფული გახდა, შეცვლაზე შემოსულმა კოტომ, პირველივე შეხება საგოლე პასად აქცია და ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირს, ჩისკოს 24-ე გოლი გაატანინა – 6:1.

მე-80 წუთზე დემელს ჰქონდა შანსი, ანგარიში შეემცირებინა, მაგრამ მისი დარტყმული ხარიხამ აისხლიტა.

საბოლოოდ შეხვედრა ასევე დასრულდა. მატჩის შემდეგ „დინამომ“ კუთვნილი საჩემპიონო მედლები და თასი საზეიმოდ ჩაიბარა. წინ კი, 22 მაისს, თასის ფინალია. 10 წლის შემდეგ, დედაქალაქელებს შანსი ეძლევათ, სეზონი დუბლით დასრულონ.

მატჩის შემდეგ:

დუშან უჰრინი:

– დღეს ძალიან სასიამოვნო დღე იყო. საჩემპიონო შეგრძნება გვქონდა. ვულოცავ მთელ ჩვენს გუნდს დამსახურებულ ჩემპიონობას. ჩვენ ეს დავიმსახურეთ.

გიორგი მიქაძე:

– დღევანდელი მატჩის შეფასებისგან თავს შევიკავებ. კარგია, რომ სეზონი დასრულდა. ვულოცავ „დინამოს“ დამსახურებულ ჩემპიონობას!

დილა – ჩიხურა 4:0

გორი. თენგიზ ბურჯანაძე

1:0 ნათან ჟუნიორი (10), 2:0 რამოსი (30), 3:0 ნათან ჟუნიორი (33), 4:0 გოგუა (76)

დილა: მამალაძე, ალადაშვილი (გოგინაშვილი 62), კვახაძე, თომაშვილი, კვირკველია, გვალია, მაისურაძე, რამოსი (გორელიშვილი 46), გოგუა, მოდებაძე (ილურიძე 46), ნათან ჟუნიორი

ჩიხურა: სომხიშვილი, ოდიკაძე, გუშარაშვილი, რეხვიაშვილი, კაშია (ბაკურაძე 46), დიღმელაშვილი, ზაბახიძე, ბოლქვაძე (ლომაშვილი 46), კირკიტაძე (ქიმაძე 57), გოცირიძე, დეკანოიძე

ბოლო ტურის მატჩი გორის „დილასა“ და საჩხერის „ჩიხურას“ შორის ფორმალურ მნიშვნელობას ატარებდა.

როგორც მოგეხსენებათ, „დილამ“ ორიოდე ტურით ადრე გაინაღდა მეორე საპრიზო ადგილი და ვერცხლის მედლები, ხოლო საჩხერელები მეოთხე ადგილზე გავიდნენ და ასევე დავით ყიფიანის სახ. თასის ფინალში უწევს დაპირისპირება თბილისის „დინამოსთან“. მიუხედავად ამისა, მატჩს საზეიმო ელფერი დაჰკრავდა, რადგან შეხვედრის დამთავრების შემდეგ დაგეგმილი იყო „დილასთვის“ ვერცხლის მედლების გადაცემის ცერემონიალი. „დილამ“ ამ მატჩში გამარჯვების დიდი წყურვილი გამოიჩინა და უშანსოდ დატოვა მეტოქე.

მატჩის დებიუტშივე ბრაზილიელმა ლეგიონერმა ნათან ჟუნიორმა გახსნა ანგარიში, რის შემდეგაც მისმა თანამემამულემ ლეონარდო რამოსმა 30-ე წუთზე ანგარიში ორამდე გაზარდა. ეს ლეონარდოს პირველი გატანილი ბურთი გახლდათ ჩემპიონატში. პირველი ნახევარი მთლიანად გორელთა უპირატესობით მიმდინარეობდა, რაზეც ანგარიშიც მეტყველებს. ტაიმის მიწურულს ნათან ჟუნიორმა კვირკველიას ჩაწოდების შემდეგ თავური დარტყმით დუბლი გაიფორმა.

მეორე ნახევარი უკვე ფორმალურ ხასიათს ატარებდა. მატჩი კიდევ უფრო კარგი საყურებელი გახდა. როგორც გორელებს, ასევე საჩხერელ ფეხბურთელებს ჰქონდათ გოლის გატანის რეალური შანსები, თუმცა მხოლოდ ერთი ბურთი გავიდა, რომელიც გოგიტა გოგუას უზადო შესრულებას მოჰყვა. მეტოქის მარცხენა ფლანგზე ტექნიკური მოძრაობით მცველი ჩამოიცილა და მარცხენა ფეხით 10-15 მეტრიდან თავზე გადაუგდო ბურთი საჩხერელთა მეკარეს.

თამაში დასრულდა თუ არა, გულშემატკივარმა მოედანზე გადაინაცვლა. „დილას“ ფეხბურთელები და ქომაგები ერთად ზეიმობდნენ საპატიო მეორე ადგილის აღებას. „დილა“ ვერცხლის მედლებით დააჯილდოვეს ლეგენდარულმა ქართველმა ფეხბურთელმა ალექსანდრე ჩივაძემ და ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა გია ფირცხალავამ.

ზუგდიდი – ტორპედო 1:4

განმუხური. ცენტრალური

0:1 ტუღუში (18), 0:2 ფირცხალავა (44), 0:3 გავაშელიშვილი (57), 1:3 გაბედავა (65), 1:4 დოლიძე (78)

85-ე წუთზე წურწუმიამ ვერ გამოიყენა პენალტი (ააცილა)

ზუგდიდი: ძაგანია, ქვარცხავა (აქუბარდია 30), რ.ონიანი, აფაქიძე, კანკია, ხუბუა, სიხარულია (მალანია 63), წურწუმია, ლომია (ბერიშვილი 58), გაბედავა, ეხვაია

ტორპედო: მიგინეიშვილი, ჭელიძე, გ.გურული, რიგვავა, ტუღუში, გ.დათუნაიშვილი, ფირცხალავა (გიგაური 55), კუხიანიძე, დოლიძე, გრიგალაშვილი (გოგიჩაიშვილი 78), ბერიაშვილი (გავაშელიშვილი 51)

გაძევება: როინ ონიანი (54)

მატჩი „ტორპედოს“ აქტიურობით დაიწყო და უკვე მე-4 წუთზე დათუნაიშვილის პასით დოლიძემ მოედნის ცენტრიდან განახორციელა დრიბლინგი და მეკარესთან პირისპირ გასულმა დროულად დაარტყა, კარში მიმავალმა ბურთმა ტრაექტორია შეიცვალა და მიზანს ოდნავ ასცდა. მე-17 წუთზე სტუმრებმა პირველად მიაღწიეს საწადელს, მარჯვენა მხრიდან დოლიძის ჩაწოდებული ბურთი მცველმა უხერხულად მოიგერია და საჯარიმოს ხაზიდან იგი მიწაზე დაუშვებლად ბექა ტუღუშმა გადაგზავნა კარში – 0:1.

თამაშს მეტწილად „ტორპედო“ აკონტროლებდა და ასეთი უპირატესობის ფონზე ლოგიკური იყო ზუგდიდელთა კარში გატანილი მეორე გოლიც. 44-ე წუთზე, ფირცხალავა-ბერიაშვილის კომბინაცია ნიკა ფირცხალავამ დააბოლოვა ზუსტად – 0:2. უქმად არც მასპინძლები ყოფილან, მათ რამდენიმე სახიფათო დარტყმაც განახორციელეს ქუთაისელთა კარის მიმართულებით, მაგრამ ბურთი კარს მიღმა მიდიოდა.

თამაშის სურათი მეორე ტაიმშიც მსგავსი იყო. რეალურ საგოლე მომენტებს მეტწილად კვლავ გია გეგუჩაძის გუნდი ქმნიდა. 54-ე წუთზე მსაჯმა სიტყვიერი შეურაცხყოფისთვის მოედნიდან როინ ონიანი გააძევა და მასპინძლები რიცხობრივ უმცირესობაში დატოვა. 56-ე წუთზე „ტორპედოს“ ფორვარდის 18 წლის მამია გავაშელიშვილის უმაღლეს ლიგაში დებიუტი შედგა, რომელსაც საუცხოო დებიუტი გამოუვიდა, მოედანზე შესვლიდან სამ წუთში გაიტანა – 0:3.

66-ე წუთზე „ტორპედოს“ მცველების შეცდომით გიორგი გაბედავამ ისარგებლა და სხვაობა შეამცირა – 1:3. 79-ე წუთზე კი კვლავ სამბურთიანი სტატუსკვო აღდგა, დათუნაიშვილი-გავაშელიშვილის კომბინაციით ამ უკანასკნელმა საჯარიმოს შიგნიდან კარში დაარტყა, ბურთი ჯერ მეკარემ მოიგერია შემდეგ კი ძელს მოხვდა და გრიგოლ დოლიძეს მიუვიდა, რომელმაც გოლით თავი დღესაც გამოიჩინა – 1:4. დარჩენილ დროში განვითარებული მოვლენებიდან აღსანიშნავია 85-ე წუთზე „ტორპედოს“ კარში დანიშნული პენალტი, რომელიც წურწუმიამ გააცუდა. საბოლოოდ ქუთაისელებმა მშვიდად მიიყვანეს მატჩი სასურველ შედეგამდე.

საბოლოო ცხრილი 1-6 ადგილებისთვის:

1.დინამო	32	24	6	2	88:23	78
2.დილა	32	22	2	8	60:26	68
3.ტორპედო	32	19	7	6	57:30	64
4.ჩიხურა	32	17	6	9	49:38	57
5.ზესტაფონი	32	12	6	14	35:38	42
6.ზუგდიდი	32	10	6	16	31:52	36

მერანი – სიონი 1:2

მარტვილი. ცენტრალური

0:1 სვანიძე (8), 1:1 ტორონჯაძე (62), 1:2 ახალაია (70)

70-ე წუთზე ლომიამ ვერ გამოიყენა პენალტი (ააცილა)

მერანი: შეროზია, იობაშვილი, მონიავა, გეგია, დიდავა (ბუკია 29), ლურსმანაშვილი, ტორონჯაძე, ზაქრაძე (მელიავა 70), კუჭუხიძე (შარვაძე46), ს.ლომია, ქარქუზაშვილი

სიონი: მერლანი, ქემოკლიძე, სვანიძე, ფოფხაძე, ელიავა, ჰაიდუჩეკი (საფირი 72), მანწკავა, ჩივაძე (ისიანი 59), მიკუჩაძე, ბიბილეიშვილი, ახალაია (უგულავა 77)

ბოლნისელებს ელიტაში დასარჩენად მხოლოდ მოგება აწყობდათ და ეს ამოცანა შეასრულეს. მატჩი არ გვინახავს და ვერ გეტყვით, რამდენად იქნა დაცული ფეარ პლეის წესები. თუმცა, ფაქტია, უმოტივაციო „მერანთან“ სტუმრებმა სასიცოცხლო მნიშვნელობის გამარჯვება მოიპოვეს.

მეტალურგი – დინამო (ბთ) 0:1

რუსთავი. ფოლადი

0:1 ვაჟა ქორიძე (90)

მეტალურგი: ალავიძე, ჯაფარიძე, მახვილაძე, ინწკირველი, სუხიაშვილი, გავაშელიშვილი (მიქაბერიძე 61), დ.საჯაია (კორღალიძე 73), დობროვოლსკი, გეწაძე, კვარაცხელია (ახალკაცი 66), სიხარულიძე

დინამო: ტაკიძე, ფარტენაძე, ჟვანია, ლობჟანიძე, გაბუნია, მახარაძე (ქორიძე 41), მუჯირი, თევდორაძე, კიკნაველიძე, დიასამიძე (მაკარიანი 46), ჩიმაკაძე

ბათუმელებმა კი მოიგეს, მაგრამ ეს გამარჯვება არაფერში წაადგათ. ზღვისპირელები გაისად ისევ ქვედა ლიგაში ითამაშებენ.

კოლხეთი – ვიტ ჯორჯია 2:0

ფოთი. ცენტრალური

1:0 ქორჩილავა (46), 2:0 სიჭინავა (55)

კოლხეთი: ბუბუტეიშვილი, გ.კილასონია, ჩადუნელი, ფარულავა, კაკულია, ხოშტარია (გოგონაია 60), წაბრია, კრასოვსკი (სიჭინავა 46),

გაგრძელება მე-10 გვერდზე

ფეხბურთი

ესპანეთი. პირველი დივიზიონი

ხეტაფე-ვალენსია 0:1
გრანადა-ოსასუნა 3:0
სევილია-სოსიედადი 1:2

სატურნირო ცხრილი:

1.ბარსელონა	35	29	4	2	107-38	91
2.რეალი	36	25	6	5	96-37	81
3.ატლეტიკო	36	22	6	8	62-30	72
4.სოსიედადი	36	17	11	8	66-46	62
5.ვალენსია	36	18	8	10	63-50	62
6.მალაგა	36	15	9	12	49-45	54
7.ბეტისი	35	15	7	13	52-54	52
8.რაიო	36	15	4	17	46-63	49
9.სევილია	36	13	8	15	53-49	47
10.ხეტაფე	36	13	8	15	42-53	47
11.ესპანიოლი	35	11	11	13	43-47	44
12.ვალიადოლიდი	35	11	10	14	46-50	43
13.სევილანტე	36	11	9	16	38-56	42
14.ბილბაო	35	11	8	16	40-61	41
15.გრანადა	36	10	9	17	35-53	39
16.ოსასუნა	36	9	9	18	29-45	36
17.სარაგოსა	35	9	7	19	35-53	34
18.დეპორტივო	35	7	11	17	44-66	32
19.სელტა	36	8	7	21	34-52	31
20.მალიორკა	35	7	8	20	38-70	29

ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

ბარსელონა ბ-ალკორკონი 1:1
ლას პალმასი-უელვა 0:0
რეალი ბ-ლუგო 3:1
ხერესი-ხიხონი 0:2
ვილიარეალი-ხირონა 4:1
პონფერადინა-ნუმანსია 1:1
კორდობა-უესკა 2:2

იტალია. სერია ა

სამპდორია-იუვენტუსი 3:2

სატურნირო ცხრილი:

1.იუვენტუსი	38	27	6	5	71-24	87
2.ნაპოლი	37	23	9	5	72-34	78
3.მილანი	37	20	9	8	65-38	69
4.ფიორენტინა	37	20	7	10	67-43	67
5.უდინეზე	37	17	12	8	54-43	63
6.ლაციო	37	18	7	12	51-41	61
7.რომა	37	17	8	12	69-55	59
8.კატანია	37	15	10	12	48-44	55
9.ინტერი	37	16	6	15	53-52	54
10.პარმა	37	12	10	15	42-45	46
11.კიევო	37	12	8	17	35-50	44
12.კალიარი	37	11	11	15	42-55	44
13.ბოლონია	37	11	10	16	46-52	43
14.სამპდორია	38	11	10	17	43-51	42
15.ატალანტა	37	11	8	18	37-54	39
16.ტორინო	37	8	15	14	44-53	38
17.ჯენოა	37	8	13	16	38-52	37
18.პალერმო	37	6	14	17	33-51	32
19.სიენა	37	9	9	19	35-55	30
20.პესკარა	37	6	4	27	26-79	22

შენიშვნა:

სამპდორიას დაკლებული აქვს 1 ქულა
ტორინოს დაკლებული აქვს 1 ქულა
ატალანტას დაკლებული აქვს 2 ქულა
სიენას დაკლებული აქვს 6 ქულა

იტალია. სერია ბ

გროსეტო-ბარი 4:3
სპეცია-მოდენა 1:1
ტერნანა-პადოვა 2:1
ჩეზენა-პრო ვერჩელი 1:1
ბრეშა-ვარეზე 2:0
ვერონა-ემპოლი 0:0
ვიჩენცა-რეჯინა 0:0
ნოვარა-ლანჩანო 1:1
სასუოლო-ლივორნო 1:0
ჩიტადელა-ასკოლი 1:0

გერმანია. ბუნდესლიგა

აინტრახტი-ვოლფსბურგი 2:2
აუგსბურგი-ფიურტი 3:1
დორტმუნდი-ჰოფენჰაიმი 1:2
გლადბახი-ბაიერნი 3:4
ჰამბურგი-ლევერკუზენი 0:1

შედეგები

ჰანოვერი-ფორტუნა 3:0
ნიურნბერგი-ვერდერი 3:2
ფრაიბურგი-შალკე 1:2
შტუტგარტი-მაინცი 2:2

სატურნირო ცხრილი:

1.ბაიერნი	34	29	4	1	98-18	91
2.დორტმუნდი	34	19	9	6	81-42	66
3.ლევერკუზენი	34	19	8	7	65-39	65
4.შალკე	34	16	7	11	58-50	55
5.ფრაიბურგი	34	14	9	11	45-40	51
6.აინტრახტი	34	14	9	11	49-46	51
7.ჰამბურგი	34	14	6	14	42-53	48
8.გლადბახი	34	12	11	11	45-49	47
9.ჰანოვერი	34	13	6	15	60-62	45
10.ნიურნბერგი	34	11	11	12	39-47	44
11.ვოლფსბურგი	34	10	13	11	47-52	43
12.შტუტგარტი	34	12	7	15	37-55	43
13.მაინცი	34	10	12	12	42-44	42
14.ვერდერი	34	8	10	16	50-66	34
15.აუგსბურგი	34	8	9	17	33-51	33
16.ჰოფენჰაიმი	34	8	7	19	42-67	31
17.დიუსელდორფი	34	7	9	18	39-57	30
18.ფიურტი	34	4	9	21	26-60	21

საფრანგეთი. 1 ლიგა

მონპელიე-ლილი 0:0
ნანსი-ბასტია 1:2
პსჟ-ბრესტი 3:1
რეიმსი-ლორიანი 1:0
რენი-აიაჩო 1:1
სენტ ეტიენი-მარსელი 2:0
სოშო-ტულუზა 1:2
ტრუა-ბორდო 1:0
ევიანი-ვალანსიენი 2:0

სატურნირო ცხრილი:

1.პსჟ	37	24	8	5	66-22	80
2.მარსელი	37	21	7	9	42-36	70
3.ლიონი	36	18	9	9	58-37	63
4.სტ. ეტიენი	37	16	14	7	59-31	62
5.ლილი	37	16	13	8	58-39	61
6.ნიცა	36	17	9	10	54-45	60
7.ლორიანი	37	14	11	12	56-55	53
8.მონპელიე	37	15	7	15	54-49	52
9.ბორდო	37	12	16	9	38-33	52
10.ტულუზა	37	12	12	13	47-47	48
11.რენი	37	13	7	17	48-57	46
12.ბასტია	37	13	7	17	50-66	46
13.ვალანსიენი	37	11	12	14	47-52	45
14.რეიმსი	37	10	12	15	33-42	42
15.ევიანი	37	10	10	17	45-51	40
16.აიაჩო	37	9	15	13	39-49	40
17.სოშო	37	10	10	17	41-57	40
18.ტრუა	37	8	13	16	42-59	37
19.ნანსი	37	8	11	18	36-57	35
20.ბრესტი	37	8	5	24	31-60	29

შენიშვნა:

აიაჩოს დაკლებული აქვს 2 ქულა

ჰოლანდია. პირველი დივიზიონი

ცსკა-ყუბანი 0:0
კრასნოდარი-სპარტაკი 0:1
მორდოვია-ტერეკი 1:1

მოტლანდია. პირველი დივიზიონი

აბერდინი-ჰარტსი 1:1
კილმანროკი-სტ.მირენი 1:3
ჰიბერნიანი-დანდი 1:0

შვეიცარია. სუპერლიგა

სერვეტი-იანგ ბოიზი 0:1
ციურიხი-ლუცერნი 4:1

ავსტრია. ბუნდესლიგა

ვოლფსბერგერი-ადმირა 0:0
აუსტრია-ნოიშტადი 3:1
მატერსბურგი-რაპიდი 2:0
ზალცბურგი-ინსბრუკი 3:1

თურქეთი. სუპერლიგა

ისთანბული-ქაშიმფაშა 1:2
ქარაბუქი-ფენერბახჩე 3:2
ორდუ-აკჰისარი 0:2
გალათასარაი-ტრაბზონი 2:0

პოლონეთი. ექსტრაკლასა

ლეგია-ლეხი 1:0
პოდბესკიჟიე-პიასტი 1:2
გურნიკი-ბოლონია 0:4

უკრაინა. პირველი დივიზიონი

არსენალი-ვორსკლა 2:1
ჰოვერლა-ვოლინი 1:1
კრივბასი-კარპატი 3:2

შვედეთი. ალსვენსკა

ბრომაპოიკარნა-სირიანსკა 1:1

აშშ. მლს

ტორონტო-კოლამბუსი 0:1
ვანკუვერი-პორტლენდი 2:2
ფილადელფია-ჩიკაგო 1:0
ჰიუსტონი-ნიუ ინგლენდი 0:2
სან ხოსე-კოლორადო 1:1
სიეტლი-დალასი 4:2

არგენტინა. პირველი დივიზიონი

რაფაელა-ესტუდიანტესი 0:2
გოდოი-ველეჟი 3:1
ქილმესი-ოლდ ბოიზი 1:1
ბოკა-კოლონი 1:0

კალათბურთი

NBA. პლეი ოფი

ინდიანა-ნიუ იორკი 106:99

სერიის ანგარიში: 4:2

ჰოკეი

NHL. პლეი ოფი

სან ხოსე-ლოს ანჯელესი ..... 2:1(ოტ)

სერიის ანგარიში: 1:2

მოამზადა
მისეილ ყორეყოლიანმა

ნოდიკო ტატიშვილი და სოფო გელოვანი მე-15 ადგილზე გავიდნენ

ეკა ირემაშვილი

საქართველოს წარმომადგენლები წლევანდელ ევროვიზიაზე სოფო გელოვანი და ნოდიკო ტატიშვილი მე-15 ადგილზე გავიდნენ. ევროვიზია 2013-ის ფინალი შვედეთის ქალაქ მალმეში გაიმართა. ქართველმა მომღერლებმა შვედი კომპოზიტორის ტომას ჯეისონის დაწერილი სიმღერა „ვოთერფალ“ შეასრულეს. სცენოგრაფიაზე რეჟისორი ლაშა ონიანი მუშაობდა. სასცენო კოსტიუმები ქართველი კონკურსანტებისთვის დიზაინერმა ავთანდილ ცქვიტინიძემ შექმნა.

საქართველოს წარმომადგენლებმა მეორე ნახევარფინალში მე-15 ნომრად იმღერეს და ფინალში გადავიდნენ. მათ ევროვიზიის ნახევარფინალში შესრულებული სიმღერა ავაღანეთში გარდაცვლილი ქართველ ჯარისკაცების ხსოვნას მიუძღვნეს.

რიგით 58-ე ევროვიზიის სიმღერის კონკურსის გამარჯვებული დანიის წარმომადგენელი 20 წლის ემილიე დე ფორესტი გახდა. იგი ხმის მიცემამდე გამოაცხადეს გამარჯვებულად და მილოცვებიც უხვად მიიღო. უმაღლესი 12 ქულით ემილიე დე ფორესტი რვა ქვეყანამ შეაფასა, მთლიანობაში დანიის კონკურსანტმა 281 ქულა დააგროვა და, შესაბამისად, მოიპოვა ევროვიზია 2014-ის მასპინძელი ქვეყნის სტატუსი.

მეორე ადგილზე აზერბაიჯანის წარმომადგენელი ფარიდ მამადოვი გავიდა 234 ქულით, ხოლო მესამე ადგილი უკრაინის კონკურსანტმა ზლატა ოგნევიჩმა დაიმსახურა 214 ქულით.

წელს კონკურსში სულ 39 ქვეყანა მონაწილეობდა. საქართველომ ფინალში 25-ე ნომრად იმღერა. 2013 ევროვიზიის სიმღერის კონკურსის ფინალისტების სცენაზე გამოსვლის რიგითობა კონკურსის ორგანიზატორებმა გაახმოვანეს. პირველ ნომრად გამოცხადდა საფრანგეთი, მას შეენაცვლნენ ლიტვა, მოლდოვა, ფინეთი, ესპანეთი, ბელგია, ესტონეთი, ბელორუსი, მალტა, რუსეთი, გერმანია, სომხეთი, ნიდერლანდები, რუმინეთი, დიდი ბრიტანეთი, შვედეთი, უნგრეთი, დანია, ისლანდია, აზერბაიჯანი, საბერძნეთი, უკრაინა, იტალია, ნორვეგია, საქართველო და ირლანდია. როგორც ცნობილი გახდა, გამარჯვებული 50% ჟიურისა და 50% მაყურებლის ესემესების მიხედვით გამოვლინდა. ჩვენმა ქვეყანამ წელს ევროვიზიაზე მხოლოდ და მხოლოდ 50 ქულა დააგროვა. 10 ქულა საქართველოს სომხეთმა და აზერბაიჯანმა დაუწერეს, 8 ქულა – ლიტვამ, 7 ქულა – უკრაინამ, 5 ქულა – საბერძნეთმა და რუსეთმა, 3 ქულა – მოლდოვამ და 2 ქულა – მონტენეგრომ. უმაღლესი 12 ქულა საქართველოს არც ერთმა ქვეყანამ არ მიანიჭა.

საქართველომ ევროვიზიის სიმღერის კონკურსში მონაწილეობა პირველად 2007 წელს მიიღო, როდესაც სოფო ხალვაშმა მე-12 ადგილი დაიმსახურა, 2008 წელს ქვეყანა ევროფესტივალზე დიანა ღურწკაიამ წარადგინა და მე-11 ადგილზე გავიდა. 2009 წელს საქართველოს შიდაშესარჩევი კონკურსის გამარჯვებული ჯგუფი „სტეფანე და 3 გოგო“ გახდა, თუმცა მოგვიანებით საქართველომ კონკურსში მონაწილეობაზე უარი განაცხადა. 2010 წელს ოსლოში გამართულ რიგით 55-ე ევროფესტივალზე საქართველოს წარმომადგენელი სოფო ნიჟარაძე საუკეთესო ათეულში მოხვდა. კონკურსზე, რომელშიც 39 ქვეყანა მონაწილეობდა, მან მეცხრე ადგილი დაიკავა. 2011 წლის ევროვიზიის სიმღერის კონკურსზე საქართველოს წარმომადგენელმა ჯგუფმა „ელდრაინმა“ მეცხრე ადგილი დაიკავა. 2012 წლის ევროფესტივალს ქართველი კონკურსანტი ანრი ჯოხაძე წარადგენდა, თუმცა იგი კონკურსს ნახევარფინალური ტურიდან გამოეთიშა და ფინალში გადასვლა ვერ შეძლო.

საქართველომ, რომლის ხმის მიცემის შედეგებსაც მთელ ევროპას ლიზა წიკლაური აცნობდა, ქულები ასე გადაანაწილა: უმაღლესი 12 ქულა მიანიჭა აზერბაიჯანს, 10 ქულა – სომხეთს, 8 ქულა – უკრაინას, 7 ქულა – დანიას, 6 ქულა – რუსეთს, 5 ქულა – ბელორუსიას, 4 ქულა – ნორვეგიას, 3 ქულა – მალტას, 2 ქულა – იტალიას და 1 ქულა – ლიტვას. შოუს პირდაპირი ეთერით ტრანსლაცია საზოგადოებრივმა მაუწყებელმა განახორციელა. ევროვიზიის ნახევარფინალებისა და ფინალების ჩვენებებს თემო კვირველია უძღვებოდა. ევროვიზიის სიმღერის კონკურსის მხარდამჭერი საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო იყო.

ევროვიზიის სიმღერის კონკურსი ერთ-ერთი ყველაზე შთამბეჭდავი ევროპული სატელევიზიო კონკურსია, რომელიც პირდაპირ ეთერში ევროვიზიის სატელიტური ქსელის მეშვეობით გადაიცემა. გრანდიოზულ სანახაობას ყოველწლიურად მსოფლიოს მასშტაბით 100 მილიონზე მეტი მაყურებელი ადევნებს თვალს. კონკურსის შექმნის იდეა 1955 წელს ევროპის სამაუწყებლო კავშირის მონაკოს შეხვედრაზე გაჩნდა, იტალიის სან-რემოს მუსიკის ფესტივალი კი კონკურსის მოდელად იქცა. იდეის ავტორი ფრანგი მარსელ ბაისონი კონკურსის მიზნად გახლეჩილი ევროპის ცივი ომის აგონიიდან გამოყვანას, ევროპის გაერთიანების ხელშეწყობას, ასევე, სატელევიზიო მაუწყებლობების არსებული ტექნოლოგიების გამოცდას ასახელებს.

ევროვიზიის სიმღერის კონკურსი პირველად 1956 წლის 24 მაისს შვეიცარიაში, ქალაქ ლუგანოში ჩატარდა და მასში მხოლოდ 7-მა ქვეყანამ: შვეიცარიამ, ნიდერლანდებმა, ბელგიამ, გერმანიამ, საფრანგეთმა, ლუქსემბურგმა და იტალიამ მიიღო მონაწილეობა. დროთა განმავლობაში კონკურსს სხვა ქვეყნებიც ემატებოდა, საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ კი მონაწილეთა რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდა. XX საუკუნის დასასრულს კონკურსში მონაწილე ქვეყნების რიცხვმა 40-ს გადააჭარბა.

1956 წელს კონკურსის გამარჯვებული გახდა შვეიცარიის წარმომადგენელი ლიზ ასია. ევროვიზიის სიმღერის კონკურსის მონაწილეები იყვნენ ისეთი ცნობილი შემსრულებლები, როგორებიც არიან ჯგუფი აბბა, სელინ დიონი, ტოტო კუტუნიო და სხვა ცნობილი მომღერლები. თავდაპირველად ევროვიზიის ორგანიზატორების მიერ დადგენილი წესის მიხედვით, კონკურსში მონაწილეებს მხოლოდ მშობლიურ ენაზე უნდა შეესრულებინათ სიმღერა, მაგრამ ბოლო ხანებში ეს მოთხოვნა გამარტივდა და მათ თავისუფალი არჩევანის შესაძლებლობა მიეცათ.

წელს ევროვიზიაში მონაწილეობაზე უარი 10-მა ქვეყანამ თქვა, მათ შორის აღმოჩნდნენ თურქეთი, ბოსნია-ჰერცეგოვინა, ჩეხეთი, პოლონეთი, პორტუგალია, ლიხტენშტეინი, ლუქსემბურგი და სლოვენია. თურქეთის გარდა, ყველა ქვეყანამ საკუთარი გადაწყვეტილება ფინანსური პრობლემებით ახსნა, თურქეთმა კი პროტესტის მიზეზად ხმათა უსამართლო დათვლას დაასახელა. ქვეყანა უკმაყოფილო დარჩა იმით, რომ კომბინირებული ხმის მიცემის პროცესში ჟიურის წევრებთან შედარებით ტელემაყურებელთა გავლენა შემცირდა. თურქეთი ასევე არ ეთანხმება ტრადიციას, რომლის მიხედვით, კონკურსის დამფუძნებელი და სპონსორი ქვეყნები – გერმანია, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, ესპანეთი და იტალია – ფინალში ავტომატურად ხვდებიან. ამავე პერიოდში გავრცელდა ინფორმაცია, რომ კონკურსში მონაწილეობაზე უარი თქვეს საბერძნეთმა და კვიპროსმა, რომლებსაც ასევე ეკონომიკური კრიზისი აქვთ, თუმცა საბოლოოდ ორივე ქვეყანამ ევროვიზია 2013-ში მონაწილეობა მიიღო. ცნობილია, რომ ამ კონკურსის მონაწილე თითოეული ქვეყნისთვის შენატანი 100.000 გირვანქა სტერლინგია.

შვედეთმა კონკურსს უკვე მეხუთედ უმასპინძლა – ბოლო გამარჯვება მას შარშან მომღერალმა ლორენმა მოუტანა, სწორედ ამიტომ წლევანდელი კონკურსის ფინალზეც ლორენმა ევროპელი მსმენელისთვის ახალი სიმღერები შეასრულა.

ევროვიზია 2013 დასრულდა, წლევანდელმა რიგით 58-ე კონკურსმა თავისი ფავორიტი უკვე გამოავლინა, დანიის კონკურსანტის, 20 წლის ემილიე დე ფორესტის გამარჯვებამ ცხადყო, რომ ევროვიზია 2014 მომავალ წელს დანიაში გაიმართება.

„დინამომ“ თასი ოფიციალურად ჩაიბარა

დასაწყისი მე-9 გვერდზე

ზ.ჯანაშია, ქორჩილავა, კვანტალიანი (კახიძე 77)

ვიტ ჯორჯია: დაუშვილი, იაშვილი, გოგიაშვილი, ტეტუნაშვილი, მჭედლიშვილი (გეთიაშვილი 69), გახარია, დავლაშელიძე (ბუნტური 63), გაგნიძე (ბუაჩიძე 57), ღიბრაძე, სოფრომაძე, კუხალეიშვილი

საუკუნოვან იუბილეს ქვედა ლიგაში შეხვდება „კოლხეთიც“, თუმცა, არ არის გამორიცხული, ელიტაში გუნდების რაოდენობა გაიზარდოს. ამის მიზეზი ფოთის მაჟორიტარი დეპუტატის ეკა ბესელიას სიტყვებია:

– ფინანსთა მინისტრთან შეთანხმებით, სტადიონის რეკონსტრუქციისთვის 2.5 მილიონი ლარი გამოიყო. წელს ფოთის გუნდის 100 წლის იუბილეს ვზეიმობთ. იმედი გვაქვს, საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია კეთილ ნებას გამოიჩენს და უმაღლეს ლიგაში გუნდების გაზრდით „კოლხეთს“ ადგილს შეუნარჩუნებს, თუმცა ეს მთლიანად მათი გადასაწყვეტია.

საბოლოო ცხრილი

7-12 ადგილებისთვის:

7.მეტალურგი	32	12	8	12	29:35	44
8.მერანი	32	10	4	18	31:51	34
9.ვიტ ჯორჯია	32	8	9	15	25:42	33
10.სიონი	32	8	9	15	31:51	33
11.დინამო (ბთ)	32	8	7	17	39:55	31
12.კოლხეთი	32	3	8	21	22:56	17

ბომბარდირები: ჩისკო (დინამო თბ) – 24 ბურთი; ჯაბა დვალი (დინამო თბ) – 20; საბა ლომია (მერანი) – 16.

ჯაჯვოხელი



1. ქალბატონო (ინგლისურად); 2. ხეთების ქალღმერთი; 3. მწერიჭამია ბალახი; 4. ... დეპარდიე; 5. ეგვიპტელთა მზის ღვთაება; 6. ძველრუსული ოქროს ფული; 7. ებრაელთა ხმიადი; 8. ავტომობილების სადგომი ნაგებობა; 9. სამიანი ნარდში; 10. ძველრუსული სიგრძის საზომი ერთეული; 11. ... ბერნარი; 12. ურმის ტაბიკების გადასაბმელი თოკი; 13. ქალიშვილი (ინგლისურად); 14. პოლიციის მოხელე სოფელში ძველად; 15. ქალაქი უკრაინაში; 16. მდინარის მტაცებელი თევზი; 17. ელ ... (მხატვარი); 18. მიწასთან, დედამიწასთან კავშირის აღმნიშვნელი წინსართი; 19. სანელებელი; 20. ესპანელი აზნაური; 21. ... სიბელიუსი; 22. პიანისტი ... რუბინშტეინი; 23. მცენარეთა სამყარო; 24. მერიმეს ნოველა; 25. მამაკაცის სასიმღერო ხმა; 26. სუსტი არაყი; 27. შლიმანის აღმოჩენილი ქალაქი-სახელმწიფო; 28. კავშირი (გრამატ.); 29. რძის პროდუქტი; 30 ... კალატოზიშვილი; 31. ტბა აფრიკაში; 32. ამერიკული ძუძუმწოვარი მღრღნელი; 33. ინგლისის თემთა პალატის წევრი.

წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვოხელების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ყელი; 2. აჯა; 3. ბოტანიკა; 4. გო; 5. ალკატელი; 6. ჟაკო; 7. ტასმანი; 10. დეპო; 11. ზავენტემი; 12. ჰელვეცია; 13. ვანი; 16. ფეიხოა; 18. ნიქოზია; 19. აფონია; 21. სვავი; 24. კოშმა.

თარაზულად: 1. ყვირილა; 3. ბოტეგა; 8. ალკალა; 9. ლუდი; 14. შპრეე; 15. ბატუტი; 17. ლუტი; 20. კონუსი; 22. ლოიდი; 23. ფრესკა; 25. შჩი; 26. ხაჭო; 27. დორი; 28. შიომღვიმე.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. იუბილე; 2. შამოტი; 3. ლისტი; 5. აბიო; 6. ლუხუნი; 8. ჰამერი; 11. აფსარუნტი; 13. მაესტრო; 14. ერევანი; 15. პიასტრი; 19. ხოკუ.

თარაზულად: 1. ივანიშვილი; 4. ბაჯარლო; 7. ბუდიზმი; 9. ტამანგო; 10. ალტა; 12. ანეროიდი; 16. ბირთვისი; 17. შევრონი; 18. კვაწარახი; 20. ტრიკონი; 21. ლოტი; 22. თეთნულდი.

დავით კაკაბაძის ნამუშევრები ეროვნულ გალერეაში

დასაწყისი მე-8 გვერდზე

მწიფო უნივერსიტეტში ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის დაარსებას; მართვის კოლეჯის დაარსებას თავისუფალ უნივერსიტეტში; ადგილობრივი მედიისთვის ინგლისური ენის სწავლებისა და ფართო განათლების უზრუნველყოფას. ბიპისა და მისი პარტნიორებისაგან პროექტები აგრძელებენ საქართველოს მცხოვრებთათვის 100 მილიონ დოლარზე მეტი ღირებულების შეღავათების მიცემას.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის კვირეული გიორგი ჩიტაიას სახელობის ეთნოგრაფიულ მუზეუმში ღია ცის ქვეშ გაგრძელდა. ჩატარდა მუზეუმის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი საგანმანათლებლო პროგრამები და შემეცნებითი თამაშები მუზეუმის ყველა დამთვალიერებლისათვის. როგორც პროგრამის ავტორებმა განმარტეს, მათში მონაწილეობა ასაკობრივად იყო განსაზღვრული. გაიმართა ღონისძიებები, რომლებშიც მონაწილეთა ასაკი შეუზღუდავი იყო, მაგრამ აღმოჩნდა პროგრამები, რომელშიც მონაწილეების ასაკი 11 წლიდან განისაზღვრა.

ეთნოგრაფიულ მუზეუმში წარმოდგენილი იყო საგანმანათლებლო პროგრამები: 1. ეკოლოგია – „ადამიანი და გარემო-ალტერნატიული ენერგიები“, მოეწყობა ფილმის ჩვენება ინტერაქტიური მეთოდიკის გამოყენებით, ჩატარდება ჯგუფური სამუშაო და

პროექტების პრეზენტაციები. 2. პრეისტორიული ტექნოლოგიები – ხელცული; 3. ეთნოგრაფია (ფილმების ჩვენებით) – მთა, რელიგია, რიტუალები, ყოფაცხოვრება; 4. სახალისო არქეოლოგია; 5. ტრადიციული დურგლობა; 6. ტრადიციული ქსოვა და დედოფალების დამზადება; 7. ტრადიციული მეთუნეობა; 8. შემეცნებით-გასართობი თამაშები: ტრადიციული შეჯიბრება მშვილდოსნობაში; 9. შემეცნებით-გასართობი თამაშები: პირველყოფილი მონადირე.

21 მაისს საქართველოს ეროვნული მუზეუმის თბილისის ისტორიის მუზეუმი და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა სამინისტრო, მუზეუმების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით წარმოადგენს მხატვარ ოლესია თავაძის გამოფენას ,,ოლესია თავაძის სამყარო“ და საგანმანათლებლო პროგრამას სახელწოდებით ,,საბავშვო წიგნის ილუსტრაცია“.

– გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება მხატვარ ოლესია თავაძის ფერწერული, გრაფიკული ნამუშევრები, და მისი პირადი კოლექცია – ხელნაკეთი თოჯინები, მინიატურული ნივთები, ეროვნული სამოსი, დეკორატიული ხელოვნების ნიმუშები, რასაც თან ერთვის საგანმანათლებლო პროექტი ,,საბავშვო წიგნის ილუსტრაცია“, რომელიც გულისხმობს სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფებისთვის კონკრეტული ამბის შეთავაზებასა და მის დასურათებას მას შემდეგ, რაც მონაწილეებს განუმარტავენ საბავშვო წიგნის ილუსტრაციის სპეციფიკას, თუ როგორ უნდა ასახონ პერსონაჟის ხასიათი, როგორ შეაჩერონ არჩევანი ეპიზოდზე, როგორ ხდება გარეკანისა და ბოლო გვერდის ილუსტრირება. პირველ გაკვეთილს ჩაატარებს ოლესია თავაძე, ხოლო დანარჩენებს მუზეუმის ასისტენტები. ოლესია თავაძე თბილისის სამხატვრო აკადემიის კურსდამთავრებულია. იყო თბილისის მოზარდ მაყურებელთა და მინიატურების თეატრების, გაზეთ ,,ლიტერატურული საქართველოს“ მთავარი მხატვარი, კითხულობდა კოსტიუმის ისტორიას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, მუშაობდა დაზგურ ფერწერასა და გრაფიკაში, შეასრულა მრავალი წიგნის დიზაინი და ილუსტრაცია. მათ შორისაა შექსპირის პიესები ,,მეფე ჯონი“, ,,სიყვარულის ამაო გარჯა“. ასევე ავტორი და ილუსტრატორია საბავშვო წიგნის ,,ბურსუნსულ და პასკუალინა“, რომელიც 2007 წელს პრემირებული იყო საერთაშორისო კონკურსზე „სტეპ ბაი სტეპ“ (ნიუ იორკი-ამსტერდამი). ქართულ ენაზე გამოცემული აქვს პროზაული მინიატურების კრებული „სევდიანი ჩანაწერები“. ორი წლის წინ საქართველოს საპატრიარქოს საბავშვო წიგნების ფესტივალზე გაიმარჯვა ორ ნომინაციაში. ახალი ტექნოლოგიების შესაძლებლობების გათვალისწინებით, დღეს კიდევ უფრო აქტუალურია წიგნის პროპაგანდის საკითხი, რაც თავისთავად კავშირშია ილუსტრაციასთან, მის სპეციფიკასთან, რომლის საშუალებითაც იცვლება მოზარდის სამყარო, ვითარდება ლიტერატურისადმი დამოკიდებულება და ფართოვდება მისი წარმოსახვა, იცვლება სხვადასხვა ასაკის მოზარდთა ერთმნიშვნელოვანი დამოკიდებულება როგორც საბავშვო წიგნთან, ასევე სამუზეუმო სივრცესთან. გამოფენა 29 მაისის ჩათვლით გაგრძელდება, – განმარტა ეროვნული მუზეუმის წარმომადგენელმა.

გიორგი მარგველაშვილი: „საქართველოს რუსეთთან ექნება არა ემოციური, არამედ რაციონალური ურთიერთობები“

„ქართული ოცნების“ პრეზიდენტობის კანდიდატი გიორგი მარგველაშვილი რუსულ მედიას მოუყვა თუ რატომ არ ეშინია კონკურენციის, სახელმწიფოს მეთაურის პოსტისთვის ბრძოლაში.

საქართველოში, ოქტომბერში ჩასატარებელი საპრეზიდენტო არჩევნების კონკრეტული თარიღი გამოცხადებული არ არის, მაგრამ პრეტენდენტების კამპანია დაწყებულია. „ქართული ოცნების“ ლიდერმა ბიძინა ივანიშვილმა მმართველი კოალიციის კანდიდატი უკვე დაასახელა, რომელიც ავტომატურად ფავორიტად იქცა ამ პოსტზე. ეს არის მთავრობის თავმჯდომარის ახლანდელი მოადგილე, განათლების მინისტრი გიორგი მარგველაშვილი. 44 წლის ფილოსოფიის დოქტორმა რუსელ მედიასთან პირველ ინტერვიუში „იზვესტიას“ მოუყვა, გამარჯვების შემთხვევაში როგორ ააწყობს რუსეთთან და დასავლეთთან ურთიერთობას.

— რამდენიმე ცნობილმა ქართველმა პოლიტიკოსმა უკვე გამოთქვა მზადყოფმა, რომ მზად არის იბრძოლოს პრეზიდენტის სავარძლისთვის. მათ შორისაა პარლამენტის ექსთავმჯდომარე, ნინო ბურჯანაძე, საგარეო უწყების ექსშეფი სალომე ზურაბიშვილი, ლეიბორისტების ლიდერი შალვა ნათელაშვილი. მაისის ბოლომდე, თავის კადიდატს დაასახელებს პრეზიდენტ საკაშვილის პარტია. კონკურენციის არ გეშინიათ?

— არა, არ მეშინია. ჩემ უკანხომ დგას „ქართული ოცნება“ — ქვეყნის წამყვანი პოლიტიკური ძალა, რომელსაც მოსახლეობის უმეტესობა მხარს უჭერს. ვფიქრობ, სირთულეები არ იქნება.

— გამარჯვების შემთხვევაში, როგორ აპირებთ ურთიერთობის აწყობას რუსეთთან და დასავლეთთან?

— ჩვენ რუსეთთან ურთიერთობებში უფრო რაციონალურ პოლიტიკაზე უნდა გადავიდეთ. ეს იმაში მდგომარეობს, რომ დღეს ორ ქვეყანას შორის არსებული უსერიოზულესი პრობლემები სახელმწიფო ინტერესების კონტექსტში გადაწყდება; არა პოლიტიკური ინსინუაციებით და ემოციებით, როგორც ეს წინა ხელისუფლებების დროს ხდებოდა. ჩვენ ამას შევეცდებით. ეს ხანგრძლივი გზაა, თუმცა ვექტორი განსაზღვრულია — ეს არის რაციონალიზმი.

— „ქართულმა ოცნებამ“ მოსკოვთან ურთიერთობის დალაგების პრიორიტეტები უკვე განსაზღვრა?

— დიახ, უკვე ნათლად ჩანს, ჩვენ დავიწყეთ ასეთი პოლიტიკის აშენება ნაციონალური ინტერესების საფუძველზე. ეს არის ეკონომიკა და ჰუმანიტარული სფერო.

— ამასთან, დასავლეთისკენ კურსი შეუცვლელად ცხადდება.

— რა თქმა უნდა. ჩვენ რაციონალურ პოლიტიკას მთლიანობაში ავაწყობთ. ჩვენ გლობალური სამყაროს ნაწილი ვართ. საკუთარ თავს დამოუკიდებელი, ტერიტორიულად მთლიანი სახელმწიფოს, რეგიონში საიმედო პარტნიორის და პასუხისმგებლიანი მოთამაშის როლში ვხედავთ.

— და კიდევ ერთი კითხვა განათლების მინისტრისადმი. ამჟამად საქართველოში რუსული ენისადმი ინტერესი ბრუნდება. ამას რით ხსნით?

— ამ საკითხში არა პოლიტიკური, არამედ კულტურული, ეკონომიკური შემადგენელია. ჩვენ რუსელ ენას, მთელი თავისი სიმდიდრით, ისტორიასთან, რუსეთთან პოლიტიკური პრობლემების და პოლიტიკური დებატების კონტექსტში არ განვიხილავთ.

მოამზადა გერა მამულაშვილმა

საერთაშორისო

ატომური ენერგიის სააგენტო ირანის ბირთვული პრობლემის დარეგულირებისთვის მზადაა

ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს გენერალური მდივნის, იუკია ამანოს განცხადებით, ირანის ბირთვული პროგრამის მშვიდობიანი გზით გადაწყვეტა შესაძლებელია და სააგენტო ამისათვის მზადაა.



„ეს რთული საკითხია, რომელსაც გრძელი ისტორია აქვს. ყველა ქვეყანას და მათ შორის ირანსაც, მშვიდობიანი მიზნებისთვის ბირთვული ენერგიის განვითარების უფლება აქვს“, — განაცხადა ამანომ.

მისივე თქმით, ირანმა ნათელი უნდა მოჰფინოს საკუთარ პოტენციალს ამ სფეროში, და სააგენტო გადახედავს სიტუაციას, რათა დარწმუნდეს მისი ბირთვული პროგრამის მშვიდობიან მიზნებში.

სააგენტოს ხელმძღვანელმა იმედი გამოთქვა, რომ ეს პრობლემა მალე გადაწყდება და განაცხადა, რომ სააგენტო თეირანთან მოლაპარაკებების გაგრძელებას აპირებს.

ამ ფონზე, თეირანში ორი ირანელი ისრელისა და აშშ-ს სასარგებლოდ ჯაშუშობის ბრალდებით ჩამოახრჩვეს. ამის შესახებ უცხოური პრესა იტყობინება.

როგორც ადგილობრივი პროკურატურა აღნიშნავს, მუჰამედ ჰეიდარს სასიკვდილო განაჩენი ისრაელის „მოსადთან“(ისრაელის საგარეო დაზვერვის სამსახური) მრავალჯერადი შეხვედრის, დაზვერვისა და ეროვნული უსაფრთხოების საიდუმლოების გაცემისა და ამ საქმეში ფულის აღების გამო გამოუტანეს.

კორუშ ახმადი აშშ-ს ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოსთვის სადაზვერვო ინფორმაციის გადაცემის გამო ჩამოახრჩვეს.

სხვა ინფორმაცია არ ვრცელდება.

სირიის ჯარები ელ-კუსეირში შევიდნენ

სირიის ჯარებმა ქალაქ ელ-კუსეირის სამხრეთ და აღმოსავლეთ რაიონებში ტერორისტული ფორმირებების პოზიციები შტურმით აიღეს. აღნიშნული ქალაქი, სამრეწველო ცენტრ ჰომსიდან 30 კილომეტრში მდებარეობს. სამხედროები ქალაქში შევიდნენ და ბოევიკებს მისდევენ, სროლები ცენტრალურ კვარტალებში მიმდინარეობს.

უსაფრთხო კორიდორი ორგანიზებულია ელ-კუსეირის დასავლეთით, საიდანაც ქალაქში დარჩენილ მშვიდობიან მცხოვრებლებს გადაადგილება შეუძლიათ. თვითმხილველების თქმით, ბოევიკების ჯგუფები ასევე იარაღს ყრიან და ელ-კუსეირიდან თავის დაღწევას ცდილობენ, რათა ხელისუფლებას ჩაბარდნენ.

ამავდროულად, გამნაღმველებმა სამხედრო მანქანების და ტრანსპორტის გადაადგილებისთვის ქალაქის ქუჩების განაღმვა დაიწყეს. დასავლური სააგენტოები იტყობინებიან, რომ სირიის სამთავრობო ძალების მხარეს იბრძვიან მოხალისეები, ლიბანური შიიტური დაჯგუფება „ჰეზბოლაჰიდან“. ამ ინფორმაციას „ნიუსრუ.ქომი“ ავრცელებს.

ასევე ვრცელდება ინფორმაცია, რომ სირიის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის, ფეისალ მეკდადის მამა ქვეყნის სამხრეთით მდებარე პროვინცია დერას სოფლიდან გაიტაცეს. 80 წლის მოხუცის გატაცების ფაქტს ადასტურებს როგორც სახელისუფლებო, ასევე ოპოზიციური ძალა. საინფორმაციო სააგენტოების ცნობით პოლიციამ სავარაუდო გამტაცებლების ნათესავები დაიკავა.

ინციდენტი მოხდა მეორე დღესვე მას შემდეგ, რაც პროვინციაში გახშირებული გატაცებების შემდეგ, სახელისუფლებო და ოპოზიციური ძალები შეთანხმდნენ, აღარ გაეტაცებინათ მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენლების ოჯახის წევრები.

ფეისალ მეკდადი ბაშარ ასადის ხელისუფლების ერთ-ერთ ყველაზე ძლევამოსილ წევრად ითვლება. პარალელურად ვრცელდება ინფორმაცია, სირიის დედაქალაქ დამასკოში ავტომობილის აფეთქების შესახებ, რასაც ხელისუფლების განცხადებით სამი ადამიანი, ხოლო ოპოზიციის ინფორმაციით მინიმუმ ხუთი ადამიანი ემსხვერპლა.

ამ ფონზე, საფრანგეთი სირიის კონფლიქტის დარეგულირების მიზნით დაგეგმილ საერთაშორისო კონფერენციაში ირანის ისლამური რესპუბლიკის მონაწილეობას ეწინააღმდეგება. ინფორმაციას ბი-ბი-სი საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაზე დაყრდნობით ავრცელებს.

საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის თქმით, საუბარია მთლიანად რეგიონში მშვიდობის დამყარების საკითხზე, ამიტომ ქვეყანა, რომელიც სამშვიდობო პროცესისთვის საფრთხის მატარებელია მოლაპარაკებების მაგიდასთან დაშვებული არ უნდა იქნეს.

საერთაშორისო კონფერენციაში ირანის მონაწილეობის საკითხი რუსეთის ფედერაციამ გაეროს გენერალურ მდივანთან, ბან კი მუნთან მოლაპარაკებების დროს წამოაყენა. შეხვედრისას ბან კი მუნი და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი საბოლოოდ შეთანხმდნენ იმაზე, რომ კონფერენცია რაც შეიძლება სწრაფად უნდა იქნეს მოწვეული.

სირიის კონფლიქტის დარეგულირების მიზნით საერთაშორისო კონფერენციის ჩატარებაზე ამერიკა და რუსეთი ორმხრივი მოლაპარაკებებისას შეთანხმდნენ. კონფერენციაში მონაწილეობის სურვილი უკვე მრავალმა ქვეყანამ გამოთქვა. გაეროს შეფასებებით, სირიაში მიმდინარე კონფლიქტის შედეგად, ქვეყანა დაახლოებით მილიონნახევარმა ლტოლვილმა დატოვა. ორგანიზაციის მიერ გამოქვეყნებული მოხსენების თანახმად, ლტოლვილთა უმრავლესობამ თავი იორდანიასა და ლიბანს შეაფარა.

გაეროს შეფასებით, დაპირისპირებების შედეგად გარდაცვლილთა რიცხვმა 80 ათასს მიაღწია, ხოლო ქვეყნის შიგნით იძულებით გადაადგილებული პირების რაოდენობამ, გაეროს ლტოლვილთა სამმართველოს მონაცემებით, 4 მილიონს გადააჭარბა.

შეგახსენებთ, რომ სირიაში სამოქალაქო დაპირისპირება და კონფლიქტი სახელისუფლებო და ოპოზიციურ ძალებს შორის უკვე თითმის ორი წელია მიმდინარეობს.

ჩრდილოეთ კორეამ კიდევ ერთი რაკეტა გაუშვა

ჩრდილოეთ კორეამ კვირას იაპონიის ზღვის მიმართულებით ახლო სიშორის კიდევ ერთი რაკეტა გაუშვა, იუწყება მედია სამხრეთ კორეის თავდაცვის სამინისტროს წყაროზე დაყრდნობით.

„ჩრდილოეთ კორეამ რაკეტის გაშვება კვირას შუადღეს განახორციელა“, — განაცხადეს სამინისტროში. ერთი დღით ადრე, ჩრდილოეთ კორეელმა სამხედროებმა ასევე განახორციელეს ახლო სიშორის სამი რაკეტის გაშვება იაპონიის ზღვის მიმართულებით. ყველა რაკეტა ზღვაში ჩავარდა და იაპონიის ტერიტორიულ წყლებამდე ვერ მიუღწევია. ქვეყნის თავდაცვის სამინისტროს განცხადებით, ჩრდილოეთ კორეამ მცირე რადიუსის სამი ბალისტიკური რაკეტა გამოსცადა.

სამხრეთ კორეის თავდაცვის სამინისტროს განცხადებით, მათ არ იციან, სარაკეტო გაშვება ცალკეული ეპიზოდი იყო თუ ჩრდილოეთ კორეის სამხედრო წვრთნების შემადგენელი ნაწილი. მათივე თქმით, სამხრეთ კორეის ჯარები ამაღლებული მომზადების მდგომარეობაში არიან. აღნიშნული სარაკეტო გაშვება იაპონიამაც დაადასტურა, ქვეყნის თვდაცვის სამინისტრომ სარაკეტო გამოცდები დააფიქსირა. კორეის ნახევარკუნძულზე 2013 წლიდან სიტუაცია განსაკუთრებით დაძაბულია. რიგით მესამე ბირთვული გამოცდის შემდეგ, ფხენიანი აშშ-ისა და სამხრეთ კორეის მიმართ საომარ რიტორიკაზე გადავიდა. ჩრდილოეთ კორეა თავდაუსხმლობის შესახებ შეთანხმებიდან გამოვიდა და სასაზღვრო ზონაში სამხედრო წვრთნებს ატარებს.

საფრანგეთის „ნაციონალური ფრონტის“ ლიდერმა მარი ლე პენმა ხერხემალი დაიზიანა

ულტრამემარჯვენე პარტიის „ნაციონალური ფრონტის“ ლიდერმა მარი ლე პენმა ხერხემალი დაიზიანა და დამოუკიდებლად გადაადგილება არ შეუძლია, იტყობინება გაზეთი „ფიგარო“.

გამომცემლობის მონაცემებით, პოლიტიკოსმა ერთი კვირის წინ გავის ძვლის ტრამვა მიიღო, ჩავარდა რა ცარიელ აუზში. ლე პენის ტრამვის შესახებ ცნობილი მხოლოდ შაბათს გახდა, მაშინ როცა მან ვერ შესძლო ქალაქ ლიმოჟში „ნაციონალური ფრონტის“ ღონისძიებაზე დასწრება, იტყობინება გამოცემა. „მარიმ ვერ შეძლო ჩამოსვლა, რადგან ძალიან სერიოზული შემთხვევის მსხვერპლი აღმოჩნდა. ამის გამო, მას გადაადგილება არ შეუძლია“, განაცხადა პოლიტიკოსის მამამ, „ნაციონალური ფრონტის“ დამაარსებელმა ჟან-მარი ლე პენმა.

მოამზადა გერა მამულაშვილმა

სამგლოვიარო განცხადებები

მეუღლე დოდო ბურჯანაძე, შვილები ეკა, თიკა, სიძეები ლადო ჯავახიშვილი, გია ბეჟანიშვილი, შვილიშვილები ლაშა, ანდრია, ნათია, ნინო, ანა, ლიზი, რძლები ზინა დინერი, ნანა, ცოლისდები აზა, იზა, რძალი ლია სამხარაძე, სიძე ვახტანგ დუნდუა, ცოლის დისშვილები თამრიკო, ხათუნა, ცოლის ძმისშვილები სოფო, ანდრო, ხათუნა, დისშვილები ვახტანგ, პეტრე, ამირან, ნანა გვანცელაძეები, მძახალი ჯული ბეჟანიშვილი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ვიქტორ (ბაღრი) შავდია

პანაშვიდი 19 და 20 მაისს.
გამოსვენება 21 მაისს.
მის. ნუცუბიძის ფერდობი, მე-4 მ/რ, კორპუსი 28, პირველი სადარბაზო, მე-4 სართული, ბინა 25 (გერმანულ სკოლასთან).

შვილი მარიამ ჩიგილაშვილი, დისშვილი მაია ხუნდაძე ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ლილი გიორგის ასული ტატიშვილი

პანაშვიდი 19,20 მაისს, 18 საათზე.
დაკრძალვა 21 მაისს, 15 საათზე.
მისამართი: ილია ჭავჭავაძის გამზირი, №19, მე-2 სადარბაზო, მე-5 სართული.

ეთერ ფარულავა, ნანული ჭურღულია, ნანა ჭურღულია, თემურ, ნიკა, თეა სულხანიშვილები, ნანი და ლიანა ღურწკაიები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ხათუნა ოთარის ასული ჭურღულია

პანაშვიდი 19 და 20 მაისს.
გამოსვენება 21 მაისს, 14 საათზე.
მისამართი ვაჟა-ფშაველას გამზ. მე-6 კვარტალი, კორპ. 2, ბინა №37.

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

TV პროგრამა

ოთხშაბათი 20 მაისი

06.30 დ/ფ „ელიოტ ნესი ალკაპონეს წინააღმდეგ“ 07.30 „ჩვენი დილა“ (პ/ე) 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 02.20 „მოამბე“ 11.00 „სამოთხის ვაშლები“ (პ/ე) 12.45 „პირადი ექიმი“ — მარი მალაზონია (პ/ე) 13.30 „დღეს ორის ნახევარზე“ 15.00 ტ/სერ „ნიკოლა ლე ფლოკი“ 17.00 დ/ფ „100 უდიდესი აღმოჩენა“ 18.00 „პეპე და მეგობრები“ 19.05 ტ/სერ „სიყვარული და შურისძიება“ 21.00 ტ/სერ „ნიკოლა ლე ფლოკი“ 22.00 „დიალოგი დავით პაიჭაძესთან“ 23.00 „კომენტატორი“ 00.00 მხ/ფ „სირიანა“ (ჯ.კლუნი) 02.40 დ/ფ „რა არის რეალობა“

08.00 დ/ფ „მსოფლიოს ქალაქები“ — „ბუდაპეშტი“ 09.00 მხ/ფ „ჰაზარდელი დიუკები“ 11.00 დ/ფ „ეფლი“ 11.50 მხ/ფ „ოუშენის 13 მეგობარი“ (ჯ.კლუნი) 14.00 „ეპიცენტრი“ (გ/ჩვ) 15.00, 17.00, 20.00 „ბრიფინგის დრო“ 16.00 დ/ფ „მეცნიერების ისტორია“ 3 ნაწ. 19.00 „თავისუფალი ტრიბუნა“ 00.00 „მოამბე“ (აფხაზურ“ ოსურ“ სომხურ“ აზერბაიჯანულ“ რუსულ ენებზე)

07.30 იმედის დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 09.10 იმედის დილა (გაგრძელება) 10.00 სერ. „დაუვიწყარი“ 11.20 სერ. „მაფიის ძვრივი“ 12.30 იმედის დღე (პ/ე) 14.40 ფულთან თამაში (გ/ჩ) 16.00 სერ. „დამალული სიმართლე“ 17.50 სერ. „მაგნატები“ 4 სერ. 19.05 მთავარი ფაქტორი 21.00 სერ. „მარტოსული“ 22.00 მთავარი ფაქტორი (პ/ე) (გაგრძელება) 23.00 მხ/ფ „გზა წარმატებისკენ“ (ა.პიტი) 01.10 მხ/ფ „მოგზაური“ (კ.კოქსი) (ტიტ.) 02.45 მუსიკა

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. „სიყვარული მშვენიერია“ 11.00 სერ. „იდუმალი ქალი“ 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 12.30 „შუა დღე“ 15.30 ყველაზე ჭკვიანი 17.00 სერ. „ვნების უფსკრული“ 18.45 სერ. „ცრემლების გვირგვინი“ 20.05 სერ „ერთგულების ძალა“ 22.00 „საქართველოს ვარსკვლავი“ 00.00 შიშის ფაქტორი 01.00 მხ/ფ 03.00 კურიერი დაიჯესტი კლიპები.

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.05 საეკლესიო კალენდარი 06.10 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 06.25 დოკ/ფ „ველური ბუნება“ 06.50 მხ/ფ „ოძრო ოგობა“ IV სერ. 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 „განთიადი“ 10.00, 18.05, 21.15 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 12.05, 18.55, 21.55, 23.50, 00.30 ისტორიის დღიური 10.10, 21.05 პატრიარქის ქადაგება 10.35 ლექსით ქებათა ქება 10.40 კვირიაკე 12.05 მხ/ფ „დათა თუთაშხია“ 13.15 საქველმოქმედო კონცერტი 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 სპექტაკლი - „ეზოში ავი ძაღლია“ 17.20 დოკ/ფ „ველური ბუნება“ 17.45 ეთნოგრაფია 18.10 დიდ ხარ შენ, უფალო 18.30 ქრისტიანული სწავლება 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.00, 22.00, 00.10, 02.30 სიახლენი 19.20 მხ/ფ „იმერული ესკიზები“ 20.40 ძილი ნებისა 21.20 საღვთისმეტყველო საუბრები 22.25 საუბრები ლიტერატურაზე 22.55 მართლმადიდებლური კატეხიზმო 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დოკ/ფ „13 ასურელი მამა“ 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 დოკ/ფ „ცამეტი ასურელი წმინდა მამის ნამოღვაწარი“ 01.40 მხ/ფ „ფარანი ძარში“

მაესტრო 7.00, 1.00, 3.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.30 მულტფილმი 8.00, 9.15 მაღვიძარა 9.00 ახალი ამბები 11.00, 14.30, 17.00, 22.20, 0.30 მაგთიფანი 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 12.50 თოქ-შოუ „პოლიტმეტრი“ (გამ.) 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 16.00 „პრესკლუბი“ 16.30 „ღია კარის დღე“ (გამ.) 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 18.05, 2.00, 6.00 თოქ-შოუ „სუბიექტური აზრი“ 19.00 სერიალი „სიყვარული და სასჯელი“ 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 22.00, 1.30, 5.30 „ყოველდღიური აბები“ 23.00, 3.30 თოქ-შოუ „პოლიტმეტრი“

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

ახალი თაობა

Akhali-Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

20 მაისი

აშშ დოლარი — 1,6360	ევრო — 2,1049
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,4938	100 რუსული რუბლი — 5,2113

ამინდის პროგნოზი 20 მაისისთვის

25 აპრილიდან „ახალ თაობასთან“ ერთად

მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები

ტომი 2

ჩეხური ზღაპრები

უკვე გამოსულია:

ტომი 1. ამერიკული ზღაპრები

გამოსაცემად მზადდება:

ტომი 3. ბრაზილიური ზღაპრები

ტომი 4. ფრანგული ზღაპრები

21 მაისიდან „ახალ თაობასთან“ ერთად

პატრიარქები

ყველამ გაითვალისწინეთ! წარმატებული დღეა

ასტროპროგნოზი 20 მაისისთვის

ვერძი – მშვენიერი დღეა, გელით სიურპრიზი. **კურო** – ფული გაქვთ, პრობლემა არ გაწუხებთ. **ტყუპები** – ნურავის ენდობით, საკუთარი თავის გარდა. **კირჩხიბი** – რომანტიკული თავგადასავალი კარგ ხასიათზე დაგაყენებთ. **ლომი** – სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ქალწული** – იმიჯის შეცვლა არ გაწყენთ, წარმატებას ასე უფრო მიაღწევთ. **სასწორი** – არ აჩქარდეთ, მშვიდად აკეთეთ თქვენი საქმე. **ღრიანკალი** – შემოქმედებითი დღეა, შინაგან თავისუფლებას იგრძნობთ. **მშვილდოსანი** – ფული გაქვთ, მეტს იშოვით. **თხის რქა** – რთული სიტუაციიდან ადვილად გამოხვალთ. **მერწყული** – ახალი ცხოვრება მოგეწონებათ. **თევზები** – სახლში დიდი სიხარული და ფულია მოსალოდნელი.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოხდი ა

თარაზულად: 1. ჰავა; 5. მხლად სახმარი ბალახოვანი მცენარე; 7. ინფექციურ დაავადებათა საწინააღმდეგო ასაცრელი პრეპარატი; 9. გადასინჯვა (ლათინურად); 10. შინაური ფრინველი; 13. დიდი, ღრმა ბზარი; 14. დიდი ტროპიკული ხვლიკი; 15. შუშა; 19. ხეობა აღმოსავლეთ საქართველოსი; 20. დამამშვიდებელი სამკურნალო პრეპარატი; 21. პაპის შემდგომი სასულიერო ხარისხი კათოლიკურ ეკლესიაში; 22. ვინმეზე დამოკიდებულ ადამიანზე იტყვიან.

შვეულად: 1. ყლორტის ან ყვავილის ჩანასახი; 2. მლაშე კრისტალური ნივთიერება; 3. წინასწარმეტყველი ქალიშვილი ძველ ბერძნულ ეპოსში; 4. იუპიტერის თანამგზავრი; 6. მამაკაცის სასიმღერო ხმა; 8. მსხვილი მახრჩობელა გველი; 11. წაგრძელებული სწორკუთხა უგუმბათო ტაძარი; 12. ორცოლიანობა ან ორქმრიანობა; 16. ცომისებრი მასა; 17. ზრდადაუსრულებელი დედალი; 18. ბანქო.

შეადგინა ოლივერ კოხიამ



ჯუმბერ ჯანდიერი გამოფენას მოაწყობს

ეკა ირემაშვილი

ცნობილი ქართველი კომპოზიტორი, მხატვარი, მსახიობი და მწერალი ჯუმბერ (ჯუბა) ჯანდიერი 20 მაისს საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის საგამოფენო დარბაზში გამოფენას მოაწყობს, სადაც თავის ნამუშევრებთან ერთად მისი შვილის ჯარჯი ჯანდიერის ნამუშევრების გამოფენაც მოეწყობა.

მამა-შვილის ჯუმბერ (ჯუბა) და ჯარჯი ჯანდიერების ნამუშევართა პერსონალურ გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება მათი 70-მდე ნახატი.

ჯუბა ჯანდიერის სახელი დიდი ხანია ცნობილია ფართო საზოგადოებისათვის. იგი არის კომპოზიტორი, მსახიობი, მწერალი, მხატვარი,

საქართველოს სახალხო არტისტი, ღირსების ორდენის კავალერი, გალაკტიონის პრემიის ლაურეატი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, „ფაზისის“ აკადემიის აკადემიკოსი. მის ფერწერულ ტილოებში, პეიზაჟებში, პორტრეტებში, ნატურმორტებსა და კომპოზიციებში იგრძნობა მხატვრის პროფესიონალიზმი და ინდივიდუალური ხედვა.

ხელოვანის შვილი, ჯარჯი ჯანდიერი, ნიჭიერი ახალგაზრდა შემოქმედია. მისი ინტერესის სფეროში მოქცეულია ფერწერა, გრაფიკა, მონუმენტურ-დეკორატიული ხელოვნება.

მამა-შვილს პერსონალური გამოფენები ჰქონდათ საფრანგეთში, რუსეთში, ინგლისში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, დიჟონში, პარიზში, მოსკოვში, ლონდონში, ნიუ იორკში. მათი ნამუშევრები დაცულია საზღვარგარეთის კერძო კოლექციებსა და არტ გალერეაში.

ჯუმბერ ჯანდიერი თავისი ნამუშევრების გამოფენას მეუღლის ხსოვნას უძღვნის. როგორც კომპოზიტორი აცხადებს, ის, რომ დღეს ჯუმბერ ჯანდიერი მხატვარია, მისი მეუღლის უდიდესი დამსახურებაა.

ჯუბა და ჯარჯი ჯანდიერების ნამუშევრების გამოფენა ფოლკლორის ცენტრის საგამოფენო დარბაზში 25 მაისამდე გაგრძელდება.

ჯგუფი „სიაბრი“ „ორერასთან“ ერთად იმღერებს

ეკა ირემაშვილი

პოპულარული ბელორუსიული ჯგუფი „სიაბრი“ თბილისში ჩამოდის და კონცერტის გამართვას 22 მაისს დიდ საკონცერტო დარბაზში აპირებს. ბელორუს მომღერლებთან ერთად კონცერტში მონაწილეობას მიიღებენ ანსამბლი „ორერა“ და ნანი ბრეგვაძე. კონცერტზე დასასწრები ბილეთის ფასი 20-80 ლარია.



„სიაბრი“ ბელორუსიულად მეგობრებს ნიშნავს. ანსამბლი უკვე 40 წლისაა. ბელორუსიის ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი არაერთი პრესტიჟული ჯილდოს მფლობელია. მათ გამოშვებული აქვთ 8 ალბომი ვინილის ფირფიტაზე. ჯგუფი ასრულებს სიმღერებს როგორც მშობლიურ, ასევე რუსულ და უკრაინულ ენებზე. მათი მუსიკალური მიმდინარეობა ესტრადას, ფოლკსა და პოპს აერთიანებს. 40 წლის განმავლობაში ჯგუფმა არაერთი ცვლილება განიცადა, იცვლებოდნენ როგორც მუსიკოსები, ასევე ხელმძღვანელები და სოლისტები. 2012 წლის მონაცემებით, ჯგუფის „სიაბრი“ შემადგენლობაში არიან ანატოლი იარმოლენკო (სოლისტი, ხელმძღვანელი), ოლგა იარმოლენკო (სოლისტი), ნიკოლაი საცურა (რეპეტიტორი, ვოკალისტი, არანჟირებების ავტორი, კლავიში), ალექსანდრ კამლიუკი (სოლო გიტარა, ვოკალი), სერგეი გერასიმოვი (ვოკალისტი, აკუსტიკური გიტარა, ვიოლინო), სვეტოსლავ იარმოლენკო (ბას გიტარა, კლავიში, ვოკალი, მასტერინგი), სერგეი შკურდზე (პერკუსია, დასარტყამი ინსტრუმენტები), არტურ ცომაია (დასარტყამი ინსტრუმენტები, ანსამბლის გენერალური პროდიუსერი), ანდრეი ელიაშკევიჩი (ხმის ოპერატორი).

როგორია ანსამბლის 40-წლიანი შემოქმედებითი გზა და რატომ არ ყოფილა საქართველოში „ორერას“ ძველი მეგობარი ანსამბლი, ამის შესახებ „ახალ თაობას“ ანსამბლ „ორერას“ ხელმძღვანელი გენო ნადირაშვილი ესაუბრა.

გენო ნადირაშვილი:

– ჩვენ მეგობრები ვართ, ხშირად გვიწევდა ჩასვლა მინსკში, მათთან შეხვედრა. როცა მოსკოვში ვარსკვლავი ჩაგვიდეს, მაშინაც ჩავიყვანეთ მოსკოვში და, საერთოდაც, საკმაოდ ხშირი შეხვედრები გვქონდა უცხოეთში.

– საქართველოში?

– საქართველოში პირველად არიან. ისე მოხდა, რომ ჩვენს იუბილეზე უნდა ჩამოსულიყვნენ, მაგრამ ფინანსური პრობლემები შეიქმნა და მათი ჩამოყვანა არ გამოვიდა. ახლა ისე გავაკეთეთ, რომ ჩამოვლენ და ჩვენ მონაწილეობას მივიღებთ მათ კონცერტში, სამ-ოთხ სიმღერას ვიმღერებთ, ნანიც იმღერებს. ჩვენ გაკეთებული გვაქვს რამდენიმე ერთობლივი სიმღერა.

– რუსულენოვანი?

– დიახ. ცნობილი „ტაპალია“, ვინც არის „სიაბრის“ ხელმძღვანელი ანატოლი იარმოლენკო, ის არის ჩვენს კვარტეტთან ერთად და საინტერესო უნდა გამოვიდეს. საშუალო თაობამ კარგად იცის ეს ანსამბლი, ძალიან პოპულარულია, დიდი ხანი არ არის, რაც იუბილე გადაიხადეს გრანდიოზულად. ჩვენც უნდა მიგვეღო იუბილეში მონაწილეობა მოსკოვში, მაგრამ ვერ შევძელით სავიზო რეჟიმის გამო, თუმცა მინსკში ვიყავით ჩასული და მათ საიუბილეო კონცერტში მივიღეთ მონაწილეობა.

– რამხელაა ანსამბლი?

– ანსამბლი ბევრად პატარაა ჩვენზე. „სიაბრი“ 35 წლისაა, ჩვენ კი 52 წლის ვართ.

– როგორია მათი რეპერტუარი?

– საესტრადო რეპერტუარი აქვთ,

გაგრძელება მე-8 გვერდზე

ბექჰემიც წავიდა

მსოფლიო ფეხბურთს კიდევ ერთი ლეგენდა დაემშვიდობა – დევიდ ბექჰემმა „პარი სენ-ჟერმენის“ შემადგენლობასა და საკუთარ კარიერაში ბოლო მატჩი ითამაშა.

„ბრესტთან“ მატჩში, რომელიც პარიზელებმა 3:1 მოიგეს, ბექჰემი კაპიტნის სამკლავურით გამოვიდა და მინდორი 81-ე წუთზე გულშემატკივართა ოვაციის ფონზე ცრემლმორეულმა დატოვა.

დევიდ ბექჰემი:

– სიმართლე გითხრათ, მატჩის დამთავრებამდე უკვე 20 წუთით ადრე მიჭირდა თამაშზე კონცენტრირება და ფეხზე ძლივს ვიდექი მოძალებული ემოციის გამო. ეს ღამე ძალიან დიდხანს მემახსოვრება, მადლობა მოთამაშეებსა და გულშემატკივრებს მხარდაჭერისთვის.

მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავი და შოუბიზნესის ცნობილი სახე თანაგუნდელებსა და საფეხბურთო კარიერას ემოციურად დაემშვიდობა.

შეგახსენებთ, რომ კარიერის მანძილზე ბექჰემი თამაშობდა ისეთ მსოფლიო გრანდებში, როგორებიცაა: „მანჩესტერი“, „რეალი“, „მილანი“ და „პარი სენ-ჟერმენი“.

მ. ჯ.